საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№014
(12 084)

19 იანვარი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

● ფეხბურთი

ზოთა არველაძე

ჩემი გული აიაქსს ეკუთვნის 4

ლევან ბერძენიშვილი:

ათგუნდიანი ჩემპიონატიც გვეყოფა 4

ფერეიდნელი კარატისტები საქართველოს სამსახურში 12



ორი ახალი ტრანსფერი: პერტია და სიჭინავა

ნაშუალამევს ორი ახალი საფეხბურთო ტრანსფერის ამბავი შევიტყვეთ. ნახევარმცველი **თენგიზ სიჭინავა,** რომელიც პირველ წრეში ბოლნისის "სიონში" თამაშობდა, აზერბაიჯანულ "შაჰდაღში" გადავიდა. სიჭინავა ადრეც ასპარეზობდა აზერბაიჯანში, "თურანსა" და "არაზში". სხვათა შორის, აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლოადგილოსანი "შაჰდაღი", ზაქათალის "სიმურგთან" ერთად დღეს თბილისს ეწვევა და საკონტროლო მატჩებს გამართავს "ოლიმპთან", "დინამოსთან" და "ზესტაფონთან". მართალია, სიჭინავას აზერბაიჯანული პასპორტიც აქვს, მაგრამ ის მეზობელი ქვეყნის ჩემპიონატში მაინც ლეგიონერის სტატუსით იასპარეზებს. გუშინვე ფორვარდი **თამაზ პერტია,** ორწლიანი განშორების შემდეგ, ლიტვური "დიტონიდან" ლატვიურ "დინაბურგში" დაბრუნდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩვენი პარტნიორია

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

რაგბი. 3 თებერვალი, რუმინეთი-საქართველო

ბორჯღალოსანთა რაზმი წმინდანის გამოსახსნელად

ოპერაცია ანთიმოზ ივერიელი. მაჩხანელიც გამოგვაკლდა, დაგვიბრუნდა კვირიკაშვილი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ახალ სეზონს 3 თებერვალს, რუმინეთში, ერთა თასის მატჩით ხსნის. ჯერჯერობით უცნობია, რომელ ქალაქში გაიმართება შეხვედრა, თუმცა უკვე გარკვეულია ჩვენი გუნდის 25-კაციანი შემადგენლობა.

უკვე ვიუწყებოდით, რომ რუმინეთში ნაკრებს სხვადასხვა მიზეზების გამო დააკლდებიან **გოდერძი შველიძე, მამუკა გორგოძე, რატი ურუშაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თემურ სოხაძე** და **ბესიკ ხამაშურიძე.** ამ სიას ახლახან "ბეზიეს" გარემარბი **ირაკლი მაჩხანელიც** დაემატა.

გუშინ გამოცხადებულ სიაში დებიუტანტი არავინაა, მაგრამ არის ორი ისეთი მოთამაშე, ვისაც ნაკრებში 2005 წლის შემდეგ არ უთამაშია - **მერაბ კვირიკაშვილი** და **რეზო ბელქანია.** აღსანიშნავია, რომ ორივემ ამბლუა შეიცვალა: კვირიკაშვილი, რომელიც აქამდე 9 ნომერი იყო, ახლა კლუბში 10 ნომრად თამაშობს, ხოლო ბელქანია მესამიდან შერკინების პირველ პირველ ხაზში გადავიდა.

თამაშისწინა შეკრებას გუნდი საფრანგეთში გაივლის, რუმინეთში ამ ოცდახუთიდან 22 მორაგბე გაემგზავრება. 25 კაცში 15 მორკინალი და 10 უკანახაზელია, ამიტომაც, თუ ნაკრების თამაშამდე ვინმე არ დაშავდა, აქ ჩამოთვლილი უკანა ხაზი უცვლელი დარჩება. ზედმეტი ორი ბურჯი და ერთი მეორეხაზელი იქნება.



ანთიმოზ ივერიელის თასი ქართველებმა ერთხელ, 2005 წელს აღმართეს, რუმინელებმა - 2002, 2003, 2004 და 2006 წლებში

დაბოლოს, 3 თებერვალს ჩვენი ნაკრები იბრძოლებს ამ ორ სარაგბო ქვეყანას შორის შორის ტრადიციული ჯილდოს, წმ. ანთიმოზ ივერიელის თასის საქართველოში დასაბრუნებლად.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველო რუმინეთში

პირველი ხაზი: **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **აქსენტი გიორგაძე** (კასტრი), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბურგუენი), **მამუკა მაგრაქველიძე** (მეტრო რასინგი), **ავთანდილ კოპალიანი** (მონტობანი), **დავით გასვიანი** (ექსი), **რეზო ბელქანია** (ფიუაკი)

მეორე ხაზი: **ილია ზედგინიძე** (ოში), **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი), **გიორგი ჩხაიძე** (მასი)

მესამე ხაზი: **გია ლაბაძე** (ტულონი), **ილია მაისურაძე** (ნანტი), **ბესო უდესიანი** (ვილფრანში), **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი).

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული); 10: **პალიკო ჯიმშელაძე** (არასი), **მერაბ კვირიკაშვილი** (პო); 12-13: **ირაკლი გიორგაძე** (ბურგუენი), **რეზო გიგაური** (მონლუსონი), **დავით კაჭარავა** (ყორები); 11-14: **გიორგი ელიზბარაშვილი** (შატორუ), **გიორგი შკინინი** (ბლუა); 15: **ოთარ ბარკალაია** (ანდორა)



ბათუმის ახალი დარბაზი ტურნირის გახსნის წინადღეს

გურამ ჩორგაშვილის ფოტო

დღეს, 15:30. საქართველო-ბულგარეთი

ნათლისღება. ღირსების მატჩი

ფრაგმენტი საქართველო-რუმინეთის მატჩიდან. უტევს რეზო ჭანტურია

კობა ხატისაშვილი

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები დღეს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლოსწინა მატჩს გამართავს. ჩვენი ხელბურთელები ჩვენსავით უქულო ბულგარეთს დაუპირისპირდებიან. რაკიღა სტუმრების მსგავსად, წინა ოთხი მატჩი წაგებული გვაქვს, ბულგარელებთან ორმატჩიანი დუელის მოგება მხოლოდ ღირსების საქმეა, რათა ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე არ გავიდეთ.

11

ანტიკური ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

აწონილია და წილიც ნაყარია!

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

ქართველ მოჭიდავეთა ნაკადმა ზღვისპირეთისკენ დინება გუშინ დილიდანვე დაიწყო. ბათუმში ჩამოსულებმა უმალ საჭიდაო დარბაზს მიაშურეს. მცირე მოთელვის შემდეგ აწონვა დაიწყო, რის შემდეგაც წილისყრაც გაიმართა.

ანტიკური ჭიდაობის ტურნირი დღეს დილის 10 საათიდან დაიწყება. პირველად ხალიჩაზე 55-კილოგრამიანი ფალავნები გავლენ, დღეს აგრეთვე 66, 84 და მძიმეწონოსნები იჭიდავებენ. ხვალ 60, 74 და 96 კილოგრამში გამოვლინდებიან პრიზიორები.

11

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

19-წლამდელთა ნაკრები. მოსამზადებელი ეტაპი

ტრაბზონში, შეიძლება, ბლექბერნშიც

ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები დღეს თბილისიდან ბათუმს გაეგზავრება. ჩვენი ჭაბუკები ღამეს აჭარაში გაათენებენ, ხვალ დილით კი თურქეთისკენ აიღებენ გეზს. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი ტრაბზონში, თურქეთის ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდება და 25 იანვრამდე მოსამზადებელ შეკრებას გაივლის. მზადების პერიოდში ჩვენი 19-წლამდელები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. 22-ში "ტრაბზონსფორთან", ხოლო 24 იანვარს "არაკლისფორთან". მატჩები იქვე ბაზაზე გაიმართება და თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება.

"11 იანვარს საფრანგეთში "ფეხბურთის სახლის" გახსნის ცერემონიალზე ნოდარ ახალაცი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა და ეს საკითხი საბოლოოდ სწორედ მაშინ გადაწყდა.

19-წლამდელთა გუნდს თურქეთში ჰაინც ტოპმიოლერი და პეტარ სეგრტი უხელმძღვანელებენ.", - გვითხრა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.

მანვე ნაკრების თავკაცისა და ფედერაციის სახელით ქართულ კლუბებს მადლობა გამოუცხადა მოთამაშეები შეკრებაზე უპრობლემოდ გაშვებისთვის. მოგეხსენებათ, ამ დროს კლუბებიც შეკრებაზე არიან ხოლმე და მოთამაშეების გამოკლება პრობლემებს უქმნით. *"ტრაბზონში გასამართი ამხანაგური მატჩები ელიტრაუნდისთვის მოსამზადებლად, გუნდის შესათამაშებლად ერთბ წაგვადგება. იმედი გვაქვს აქედანვე ჩაყრილი ეს საფუძველი სასურველ შედეგს მაისში ელიტრაუნდში გამოიღებს",* - აღნიშნა ბოკერიამ.

ნაკრები გუნდების მენეჯერმა ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც გვამცნო:

"ელიტრაუნდის დაწყებამდე გვინდა, 17-21 მაისს, ხუთდღიანი მოსამზადებელი შეკრება მოვუწყოთ 19-წლამდელთა ნაკრებს. ამის გამო, ფეხბურთის ფედერაცია "ბლექბერნთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. გვინდა შეკრება ბლექბერნში გავმართოთ. თუკი ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, ფედერაციასთან ერთად ზურაბ ხიზანიშვილის დამსახურება იქნება. ამ შეკრების მსვლელობისას ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი ინგლისში "ბლექბერნის" ახალგაზრდულ გუნდთან საკონტროლო მატჩს გამართავს. ეს ჩვენს ნაკრებს ძალზე წადგება. იმედია, თვის ბოლომდე ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. თუ არა და სხვა ვარანტებიც გვაქვს. ძალიან გვინდა ჩვენი ნაკრები ელიტრაუნდის წინ, ადაპტაციის მიზნით, დიდ ბრიტანეთში მოემზადოს. 22 იანვარს გუნდი ავტობუსით შოტლანდიაში, გლაზგოში გადავა და იქ დაბინავდება. 23-ში კი უკვე პირველი მატჩი გვაქვს პორტუგალიასთან".

დაბოლოს, წუხელ გაირკვა, რომ "ზესტაფონის" ნახევარმცველ **გიორგი განუგრავას** კვლავაც წელი სტკივა და მის ნაცვლად თურქულ შეკრებაზე 19-წლამდელთა ნაკრებს "ზესტაფონის" ფორვარდი **დავით ჯანელიძე** გაჰყვება.

დავით ცაბაძე

რევაზ ძოძუაშვილი

ოლიმპი. ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან

მენთეშაშვილი დავითანხმეთ

რევაზ ძოძუაშვილი მეორე წრისთვის "ოლიმპს" ახლებური მეთოდით ავარჯიშებს. მართალია, ფეხბურთელები პირველივე დღიდან მძიმედ დატვირთა, მაგრამ თვალშისაცემია, რომ კროსები და მსგავსი ფიზმომზადების მეთოდები "რაციონიდან" მაქსიმალურად ამოიღო და აქცენტი ბურთთან ვარჯიშებსა და საკონტროლო შეხვედრებზე გადაიტანა. ჩვენი საუბარიც აქედან დაიწყო.

-ბატონო რეზო, საბჭოური მომზადების სტილი, კროსები და ასეთები კატეგორიულად უარყავით?

- მთელი მსოფლიო მიხვდა, რომ მარტო კროსებით გუნდი ვერ მოემზადება. "ზენიტის" ჰოლანდიელი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი ამბობს, რომ ყველა ვარჯიში თამაშს მაქსიმალურად უნდა მიუახლოვდეს. მოთამაშე თამაშებით ყალიბდება. ეს არის საუკეთესო ვარჯიში, სადაც ჩნდება, ვინ რას წარმოადგენს, თორემ შეიძლება ვიღაცამ უკეთესად ირბინოს, მაგრამ მოედანზე ვერ გამოჩნდეს. საბჭოური მეთოდიც ვიცი და ევროპულიც დადებითი ორივეს ჰქონდა და მთავარია, ერთმანეთს შეახამო. მე მიყვარს "გარმონია".

ისე ამინდსაც მნიშვნელობა აქვს - წვიმასა და თოვლში უფროა კროსი მისაღები, თორემ მზიან ამინდში თამაშს რა სჯობია?

- მომზადების პირველი ეტაპით კმაყოფილი ბრძანდებით?

- ჩვენი სურვილი იყო, რაც შეიძლება მეტი მოთამაშე გამოგვეცადა და საამისოდ მაქსიმალურად ბევრი შეხვედრა ჩავატარეთ. ამ ეტაპზე ჩემთვის თბილისში მომზადება მისაღებია, რადგან გუნდების უმრავლესობა თბილისში ემზადება, ბავშვებიც აქაურობას ეტანებიან. ქალაქიდან გასვლით პრობლემები შეგვემატებოდა. ამ წუთში სხვა გზა არ გაგვაჩნია.

- ამხანაგურ მატჩებს ვისთან გეგმავთ?

- ბოლნისის "სიონს" რამდენჯერმე შევხვდით. ეს ორივესთვის სასარგებლო იყო.

საკონტროლო შეხვედრებს 20 და 22 იანვარსაც გავმართავთ. ჯერ "ოლიმპზე" "ბორჯომს" შევხვდებით, 22-ში კი, თუკი ამინდი ხელს შეგვინყობს, "ამერს" საგურამოს ბაზაზე ვეწვევით.

- დაკომპლექტებას როდის დაასრულებთ?

- განაცხადის შეტანის ბოლო წუთამდე გაძლიერებას შევეცდებით. თუკი საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა, უარს არ ვიტყვით.

- ქუთაისის "ტორპედოდან" მარტო ბერუაშვილი ნამოიყვანეთ?

- დიახ და სხვას არ შევეხებით. არ გვსურს, "ტორპედოს" ხელი შევუშალოთ.

- მართალია, თითქოს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ მენთეშაშვილის, აგრეთვე კორღალიძისა და ბურნაძის დამატება გსურთ?

- სურვილიც გვაქვს და ფეხბურთელებს უკვე ვესაუბრეთ კიდეც.

- ისინი თანახმა არიან?

- დიახ, ოღონდ მატერიალური პირობების დაკმაყოფილებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ახლა მთავარია, გუნდის ხელმძღვანელობამ ეს პრობლემა მოაგვაროს. მთავარი დღეს ფინანსებია.

- რაც შეეხება გამეზარდაშვილს, შეიძლება ისიც "ოლიმპში" გამოჩნდეს?

- გააჩნია, როგორი ვითარება იქნება "სკონტოში". იგი საქართველოს ნაკრების კანდიდატია და ლატვიელებთან ერთად სამ მოსამზადებელ ეტაპს გაივლის. თუკი ამის შემდეგ "სკონტოს" ძირითად შემადგენლობაში მისი მოხვედრა საკითხავი გახდება, მაშინ საქართველოში ჩამოვა. არ გვინდა თუნდაც რამდენიმე მატჩი გამოტოვოს.

- ასეთ შემთხვევაში, "ოლიმპში" ითამაშებს?

- დიახ, დათო ძალიან კარგი მოთამაშეა და მჯერა, "სკონტოში" მას კონკურენტი არ ჰყავს. და თუკი მწვრთნელი მაინც ძველების დაყენებას მოინდომებს, "ოლიმპში" ჩამოვიყვანთ.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

გოგუა და ლომაია ხიმკიში ბრუნდებიან?

გოგიტა გოგუა

შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონ "ჰარტსში" **ანდრეი ჩერვიჩენკოს** მიერ ჩაშლილი ტრანსფერის შემდეგ, ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა** ედინბურგიდან მოსკოვს გაეგზავრა. ჩვენ მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, რუსეთის დედაქალაქში მყოფი გოგუა გუშინ მომავალი კლუბის ვინაობის გარკვევას ცდილობდა. ანდრეი ჩერვიჩენკომ მას რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა. მათ შორის, თავდაპირველად გაუღერებული ტომსკის "ტომისა" და რამენსკოეს "სატურნის" ვარიანტებიც. თუმცა, სარწუმო წყაროს ცნობით, "ტომსა" და "სატურნში" გადასვლის საკითხი ამჟამად აქტიურად აღარ განიხილება. გუშინ ჩერვიჩენკომ გოგიტას იმ გუნდში დაბრუნება შესთავაზა, რომელშიც 2005 წლის სეზონი ტყუილად დაკარგა - საუბარია "ხიმკიზე". ცნობილია, რომ ანდრეი ჩერვიჩენკო ამ კლუბის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტია, მაგრამ უცნობია ამჟამად რა აკავშირებს მას კლუბთან. ამასთან, ისიც ფაქტია, რომ ჩერვიჩენკო სწორედ "ხიმკის" სახელით დაემუქრა "ჰარტსსა" და გოგუას და ხელმონერამდე მიყვანილი ტრანსფერი ჩაშალა.

"ხიმკიში" გოგიტა გოგუას დაბრუნების საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. თუმცა გუშინ საღამოსთვის გოგუასთვის შეთავაზებული ყველაზე რეალური წინადადება სწორედ "ხიმკი" გახლდათ. ამასთან, არაა გამორიცხული, რომ ამ კლუბში დაბრუნდეს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი წევრი, მეკარე **გიორგი ლომაიაც**.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში პირველ ლიგაში წარმატებული ასპარეზობით "ხიმკიმ" რუსულ პრემიერლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ვერაფერს იტყვი, ანდრეი ჩერვიჩენკო "ჰართსის" საპირწონედ, გოგიტა გოგუას მაინცდამაინც სასურველ კლუბს არ სთავაზობს.

მერაბ მამულაშვილი

მეორე წრის წინ. დინამო

კრშკო ნავიდა რათა დაბრუნდეს

ანთალიურ შეკრებაზე მყოფი თბილისის "დინამო" დღეს დასკვნით ამხანაგურ მატჩს გამართავს. **დუშან უგრინის** კრებული უკრაინის უმაღლეს ლიგაში მოსასპარეზე კიდევ ერთ გუნდს, **ვლადიმირ ბესონოვის** "ხარკოვს" დაუპირისპირდება. ეს საკონტროლო შეხვედრა თბილისის დროით 14 საათზე დაიწყება. აღსანიშნავია ის, რომ მატჩის წინ კი "დინამო", ფაქტობრივად, წამყვანი ფეხბურთელების გარეშე დარჩა. ამის თაობაზე კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** გვამცნო.

"სლოვაკი მცველი მიროსლავ კრშკო დღეს სამშობლოში გაემგზავრა და გუნდს მორიგ ანთალიურ შეკრებაზე შეუერთდება. უკვე გადაწყვეტილია, რომ "ხარკოვის" წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მეკარე სოსო გრიშიკაშვილი და დავით ოდიკაძე ვერ ითამაშებენ. საქმე ის გახლავთ, რომ გრიშიკაშვილს თითი სტკივა და დღეს მხოლოდ ინდივიდუალურად ივარჯიშა, ოდიკაძე კი დღეს გამართულ წვრთნაზე დაშავდა. ასევე საეჭვოა, დავით დიღმელაშვილისა და სანდრო იაშვილის თამაშიც. იაშვილის მდგომარეობა სერიოზული არაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას დღეს არ უვარჯიშია".

გვენცაძემ გვითხრა ისიც, რომ 19 წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული ერთადერთი დინამოელი **გულვერდ თომაშვილი**, გუნდს თბილისში არ ჩამოჰყვება. თომაშვილი ტრაბზონში დაჩება და იქ შეუერთდება **ჰაინც ტოპმიოლერის** კრებულს.

საინტერესოა გუნდის მთავარ მწვრთნელ დუშან უგრინის აზრი პოტენციურ ახალწვეულ **ნედ ზელიჩსა** და **მიროსლავ კრშკოს** შესახებ. ამის თაობაზე კლუბის თბილისში მყოფმა ტექნიკურმა დირექტორმა **ამირან ლიბრაძემ** შემდეგი გვითხრა:

"დუშან უგრინს დღეს ტელეფონით ვესაუბრე და მას არ დაუმალავს, რომ ეს ახალი ფეხბურთელები მოსწონს. უგრინმა ზელიჩზე თქვა, რომ ის საკმაოდ გამოცდილი, საიმედო მცველიაო. ასევე შეაქო კრშკოც. მწვრთნელებს მოსწონთ ისინი და თუკი სხვა უკეთეს მცველებს არ შევიგულებთ, ალბათ, მათთან კონტრაქტებსაც გავაფორმებთ. თუმცა, ამ ფეხბურთელების საკითხი საბოლოოდ, თბილისში გუნდის დაბრუნების შემდეგ ვადაწყდება".

ლიბრაძეს დავეკითხეთ კლუბის მმართველ დირექტორ **ბუბა ტყავაძისა** და სპორტულ მენეჯერ **გია ჯიშკარიანის** ბრაზილიაური ვოიაჟის შესახებაც.

"ბუბა ტყავაძე და გია ჯიშკარიანი ბრაზილიაში ჩვენი კლუბის პარტნიორ "კორინთიანსის" თამაშს დაესწრნენ, რომელიც "კორინთიანსმა" 3:1 მოიგო. ისინი ფეხბურთელებს არჩევენ, "კორინთიანსის" ახალგაზრდული გუნდის თამაშსაც ნახავენ. მარცხენა მცველისა და ცენტრფორვარდის დამატება გვინდა. კარგი მეკარეც არ გვაწყენდა, მაგრამ ისეთი ჩვენებს ბევრად რომ აჯობოს. ჩვენს გოლკიპერებზეც ვფიქრობთ. გრიშიკაშვილის გარდა ლორიას კარგი მონაცემები აქვს. ასევე კარგი კიპერი გვეზრდება მაკარიძის სახით".

ანთალიაში მეორე შეკრებაზე დინამოს ერთ-ერთი მეტოქე ლვოვის „კარპატი" იქნება. უკრაინული წყაროების ცნობით ეს მატჩი 2 თებერვალს გაიმართება.

დავით ცაბაძე

ხუბუტია მოსკოვის მაჯარეებელს მოახტა

გუშინ გაცნობეთ, რომ "კაუნასი" მოსკოვში დსთ-ის ტურნირზე საასპარეზოდ ორი ქართველით მიემგზავრება. განაცხადში ლიტვის ჩემპიონის ნახევარდაცვის ხაზის ლიდერები **გივი კვარაცხელია** და **ნუკრი მანჩხავა** იყვნენ, თუმცა სულ ბოლოს სამოსკოვო სიას ქართველი მცველი **აკაკი ხუბუტია** დაამატეს, რომელიც ამ ზამთარს გადავიდა "კაუნასში" "ვილნიუსიდან". შეგახსენებთ, რომ "კაუნასი" დსთ-ის თასზე სწორედ იმ ჯგუფში ასპარეზობს, სადაც საქართველოს ჩემპიონი ბოლნისის "სიონია". ქართულ-ლიტვური დაპირისპირება შაბათს შედგება.

www.kazbegi.com

გაეხსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

კლაუსი მიუნხენში, მინგე როსტოკში

ჩვენი ეროვნული ნაკრები წლევანდელ თამაშებს თურქეთთან 7 თებერვლის ამხანაგური მატჩით ხსნის. ბუნებრივია, საინტერესოა, თუ რა შემადგენლობას უხმობს **კლაუს ტოპმიოლერი** გუნდში ამ შეხვედრისთვის. ეროვნულ გუნდში გამოძახების ფაქსები კლუბებში ორი კვირით ადრე იგზავნება და ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამაც** ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერი გვითხრა:

"ამ კონტინგენტის მონახაზი ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბს აქვს. კლაუს ტოპმიოლერი და მისი თანაშემწეები ნაკრები გუნდების შემადგენლობას, როგორც წესი, მატჩამდე 2 კვირით ადრე გამოაცხადებენ და ამის შემდეგ ნაკრებში გამოძახების ფაქსები კლუბებში დაიგზავნება".

ბოკერიამ გვამცნო ნაკრების მწვრთნელთა უახლოესი სამივლინებო გეგმების შესახებაც, რომელიც ევროპულ კლუბებში მოახპარეზე ჩვენს ლეგიონერებს უკავშირდება:

"გერმანიის მეორე ბუნდესლიგა მალე აიღებს სტარტს. რალფ მინგე 22 იანვარს როსტოკში "ჰანზა"-"ფრაიბურგის" მატჩს დაესწრება, კლაუს ტოპმიოლერი კი, 19 იანვარს "უნტერჰახინგი"-აუე-ს მატჩსა და 21-ში "მიუნხენ 1860"-"ფიურტის" თამაშებს ...

თუკი კახა კალაძემ 21 იანვარს "ლაციოსთან" მატჩში მონაწილეობა შეძლო, მწვრთნელებიდან ერთ-ერთი, შესაძლოა, რომში გასამართ ამ შეხვედრასაც დაესწროს. შოთა არველაძის "ალკმაარი" 19-ში "დენ ჰაგს" სტუმრად ეთამაშება და თუკი მოხერხდა მინგე ამ თამაშსაც ნახვას".

იანვრის დასაწყისში "ტვენტეს" ოფიციალურმა ვებგვერდმა და სხვა სააგენტოებმა ცნობა გავრცელეს ნაკრების ნახევარმცველ **გოგა გახოკიძის** ტრავმების გამო ფეხბურთიდან წასვლის შესახებ. თავად გახოკიძემ კი "ლელოსთან" საუბარში განაცხადა, რომ 10 პროცენტით კიდევ აქვს იმისი იმედი, რომ ტრავმებს გაუმკლავდება და ფეხბურთში დარჩება. ამის იმედი ჰქონია ნაკრების ხელმძღვანელობასაც, რომელსაც ფეხბურთელის ჯერ კიდევ ეიმედება.

რაც შეეხება თებერვალში თურქეთან გასამართ ამხანაგურ მატჩებს, ორივე მათგანი 7 თებერვალს გაიმართება. "მომავლის ნაკრები" 13 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თურქეთის 21 წლამდელთა ნაკრებს უმასპინძლებს; ხოლო 19 საათზე ბორის ბაიჭაძის სახელობის სტადიონზე თურქეთისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებები წარდგებიან ერთურთის წინაშე.

მატჩების ერთ დღეს ჩატარება თურქებს უთხოვიათ მგზავრობისა და თბილისში ცხოვრების საკითხის უკეთ მოგვარების მიზნით.

თურქები 5 თებერვალს უნდა ჩამოფრენილიყვნენ. მაგრამ რაკი თამაშები ერთ დღესაა, შესაძლოა 6-ში გვეწვიონ.

დავით ცაბაძე



კლაუს ტოპმიოლერი ლეგიონერებს დააკვირდება

კობიმ თოფი გაჭედა

გერმანული "შალკეს" ბაზაზე უცნაური შეჯიბრი გაიმართა – მთავარი მწვრთნელი **მარკო სლომკა** და ფეხბურთელები მოედანზე უწვეულო ამუნიციებით გამოჩნდნენ. ბიატლონისტთა შაშხანებმომარჯვებულებს ნამდვილი სამიზნეებიც დაუდგამთ და ერთმანეთს სროლაში შეეჯიბრნენ. სლომკამ გუნდი ოთხკაციან გუნდებად გაყო. **ლევან კობიაშვილის** გუნდში **ზლატან ბაირამოვიჩი, მარსელო ბორდონი** და **რალფ ფარმანი** მოხვდნენ. მათი გუნდი ფინალში გავიდა, სადაც თანაბარი ქულები დააგროვა **ჰალილ ალთინთოპის** გუნდთან. მოკლედ, ლევანმა არც ქართველთათვის ასე უცხო სპორტის სახეობაში შეირცხვინა თავი და კარგადაც გაერთო.

ბიატლონის შემდეგ, მეორე დღეს "შალკე" საკონტროლო მატჩში რეგიონალლიგის "როიტლინგენს" ესტუმრა და 4:1 მოუგო. სხვათა შორის, თამაშს 10 ათასი ფანი დაესწრო. ლევან კობიაშვილმა პირველი ტაიმი ითამაშა, შემდეგ კი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (გრიპი ბოლომდე ვერ მოირჩინა) სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. პირველი ტაიმი 1:1 დასრულდა, ქართველს თავი არ გამოუჩენია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლევან კობიაშვილი (მარჯვნივ)



კახა ცხადაძე

თანამეგობრობის თასი

ბოლნისმა გზა დაულოცა

გუშინ, დღის ორ საათზე, ბოლნისის "სიონი" ავტობუსით ერევნისკენ დაიძრა, საიდანაც მოსკოვში გადაფრინდება. თანამეგობრობის თასისთვის მოსამზადებელ ბოლო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონებმა 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე ივარჯიშეს, ცხოვრებით კი ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმრო "ლიზიში"ცხოვრობდნენ.

ბოლო თბილისური ვარჯიში ფეხბურთელებმა გუშინწინ ჩაატარეს. ისინი მსუბუქად დაიტვირთნენ, რის შემდეგაც შინ შევლის საშუალება მიეცათ.

"სიონის" გენერალურ მენეჯერ **ჯემალ ჭიპაშვილს** მაშინ შევეხმიანეთ, როცა ავტობუსი საქართველო-სომხეთის საზღვარზე იდგა. ჭიპაშვილისგან შევიტყვეთ, რომ თბილისიდან ერევნისკენ მიმავალ გუნდს ბოლნისში გულშემატკივრები დახვდნენ და სიონელები კიდევ ერთხელ გაამხნევეს.

რაც შეეხება "სიონის" კამერუნელ ლეგიონერებს, ისინი გეგმის მიხედვით, კლუბის იურისტ **პაატა აბულაძესთან** ერთად, მოსკოვში ბაქოს გავლით გაემგზავრნენ.

ხვალ საღამოს "სიონი" რუსეთის დედაქალაქში ვარჯიშს ჩაატარებს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ქვემოქართლელები მშვენიერ პირობებში იცხოვრებენ და ივარჯიშებენ. ისინი სასტუმრო "კოსმოსში" დაბინავდებიან.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ მანამდე გამოცხადებულ შემადგენლობას გუნდიდან წასული **დავით ჭიჭვეიშვილი** გამოაკლდა, სიას კი **ლევან ბაჯელიძე** და **გიორგი კვიტაიშვილი** დაემატნენ. სამოსკოვე განაცხადმა საბოლოო სახე მიიღო.

ფეხბურთელებთან ერთად, რუსეთს ეწვევიან გუნდის მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე**, გენერალური დირექტორი **მალხაზ აბრამიშვილი**, გენერალური მენეჯერი **ჯემალ ჭიპაშვილი**, ვიცე-პრეზიდენტი **დავით სილაგაძე**, იურისტი პაატა აბულაძე, ექიმი **ზურაბ ხარხელაური** და მასაჟისტი **ირაკლი სახვაძე**. დელეგაციის წევრთა შეზღუდული რაოდენობის გამო, მოსკოვში ცხადაძის მხოლოდ ერთი ასისტენტი გაემგზავრება – **გიორგი ყიფშიძე. ბადრი კვარაცხელია** კი თბილისში დარჩენილ სიონელებს ავარჯიშებს.

გამგზავრების წინა დღეს კახა ცხადაძეს გავესაუბრეთ.

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თანამეგობრობის თასისთვის კარგად ვართ მომზადებულნი. მომზადება იდეალურ პირობებში გავიარეთ. ხელოვნურ საფართან შესაგუებლად საგანგებოდ ავირჩიეთ 35-ე სკოლისა და "ოლიმპის" აკადემიის მოედნები. გადმოვიბირეთ სასურველ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი, ჩავატარეთ საკონტროლო მატჩები, ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა.

- საკადრო პრობლემები კიდევ გაწუხებთ?

- საბედნიეროდ, ვიტალი დარასელიასა და თორნიკე აფციაურს ტრავმები აღარ აწუხებთ, მოსკოვისთვის ისინი სრულ მზადყოფნაში იქნებიან. სხვა ფეხბურთელებიც ჯანმრთელად არიან.

- რუსული მხარის მიერ შექმნილმა პრობლემებმა ალბათ, თქვენს გეგმებში კორექტივები შეიტანა.

- ბუნებრივია, უკეთესი იქნებოდა, მოსკოვში პირდაპირი რეისით და უფრო გრძელი სათადარიგოთა სკამით წავსულიყავით, მაგრამ რას ვიზამთ, იძულებულნი ვართ, ასეთ პირობებს შევეგუოთ. ბუნებრივია, ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებების გადალახვა არ გვსიამოვნებს, მაგრამ ეს ფაქტორი ჩვენს თამაშზე გავლენას ვერ მოახდენს.

- საერთო განწყობა როგორია?

- ალბათ, საქართველოსა და რუსეთს შორის გართულებულ პოლიტიკურ ურთიერთობებს გულისხმობთ. ბიჭებს არანაირი დაძაბულობის გრძნობა არა აქვთ. მათ კარგად იციან, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული სფეროებია. ჩვენ ფეხბურთის სათამაშოდ ჩავდივართ და ეჭვიც არ გვეპარება, რომ ცუდად არავინ დაგვხვდება. რუსეთისა და პოსტსაბჭოეთის სხვა ქვეყნების საფეხბურთო წრეებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა და ამ ურთიერთობებს პოლიტიკა ვერ გააფუჭებს.

- რეალურად, როგორი შანსები აქვს "სიონს" მოსკოვში?

- მჯერა, მაქსიმალური წარმატების მიღწევა შეგვიძლია. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ჯგუფიდან გასვლაზე უნდა ვიფიქროთ. ობიექტურად, ჩვენი ჯგუფი ყველაზე რთულია, მაგრამ ამას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, დიდი მიზნები გვაქვს, ამიტომაც ჩვენი ძალა ჯგუფშივე უნდა ვაჩვენოთ.

- მეტოქეებზე ინფორმაციას თუ ფლობთ?

- სამწუხაროდ, მინიმალური ცნობები გვაქვს, მაგრამ ამ მხრივ, ჩვენი მეტოქეებიც ანალოგიურ მდგომარეობაში არიან. ერთი ისაა ნათელი, რომ ლიტველებიც, სერბებიცა და თურქმენებიც ტურნირზე რამდენიმე ახალწვეულს და გასასინჯ ფეხბურთელს ჩამოიყვანენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათზე არსებული ძველი ცნობები მაინცდამაინც არ გამოგვადგება.

- კალენდარი "სიონისთვის" ხელსაყრელია?

- უკეთესიც შეიძლებოდა, მაგრამ არც ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. "კაუნასით" ვიწყებთ და აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. ამის შემდეგ მტტუ-ს ვხვდებით და თუ მეორე შეხვედრაშიც სამ ქულას ავიღებთ, ოფკსთან მატჩი ფორმალობაღა იქნება.

- გუნდის სადღეისო კონტინგენტით კმაყოფილი ხართ?

- სამოსკოვე შემადგენლობა იდეალურთან მიახლოვებულია, სამაგიეროდ, დსთ-ის თასიდან დაბრუნების შემდეგ, ახალი ძლიერი ფეხბურთელების ძიება მოგვიწევს. ოლიმპელები და ვიტალი დარასელია დიდი ძალაა, მაგრამ როგორც იცით, მათ მხოლოდ მოსკოვში დავიხმართ.

ლევან ჯანეზაშვილი

სიონი თანამეგობრობაზე

მეკარეები: ზურაბ მამალაძე, მინდია ბობღლიაშვილი.

მცველები: მიხეილ კობაური, ლაშა ჭელიძე, გიორგი სეთურიძე, გიორგი ონიანი, ბოიომო ფრიდოლინი.

ნახევარმცველები: არჩილ ალავიძე, ლევან სილაგაძე, გიორგი ოქროპირიძე, ვიტალი დარასელია, თორნიკე აფციაური, ლაშა ქებაძე, გიორგი კახელიშვილი, ლევან ბაჯელიძე, გიორგი კვიტაიშვილი.

თავდამსხმელები: ერიკ რომეო ჩასეგმი, გასტონ ეეოჩე, ბაჩანა ცხადაძე.

CDN კავკასიის სიფრცელი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბოლოდროინდელ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN ADSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 955 ტელეფონის დაფგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISDN ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა ხანგრძლივ გუშაგლულად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა არველაძე

ლეგიონერები

შოთა არველაძე:

ჩემი გული აიაქსს ეკუთვნის

გუშინ ჰოლანდიური "ალკმაარის" ქართველი კაპიტანი **შოთა არველაძე** "ფოეტბალ სენტრაალს" გამოუტყდა, რომ მისი გული კვლავ ამსტერდამის "აიაქსს" ეკუთვნის, სადაც ოთხ წელზე მეტი გაატარა. მან "აიაქსის" მე-14 ნომერი მაისურით 96 მატჩში 55 გოლი გაიტანა. 2001 წელს შოთა არველაძე 2 მილიონ გირვანქა სტერლინგად "რეინჯერსში" გადავიდა. სხვადასხვა კლუბში თამაშის მიუხედავად ქართველმა განაცხადა, რომ თავს ისევ ამსტერდამელად მიიჩნევს: *"ახლაც კი თავი "აიაქსელი" მგონია. არა, სხვა კლუბებშიც შესანიშნავად ვგრძნობდი თავს, მაგრამ "აიაქსში" გატარებული დღეები, საათები და წუთები სულ სხვანაირად მახსენდება".*

შოთა პირდაპირია: *"ტყუილს ვერ ვიტყვი, რომ თითქოს ჩემი ახლანდელი კლუბი "ალკმაარია" ჩემი ცხოვრების გუნდი. ჯერ საამისოდ ცოტა ხანი ვთამაშობ ა ზ-ის მაისურით. რაც დრო გავა, ალბათ, უფრო შეგვიყვარდება კლუბს და მე ერთმანეთი".* არველაძე დღეს "ალკმაარს" "დენ ჰაგთან" ჩემპიონატის გასვლით მატჩში გაუძღვება. შოთას "ალკმაარის" შემადგენლობაში 46 მატჩში 32 გოლი აქვს გატანილი, აქედან 10 წლევანდელ სეზონში. სათასო მატჩების ჩათვლით შოთა დღეს საიუბილეო, ორმოცდამეათე მატჩს გამართავს "ალკმაარის" მაისურით.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მხოლოდ ერთი ქართველით

კანკავა გუნდთანაა, ბარაბაძე დნეპრს მოგვიანებით შეუერთდება

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში კიევის "დინამოს" დნეპროპეტროვსკის "დნეპრი" შეცვლის, რომელიც გუშინ 29 ფეხბურთელით დუბაიში გაემგზავრა. **პროტასოვმა** თან მხოლოდ ერთი ქართველი იახლა, ახალწვეული **ჯაბა კანკავა**. სამწუხაროდ, უკრაინაში დატოვეს ახალგაზრდა ფორვარდი **რევაზ ბარაბაძე**, რომელიც ბოლო დროს ვერც დუბლებში აღმოვაჩინეთ. პირველ შეკრებაზე "დნეპრი" მხოლოდ ორ საკონტროლო მატჩს გამართავს, პირველად უკრაინული კლუბი 25 იანვარს ყარაღანდის "შახტიორს" ეთამაშება, 1 თებერვალს კი - ავსტრიის "ზალცბურგს". ბარაბაძე გუნდს სავარაუდოდ მეორე შეკრებაზე ნაჰყვება, რომელიც თებერვალში გაიმართება.

ჯაბა კანკავა

ყაზახებმა გადაგვთელეს

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა მალტური შესარჩევი ტურნირი სამარცხვინოდ დაიწყო. ჩვენი გუნდი გუშინ ყაზახებს შეხვდა და 1:4 განადგურდა. მატჩის პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ფრედ, 1:1 დასრულდა, შესვენების შემდეგ კი მეტოქემ გვარიანად დაგვჯაბნა.

ეს შედეგი სენსაციურად მოინათლა, ვინაიდან საქართველოს ნაკრები ოთხგუნდიან ჯგუფში პირველ ნომრადაა განთესილი, ყაზახეთი კი - მესამედ.

მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსები ჯერ არ დაგვიკარგავს, მაგრამ თუ ჩვენმა ფუტზალელებმა ასე გააგრძელეს, ცხადია, ყოველგვარ წარმატებაზე საუბარი ზედმეტია. დარჩენილ ორ შეხვედრაში ულაპარაკოდ ქულათა მაქსიმუმი უნდა ავიღოთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სხვებზე ვიქნებით დამოკიდებულნი - შემდეგ რაუნდში სამი ოთხგუნდიანი შესარჩევი ქვეჯგუფიდან პირველადგილოსნები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გადიან.

დღეს კვიპროსელებს ვხვდებით, ზეგ კი მასპინძელ მალტელებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ლევან ყიფიანი ბაქის მენეჯერია

აზერბაიჯანელები მარტო ქართველი ფეხბურთელების გადაბირებას აღარ სჯერდებიან. მათ უკვე ჩვენი მოხელეების წაყვანაც დაიწყეს. თბილისის "ლოკომოტივის" ყოფილი გენერალური დირექტორი **ლევან ყიფიანი** აზერბაიჯანის ჩემპიონმა, ბაქოს "ბაქმ" მიიწვია და გენერალური მენეჯერის პოსტზეც დანიშნა.

ერთი ქართველი სამის ნაცვლად

თურქეთში უკრაინულ-რუსულ დაპირისპირებაში წესით სამ ქართველ ფეხბურთელს უნდა მიეღო მონაწილეობა, თუმცა მოედანზე მხოლოდ ერთი ვიხილეთ. კრივოი როგის "კრივბასმა" 1:0 დაამარცხა სამარის "კრილია სოვეტოვი", ერთადერთი გოლი რუსებმა საკუთარ კარში გაიტანეს. სამარელთა რიგებში ტრავმის გამო ვერ ვიხილეთ **დავით მუჯირი**, ხოლო უკრაინელთა შორის არ გამოჩენილა ჩემპიონატის ბომბარდირი **ვასილ გიგიაძე**. **ლადო ბურდულმა** მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა.

ციმაკურიძე არ წაიყვანეს

უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი ალჩევსკის "სტალი" მოსამზადებლად ანთალიაში გაემგზავრა. სამწუხაროდ, გუნდთან ერთად შეკრებაზე არ წაიყვანეს ნახევარმცველი **გიორგი ციმაკურიძე**, რომელიც დუბლებთან დარჩა უკრაინაში. ციმაკურიძე თავიდან სათურქეთო განაცხადში ირიცხებოდა, თუმცა მწვრთნელებმა ის ბოლო მომენტში ამოაგდეს სიიდან. ციმაკურიძე ამ ეტაპზე "სტალის" დუბლებთან ერთად ალჩევსკში ივარჯიშებს, მეორე შეკრებისთვის კი ეგებ მოხვდეს კიდეც ძირითად გუნდში.

იმედაშვილიც ათამაშეს

პირველი შეკრება დაასრულა კიევის "დინამომ", რომელიც დუბაიში ემზადებოდა. გუშინ გუნდმა ადგილობრივ "დუბაი დაიმონდსთან" გამართა ბოლო სპარინგმატჩი. ამ შეხვედრაში შეკრების განმავლობაში პირველად თამაშის საშუალება **დავით იმედაშვილს** მიეცა, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში იყო. "დინამომ" სუსტ მეტოქეს 6:0 მოუგო. თამაშის 67-ე წუთზე თავის გამოჩენის შანსი ქართველ მცველსაც მიეცა, თუმცა მისი დარტყმული მეკარემ სასნაულებრივ ნახტომში მოიგერია.

ინტერვიუ ლევან ბერძენიშვილთან

ათგუნდიანი ჩემპიონატი გვჭირდება!

ჩვენი ჩემპიონატის თაობაზე საქართველოს პარლამენტის წევრს, ტელეგადაცემა "სექტორის" წამყვან ლევან ბერძენიშვილს გავესაუბრეთ და მან საინტერესო მოსაზრებები გაგვიზიარა.

- თქვენი აზრით, უმაღლესი ლიგაში რამდენი გუნდი იქნება ოპტიმალური.

- საერთოდ, მე მივესალმები ნებისმიერ იმ პროცესს, რომელიც საქართველოში პროფესიონალიზმის დანერგვას ემსახურება. ამ კუთხით კი გარკვეული კითხვები მიჩნდება. მაგალითად, მიმაჩნია, რომ პროფესიულ ფეხბურთის ლიგას რამდენიმე საინტერესო ჩანაფიქრი გააჩნია და მისი განხორციელებისთვის მეტი პრინციპულობა მართებს.

- კონკრეტულად რას გულისხმობთ?

- მიზეზთა გამო, ლიგის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, სახელმწიფო ინტერესები საფეხბურთოზე მაღლა დაეყენებინა. გახსოვთ, ალბათ, შარშანდელი ჩემპიონატი, როდესაც გუნდების რაოდენობა ხელოვნურად გაზარდეს. ეს იყო გაუმართლებელი ინიციატივაა და ჩვენი ფეხბურთი ამას ეწირება. მართალია, წლეულს გუნდები თოთხმეტამდე შეამცირეს, მაგრამ ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის მისაღები ესეც არაა.

- ჩვენთან ინტერვიუში პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა მომავალი წლისთვის ლიგის შეკვეცის აუცილებლობა ახსენა.

- ეს მისასალმებელი ტენდენციაა და ვიცი, რომ ლიგა ამას აპირებს და ამიტომაც ვამბობ, რომ მეტი პრინციპულობით უნდა შეეცადოს ამ იდეის გატანას. სახელმწიფოს თავის ინტერესი გააჩნია, ფეხბურთს კი მისგან ოდნავ განსხვავებული.

- ანუ ლიგის შეკვეცას ემხრობით?

- რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, და ამაში დარწმუნებულიც ვარ, ჩვენი ჩემპიონატისთვის ათი გუნდიც საკმარისია. ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის, დონის გაზრდისა და ფეხბურთელთა ჩამოყალიბებისთვის ასე აჯობებს.

ამ საქმეში პროფლიგას ძალიან დიდი როლი აკისრია. 10 გუნდი საქართველოსთვის მაქსიმალური ციფრია. სხვაგვარად, კონკურენტუნარიანი გუნდები ვერ ჩამოყალიბდებიან, მაყურებელი კი დაბალი ხარისხის თამაშებზე არ მოვა.

- სტადიონზე მაყურებლის მოზიდვა მართლა სერიოზული პრობლემაა.

- ამის შესახებ საკუთარი მოსაზრება გამაჩნია. საკმაოდ გავრცელებული მოსაზრებაა, ხალხი თამაშებს რატომ არ ესწრება. თითქოს, უცხოეთის ჩემპიონატების ყურების შემდეგ, ჩვენი პირველობა სანახაობრივად უინტერესოა. ამ აზრს ვერ დავეთანხმები. ქართველები უცხოურ ფილმებსაც ვუყურებთ, მაგრამ მერე ქართველი რეჟისორების გადაღებულს არ ვუყურებთ? როგორ გეკადრებათ, კინოთეატრებში ტევა არაა. იმის თქმა მინდა, რომ პოტენციური მაყურებელი არსებობს, მაგრამ არაა იმ დონის სანახაობა, რასაც ჩვენი ხალხი ელის და შეჩვეულია.

თუკი თეატრსა და კინოშია ხალხმრავლობა, იგივე სტადიონებზეც მოხდება. პირადად მე, საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრებს ხშირად ვესწრები და მინდა გითხრათ, რომ რამდენიმე მატჩისგან დიდი სიამოვნებაც მივიღე.

- თქვენი აზრით, ლიგის შეკვეცასთან ერთად, უპირველესად, კიდევ რა პრობლემაა მოსაგვარებელი?

- როდესაც არსებობს ჩაწყობილი თამაშები და მასზე ყველა დუმს, ამაზე პირდაპირი რეაქციაა მაყურებლის სტადიონზე არმისვლა. მან ყველაფერი იცის და თავს არ მოიტყუებს.

სტადიონზე ხულიგნობაც და, ზოგიერთ შემთხვევაში, სისასტიკეც, უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. ასეთ მოვლენებს უნდა ვებრძოლოთ. მაყურებელმა ჩემპიონატს ზურგი ამიტომაც აქცია. წარმოგიდგენიათ, თეატრში ხალხი დაჭრან და შემდეგ იქ მაყურებელი მივიდეს?

ყველაზე ამაზრზენი კი ისაა, რომ ხულიგნებსა და დამნაშავეებს ხელს კლუბების ხელმძღვანელები აფარებენ. თავს ისე იჭერენ, თითქოს არც იციან, რა მოხდა.

სანამ ასეთი სამარცხვინო ფაქტები არ მოისპობა, მანამდე მაყურებელი ჩვენი ეროვნული პირველობით არ დაინტერესდება. ხალხს ფეხბურთის ნახვა სურს და არა ამ უმსგავსობის.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი თავს იმართლებს

შევჩენკო: მე ეს არ მითქვამს!

უკრაინელმა ვარსკვლავმა სანის მიმომხილველები სახლში მიიწვია და ყველა აქტუალური საკითხი განუმარტა...

ანდრეი შევჩენკო წარმატებული ადამიანია. ორი წლის წინათ მას ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო გადასცეს. უკრაინელს შესანიშნავი მეუღლე და შვილები ჰყავს და ლონდონის ექსკლუზიურ კვარტალში, ვენტვორთის გოლფკლუბის მეზობლად ცხოვრობს, მაგრამ ბოლო დროს მის ცხოვრებაში რაღაც აირია, არათუ რაღაც, არამედ ბევრი რამ მას მერე, რაც 30 მილიონ გირვანქად "მილანიდან" "ჩელსიში" გაყიდეს.

ლონდონელი შევჩენკო მილანელის აჩრდილია, ჯერჯერობით

"არისტოკრატების" უძვირფასესი ფეხბურთელი სკამზე გაამწესეს. ტაბლოიდებმა **ჟოზე მოურინიოსთან** მის კონფლიქტზე დაიწყეს საუბარი. ის მოურინიოსა და **რომან აბრამოვიჩის** დაპირისპირების მიზეზადაც კი გამოიყვანეს. **ანდრეიმ** "სანის" მიმომხილველი **შონ კესტისი** შინ მიიწვია და გულახდილი საუბარი გაუბა.

მან განმარტა, რომ აბრამოვიჩის ახლო მეგობარი არ არის, რომ მოურინიოს პატივს სცემს და თუ მწვრთნელი ძირითადში არ დააყენებს, მის გადაწყვეტილებას უსიტყვოდ დაემორჩილება. შევჩენკო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანაგუნდელებთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს და იმედი აქვს, რომ ბოლოდროინდელი სპეკულაციები ამ ურთიერთობებზე გავლენას ვერ მოახდენს:

"არ უარვყოფ, რომ ჩემი თამაში კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ ძნელია, უკომენტაროდ დავტოვო სტატიები, რომელიც არასაფეხბურთო ამბებს ეხება. დაწერეს, თითქოს აბრამოვიჩთან განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდეს, რაც უსაფუძვლო და გაზვიადებულია. აბრამოვიჩს მხოლოდ მაშინ ვხვდები, როცა ის გასახდელში შემოდის, ან "ჩელსის" ვარჯიშებს ესწრება - ზუსტად ისე, როგორც ნებისმიერი სხვა. იმის გამო, რომ ორივე რუსულად ვსაუბრობთ, ხანდახან ერთმანეთს გამოველაპარაკებით ხოლმე. ალბათ, უკეთესია, რუსულად სიტყვა არ დავძრა. აბრამოვიჩი რომ გავიცანი, ჯერ კიდევ "მილანის" წევრი ვიყავი. ერთმანეთს მაშინ შევხვდით, როცა მოსკოვში ერთ-ერთმა რუსულმა გაზეთმა დამაჯილდოვა...

თანაგუნდელებთან საუცხოო ურთიერთობა მაქვს. ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან. მე და ლემპარდი ოჯახებით ვმეგობრობთ. მინდა, მშვიდად ვიცხოვრო, მაგრამ ისეთ სიბინძურეს წერენ, რომ სიმშვიდის შენარჩუნება ძნელია. წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოიტანეს კომენტარები, რომელიც თითქოს მე ვთქვი. ასეთი ინფორმაცია მე და ჩემს ოჯახს ტკივილს გვაყენებს..."

ერთი თვის წინათ ჟოზე მოურინიომ გამოაცხადა, შევჩენკო ხელშეუხებელი მოთამაშე არ არისო. ცოტა ხანში თავდამსხმელი სკამზე გაამწესეს. შევა ამბობს, რომ მწვრთნელის გადაწყვეტილება მშვიდად მიიღო: *"მოურინიოს უდიდეს პატივს ვცემ. ის დიდი მწვრთნელია და თუ თვლის, რომ სათანადო დონეზე არ ვთამაშობ, ე.ი. უფრო მეტი მუშაობა მმართებს. ჩემს აზრს მნიშვნელობა არა აქვს. გადაწყვეტილებებს მწვრთნელი იღებს, ხოლო გუნდი მარტო შევჩენკო არ არის. ვიმეორებ, თუ მას მიაჩნია, რომ ცუდ ფორმაში ვარ, ბაზაზე უხდა დავბრუნდე და მეტი ვივარჯიშო..."*

შევა მუნდიალიდან ტრავმით დაბრუნდა, უცხო ქვეყანასთან შესაგუებლად საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ამასობაში, მასა და მის მეუღლეს, **კრისტენ პაზიკს** მეორე შვილი შეეძინათ, მაგრამ ფეხბურთელი ამ მიზეზებით თავის მართლებას არ ცდილობს: *"ფაქტია, რომ სასურველ დონეზე ვერ ვთამაშობ, მაგრამ ბევრს ვშრომობ. სამწუხაროდ, სასწაულების მოხდენა არ შემიძლია. მე "ჩელსიში" ახალი ფეხბურთელი ვარ, ჩემს სანაცვლოდ ძალიან დიდი თანხა გადაიხადეს და მოლოდინიც ამ თანხის შესაფერისი იყო. ყველა მხრიდან თავდასხმის ობიექტი გავხდი. ზოგჯერ საკუთარი თავით თვითონაც იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ თავს არ ვზოგავ, რომ პრობლემები მოვაგვარო... უსაგნო სპეკულაციები ჩემი და აბრამოვიჩის ურთიერთობებზე ყურადღებას მიფანტავს, მე კი სრული კონცენტრაცია მჭირდება. როცა უცხო გარემოში ხვდები, გონს მოსასვლელად დრო გჭირდება და კიდევ იღბალი, რომელმაც ზურგი შემაქცია. ვიმეორებ, არ ვაპირებ, უიღბლობით თავი ვიმართლო და პასუხისმგებლობას გავექცე... ვწუხვარ, რომ დღემდე მოლოდინი ვერ გავამართლე, მაგრამ დეპრესიაში არ ჩავვარდნილვარ. როცა რაღაც არ გამოდის, ხალხი ნაჩქარევ დასკვნებს აკეთებს, მე კი მგონია, რომ დასკვნებისთვის უფრო მეტი დროა საჭირო."*

შევა ამბობს, რომ შაბათს "ლივერპულთან" სათამაშოდ მზადაა. ის მადლობას უხდის ფანებს, რომლებიც მის სახელს გაჰყვიროდნენ "მაკლსფილდთან" სათასო მატჩის დროს, როცა "არისტოკრატებმა" 6:1 გაიმარჯვეს, შევჩენკომ კი ერთხელაც ვერ გაიტანა: *"ასეთმა ქომაგობამ გული ამიჩუყა. როცა მინდორზე ვარ, ყოველ წუთს ვგრძნობ, რომ ისინი ჩემს ზურგს უკან დგანან და მამხნევებენ. "მაკლსფილდთან" რამდენიმე მომენტი მქონდა, მაგრამ ვერ გავიტანე. ხანდახან ფეხბურთი სრულიად ამოუცნობია. მახსოვს, "მილანში" ყოფნისას ყველაზე ცოტა გოლი იმ სეზონში შევაგდე, როცა ჩემპიონთა თასს დავეუფლეთ...*

მე არა ვარ პოლიტიკოსი და მინდა, ინტრიგებისგან თავი შორს დავიჭირო. ფეხბურთელი ვარ და 9 წლის შემდეგ ფეხბურთს ვთამაშობ. ჯერ კიდევ ბევრი რამ შემიძლია და ვაპირებ კიდეც, კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწიო. ჩემი კონტრაქტი მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ იწურება. ამ ხნის განმავლობაში "ჩელსის" წევრი ვიქნები."

სებასტიან დაისლერი

ბაიერნი

დაისლერი: ჩემზე ნუ იდარდებთ

რას აპირებს ბასტი ფანტასტი და რას აპირებენ რეკორდმაისტერის ბოსები?

„ბაიერნის" გულშემატკივრებს ჯერ კიდევ აქვთ იმის იმედი, რომ **სებასტიან დაისლერი** ფეხბურთში დაბრუნება. ახლა თუ არა, იქნებ ზაფხულში მაინც დაუბრუნდეს მოედანსო – მოსთქვამენ რეკორდმაისტერის ფანები. მათ სპეციალური ვებ-გვერდიც კი გააკეთეს (www.deisler-mach-weiter.de), სადაც ნებისმიერ მსურველს ეძლევა იმის საშუალება, რომ 27 წლის სებას შეტყობინება დუტოვოს და დაბრუნება სთხოვოს. თვითონ სებასტიანი ამას ჯერჯერობით კატეგორიულად გამორიცხავს, მაგრამ შანსი იმისა, რომ ის მართლაც დაბრუნდეს მინდორზე, სულაც არ არის ნულის ტოლი. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ მისი მეგობრები, მათ შორის პირადი ფსიქიატრი **ფლორიან ჰოლსბოერი**.

ყველასთვის მოულოდნელად, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებიდან 2 დღის შემდეგ, გერმანიაში ახალ დისკუსიას დაედო სათავე. რას გააკეთებს სება? რა გეგმები აქვს მას? სად იცხოვრებს? და ა.შ. ნაწილი ფიქრობს, რომ სებას ფეხბურთის გარეშე მძიმე დეპრესია დაეწყება და შესაძლოა, უარესადაც კი გახდეს, ვიდრე 2004 წელს, როცა ფსიქიატრიულში იწვა. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ დაისლერი სწორედ ახლა იქნება რეალურად ბედნიერი. ერთი სიტყვით, სებასტიანის გამო მთელი გერმანია ნერვიულობს. ყველა ცდილობს, რამე რჩევა მისცეს ახლა უკვე ექს-ფეხბურთელს, რომელმაც 27 წლის ასაკში, ანუ, ძალიან ადრე დაასრულა კარიერა. ხსენებული გამოცემის კორესპონდენტი წერს, სებასტიანს ძალიან მშვიდი ხმა ჰქონდა და სულაც არ ეტყობოდა აფორიაქებაო. აი, რა უთხრა მას დაისლერმა: *„ძალიან კარგად ვარ. ძალიან გთხოვთ, ჩემს გამო ნუ იდარდებთ. ნურავინ იდარდებს ჩემს გამო!"* და მაინც რას აპირებს? *„ჩემს ოჯახზე ვიზრუნებ."*

როგორია დაისლერის ცხოვრება უფეხბურთოდ? - სხვათა შორის, ძალიან საინტერესო. პირველი, რასაც სებასტიანი და მისი მეგობარი გოგონა **ეუნიკე** მოიმოქმედებენ, ის გახლავთ, რომ შვილთან ერთად (**რაფაელი**, რომელიც მალე სამი წლის გახდება) მიუნხენიდან საცხოვრებლად დაბა გრიუნვალდში გადავლენ, სადაც სებამ ცოტა ხნის წინ სახლი შეიძინა. აქვს დიდი ეზო, პლანტაციები და ბაღი.

„მთავარია, რომ ცხოვრების ახალ სტილს შეეგუოს და შეეჩვიოს. მისი ყოველდღიურობა კარდინალურად შეიცვლება. სებასტიანმა უნდა ისწავლოს ბედნიერად ცხოვრება." – აცხადებს ჰოლსბოერი, მისი მეგობარი და პირადი ფსიქიატრი. შესაძლებელია კი ეს გერმანიაში, სადაც დაისლერს ყველა იცნობს? ფაქტია, რომ სამშობლოში სიმშვიდე არასდროს ეღირსება. ერთხელ, დაახლოებით სამი წლის წინ, სებამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, მინდა, რომ სამხრეთ ევროპაში ვცხოვრობდე, რომელიმე ზღვის სანაპიროზე და სახლში ბილიარდი მედგას, ჩემთვის სწორედ ეს იქნება სრული ბედნიერებაო. ამიტომაც დიდი შანსია, რომ გერმანია დატოვოს და სხვა ქვეყანაში გადავიდეს, გაიცნოს ხალხი, რომლებიც მას, როგორც ადამიანს აღიარებენ და არა როგორც მულტი-მილიონერ ექს-ვარსკვლავს.

„ნამდვილად არ იქნება ურიგო, თუკი ბევრს იმოგზაურებს და ახალ-ახალ კულტურებს გაეცნობა. მან უნდა დაივიწყოს ის ყოველდღიური რუტინა, რაც აქამდე ჰქონდა. ჯერ მხოლოდ 27 წლისაა და მთელი ცხოვრება წინ აქვს." – აგრძელებს ჰოლსბოერი. ცხადია, ბასტი-ფანტასტის ახალ ცხოვრებაში, ცხოვრებაში ფეხბურთის გარეშე, უდიდეს როლს ითამაშებს მისი რწმენაც. სება თავის თავს ქრისტიან-ბუდისტს უწოდებს.

„მე ჯერ კიდევ მაქვს იმის იმედი, რომ სებასტიანი კიდევ ერთხელ დაფიქრდება და გადაწყვეტილებას შეცვლის. განა ვინმეს შეუძლია იმის თქმა, რომ 5 თვის შემდეგ სება ისევ ასეთ აზრზე იქნება? მისთვის „ბაიერნის" კარი ყოველთვის ღია დარჩება." – ეს სიტყვები **ფრანც ბეკენბაუერს** ეკუთვნის.

„სულაც არ გამოვრიცხავ, რომ მოკლე ხანში საკუთარი სხეულისადმი რწმენა დაუბრუნდეს და მოედანზე გასვლა გადაწყვიტოს. ფაქტი ის არის, რომ თუკი ამის სურვილი ექნება, აუცილებლად უნდა სცადოს." – ეს კი კვლავ ჰოლსბოერის მოსაზრებაა.

■ ■ ■

მოკლედ, დაისლერი წავიდა და „ბაიერნის" ბოსები ამას უკვე შეეგუნენ. მენეჯერი **ული ჰოინესი** არ მალავს, რომ სასწრაფოდ შეუდგება სებასტიანის შემცვლელის ძებნას. *„ჩვენ უბრალოდ იძულებულები ვართ, რომ წინ გავიხედოთ და მომავალზე ვიზრუნოთ. ბუნდესლიგა 26 იანვარს განახლდება. თითქმის გამორიცხულია, რომ ახალი ფეხბურთელი ახლავე შევიძინოთ. ეს შეუძლებელიც კია."* – ამბობს ჰოინესი.

ფრანკ რიბერი

სამაგიეროდ, „ბაიერნი" უკვე ვალდებულია, ზაფხულში დაისლერის შემცვლელი მონახოს. სებასტიანის წასვლამ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგი და საერთოდ, ბავარიული გიგანტის შუა ხაზი ხომ ძალიან დაასუსტა. ამას ისიც ემატება, რომ ზაფხულში **მეჰმეთ შოლი** კარიერას ასრულებს, **ჰასან სალიჰამიჯიჩი** კი, რომელიც მარჯვენა ფლანგზე დაისლერის ალტერნატივა იყო ხოლმე, მომავალი სეზონიდან, როგორც იცით, „იუვენტუსში" გადავა. ვრცელდება ინფორმაციები, რომ ბავარიელებს დაისლერის შემცვლელად შალკელი **ჰამით ალთინთოფი** მიაჩნიათ, რომელსაც გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და თუ ხელშეკრულების ვადა არ გააგრძელა, სატრანსფერო ბაზარზე უფასო იქნება. ალთინთოფის გარდა, „ბაიერნის" პოტენციურ ახალწვეულად მოიაზრება „ჰერტას" თურქი ნახევარმცველი **ილდირაი ბაშთურქიც**.

უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ „ბაიერნს" **ფრანკ რიბერის** შეძენა უნდა. თუ გახსოვთ, ცოტა ხნის წინ, სანამ დაისლერი ფეხბურთიდან წასვლის შესახებ განცხადებას გააკეთებდა, ჰიონესმა თქვა, რიბერის ტრანსფერი მხოლოდ და მხოლოდ დაისლერზეა დამოკიდებული, თუ სება ათამაშდება, ფრანგ ნახევარმცველზე კრინტსაც არ დავძრავთო. ულიმ იმ დროს უკვე იცოდა, რომ ბასტი ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებაზე ფიქრობდა და ამ განცხადებით მისი მოტივირება სურდა.

„მინდოდა, მისთვის დამემტკიცებინა, რომ ის „ბაიერნს" სჭირდებოდა. ხომ იცით, მარსელის „ოლიმპიკიც" დუბაიში გადიოდა შეკრებას და თავისუფლად შემეძლო, რიბერის შესახებ მოლაპარაკებები წამომეწყო. მაგრამ დაისლერის გამო ეს არ გავაკეთე." – ამბობს ული. ირკვევა, რომ „მარსელი" მზადაა, ახლა მაინც წამოიწყოს მოლაპარაკებები „ბაიერნთან". ფრანგები 23 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ სავარაუდოდ 30-იდან 40 მილიონ ევრომდე მოითხოვენ.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

მილანი რონალდოს ელოდება

იტალიაში ფენომენის დაბრუნებას მოუთმენლად ელიან, მაგრამ ასის ცნობით, რეალი ბრაზილიელს უსასყიდლოდ არ გაუშვებს

რონალდო „მილანში“ ჯერ არ გადასულა, მაგრამ იტალიურ პრესას თუ გადახედავ, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, თითქოს უკვე მილანში იყოს. გაზეთები სავსეა ბრაზილიელზე დაწერილი სტატიებითა და ფოტოებით. უკვე ადგენენ სავარაუდო სქემებს, რა პოზიციაზე შეიძლება ითამაშოს „რონიმ“ „როსონეროში“ – ალბათ უფრო მეორე ფორვარდად **ჯილარდინოს** *უკანო, ფიქრობს უმრავლესობა, თუმცა დასძენენ,* **ანჩელოტის** *სხვა ვარიანტების გამონახვაც შეუძლიაო. ჩვენს იტალიელ კოლეგებს ეტყობა, წინათგრძნობა აქვთ ისეთი, რომ ეს ტრანსფერი აუცილებლად შედგება. დღევანდელი რონალდო ალბათ, იმ რონალდოს ნახევარიც აღარ არის, რომელმაც 2002 წლის ზაფხულში იტალია დატოვა, მაგრამ ეს ახლა მეორეხარისხოვანია. მარტო იმის მოლოდინი, რომ ბრაზილიელი შეიძლება მილანში დაბრუნდეს – ქალაქში, რომელმაც „ფენომენი“ შეარქვა – უკვე საკმარისია იმისთვის, რომ იტალიურ მედიაში არნარხული აჟიოტაჟი გამოიწვიოს, ტიფოზებში კიდიდი ვნებათღელვა. აგერ, ოთხშაბათს „ინტერი“ თასზე „ემპოლის“ ეთამაშებოდა (2:0), მაგრამ „სან სიროზე“ მისულ ინტერისტა ტიფოზებს თამაშზე მეტად, როგორც ჩანს, რონალდოს „მილანში“ გადასვლის საკითხი უფრო აღელვებდათ. უკანასკნელი სიტყვებით აგინებდა „კურვა“ („ინტერის“ ულტრასების ტრიბუნა) ბრაზილიელს, ტრანსფარანტებიც კი გამოფინეს, წარწერით „რონალდო გამყიდველი“. ეს ყველაფერი მაშინ, როცა „კიჭა“ მილანში ჯერ არ ჩასულა და რა იქნება, თუ მართლა ჩავა! „შავ-ლურჯთა“ უკმაყოფილება გასაგებია, სხვა მხრივ კი მთელი საფეხბურთო იტალია მოუთმენლად ელოდება „ფენომენის“ დაბრუნებას. ამასთან დაკავშირებით გუშინ „გაძეტა დელო სპორტი“ წერდა: „ტიფოზები, მილანიდან და მთლიანად იტალიიდან, განუწყვეტლივ გვირეკავენ რედაქციაში და გვეკითხებიან, რა ხდება რონალდოს ტრანსფერზეო. ერთი სული აქვთ, როდის იზეიმებენ კონტრაქტის ხელმოწერას. იმიტომ, რომ „ფენომენი“ არის არა უბრალოდ ფეხბურთელი, არა უბრალოდ თავდამსხმელი (რომელიც, თუ ფორმაშია, ისევ პირველია მსოფლიოში), არამედ მილიონობით გულშემატკივრის კერპი. სწორედ ასეთ რონალდოსთან შესახვედრად ემზადება დღეს ყველა მილანისტა“.*

„გაძეტა დელო სპორტის“ ყოფილი დირექტორი და ავტორიტეტული ჟურნალისტი **კანდიდო კანავო**, *რომელიც ამ გაზეთის ფურცლებზე ყოველდღიურად საკუთარ სვეტს აქვეყნებს, გუშინ რონალდოს შესახებ წერდა: „უკვე წარმომიდგენია, როგორ ჩამოდის ძვირფასი რონი თავის „საყვარელ“ მილანში. მნიშვნელობა არა აქვს, რომელ გუნდში: სიყვარული ფეხბურთში დროებითია, ის ხშირად ცვდება და იცვლის ობიექტს, მაგრამ რჩება ინტენსივობა. უკვე თვალწინ მიდგას ეს სცენა: ჟურნალისტებს ჯგუფები, მათ შორის ესპანელების, მოუთმენლად ელიან იტალიურად წარმოთქმულ ისტორიულ ფრაზას. კამერები მიმართულია მისი მომღიმარი სახისკენ, თავისი დიდი წინ გამოვარდნილი კბილებით, რომელმაც თავის დროზე ინტერისტების გული დაიპყრო. რონალდო მიჩვეულია ასეთ სცენებს. როცა პირველი „ოქროს ბურთი“ მოიგო, პარიზში მასთან ერთად გავფრინდი. ალბათ, ფელინია საჭირო იმ ფსიქოზური სცენის აღსანერად, რომელიც მედიამ მისი დახვედრისას მოაწყო. მაგრამ ახლა რაღაა გასაგიჟებელი რონალდოს ჩამოსვლაში? სულელური შეკითხვაა. აქტუალური დღეს არის არა თავად ვარსკვლავი, არამედ გამოწვევა, პარადოქსი, პლანეტარული მნიშვნელობის ტრანსფერი. „მადრიდის „რეალი“ თავიდან გიშორებს, კაპელომ შეუხედავი გიწოდა, ჩამოდი „მილანში“, ჩვენთან, მილანელოს ლაბორატორიაში, შენს მწყობრში ჩაყენებაზე ვიზრუნებთ. გარანტირებული გაქვს ბევრი ფული, ცნობილი სტადიონი, ელიტური ფეხბურთი და გასართობი ადგილები, რომლებიც დღემდე არ დაგვიწყებია. თუ ამ ყველაფერს ცოტა მონდომებასა და პატარა ოფლსაც დაამატებ, მსოფლიოს გავაოცებთ.*

ერთ დროს ფეხბურთელებს ტალანტისთვის ყიდულობდნენ, დღეს კი სხვა მოსაზრებებით: კლუბებს მაისურებს იაპონიაში კარგად აყიდინებენ, აქვთ ისეთი იმიჯი, რომ ყველას მაგნიტივით იზიდავენ, ჰყავთ ლამაზი ცოლები (ამ მხრივ რონალდო რაოდენობაზე თამაშობს), გაზეთებში მინიმუმ ერთი სტატია გარანტირებული აქვთ, კარგი ან ცუდი შინაარსით. ასეთი ტიპის ფეხბურთში რონალდო ისევ ნომერი პირველია, რადგან იმ დროს, როცა მსუქანას, ზანტსა და მოუქნელს ეძახის, ის უცბად ერთ-ორ ისეთ ნომერს ჩაატარებს და ისეთ გოლებს გაიტანს, რომ მომდევნო ორ თვეზე ჰყოფნის, კარგად რომ ჭამოს და დაკარგული კილოგრამები აღიდგინოს.“

„კორიერე დელო სპორტის“ თანახმად, რონალდოს ასეთი ფრაზა უთქვამს: „მოხარული და ამაყი ვარ, რომ „მილანს“ ჩემი აყვანა უნდა. ეს ერთადერთი გუნდია, ვისი წინადადებაც მაინტერესებს. ჯერ 30 წლის ვარ და მინდა, ვნახო მაღალ დონეზე კიდევ რამდენის გაკეთება შემიძლია“. ამასობაში, იტალიურ მედიაში ცნობები გავრცელდა, თითქოს „მილანის“ ყველა ფეხბურთელი დიდი სიხარულით სულაც არ ხვდება ბრაზილიელის ჩამოსვლის ამბავსო. ვიცე-პრეზიდენტმა, **ადრიანო გალიანიმ** ამას შემდეგნაირად უპასუხა: *„მილანის“ დიდი ოჯახი, პრეზიდენტ ბერლუსკონით დაწყებული მილანელოს დარაჯით დამთავრებული, ერთსულოვნად მიესალმება რონალდოს შესაძლო ჩამოსვლას. ბრაზილიელის „როსონერიში“ გადასვლა არანაირად არ ნიშნავს ჩვენს რომელიმე თავდამსხმელზე უარის თქმას და მით უმეტეს პიპო ინძაგიზე, რომელიც ნომერი პირველი გოლეადორია მოქმედ იტალიელ ფეხბურთელებს შორის. რონალდო ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა, რომელიც თუ ახდება, მშვენიერი იქნება, თუ არა და, ჩვენი ბიჭებით გავაგრძელებთ“.* პრეზიდენტმა ბერლუსკონიმ, ურომლისოდაც „მილანში“ არაფერი ხდება, გალიანის თავისი თანხმობა მისცა რონალდოს ჩამოყვანაზე და ვიცე-პრეზიდენტიც იმ წამსვე ამოქმედდა. ბრაზილიელის აგენტს შეხვდა და ყველაფერი შეათანხმა: ხელფასი, კონტრაქტის ხანგრძლივობა და იმიჯის უფლებები. ახლა „მილანის“ ოფისში ისღა დარჩენიათ, რომ დაიცადონ. ჯერი „რეალის“ დირექტორებზეა. მათ უნდა გადაწყვიტონ, გაუშვან „ფენომენი“ უსასყიდლოდ, თუ უკან არ დაიხიონ და გუნდში დაიტოვონ უკმაყოფილო ფეხბურთელი, რომელიც **კაპელოს** აღარ უნდა. საერთაშორისო აგენტი **ერნესტო ბრონძეტი** და **არიგო საკი**, ხალხი, ვინც „მილანისა“ და „რეალის“ სამზარეულოს კარგად იცნობს, ამბობენ, რომ მოლაპარაკება საბოლოოდ წარმატებით დასრულდება. მაგრამ საპირისპირო შინაარსის ცნობა გაავრცელა გუშინ „დიარიო ასმა“. *„მადრიდული კლუბი რონალდოს გათავისუფლების ფურცელს არ მისცემს“* – პირდაპირ სათაურში წერდა ესპანური გამოცემა. „ასის“ თანახმად, „რეალის“ დირექტორები ოთხშაბათს „მილანისა“ და რონალდოს წარმომადგენლებს შეხვდნენ. მოლაპარაკება გვიან ღამემდე მიმდინარეობდა, მაგრამ შეთანხმების მიღწევა არ მოხერხდა. სამეფო კლუბის სპორტულ დირექტორ **პრედრაგ მიატოვიჩს** უთქვამს, რომ ბრაზილიელს უსასყიდლოდ წასვლის უფლებას არ მისცემს იმ დროს, როცა მაგიდაზე არაბეთიდან მიღებული ორი შეთავაზება უდევს და კლუბის სალაროში გვარიანი ფულის შეტანა შეუძლია.

გოგა ახალაძე

ექსპერტის მოსაზრება

რონალდო უდისციპლინოა, ბარჯიში არ უყვარს

გავლენიანი ესპანელი ჟურნალისტი ბრაზილიელის მადრიდულ კარიერას აფასებს...

ასეა თუ ისე, მილანი დიდ მოლოდინშია და ტრანსფერი რომც არ შედგეს, ამას მანამდე არ დაიჯერებენ, სანამ იანვრის სატრანსფერო ფანჯარა არ დაიხურება. გუშინ „გაძეტა დელო სპორტი“ ესპანური „მარკას“ ვიცე-დირექტორ ხოსე ფელიქს დიასს დაუკავშირდა და რონალდოს შესახებ მოსაზრების გამოთქმა სთხოვა. დიასი „მარკაში“ „რეალის“ თემაზე წერს და რონალდოს მადრიდულ ეპოპეას ზედმიწევნით კარგად იცნობს. აი, როგორ უპასუხა მან „გაძეტას“ კორესპონდენტის შეკითხვებს.

- თუკი რონალდო იანვარში „მილანში“ გადავა, როგორი იქნება მისი მადრიდული კარიერის საბოლოო შეფასება?

- გამიჭირდება, რომ მის მადრიდულ კარიერას უარყოფითი არ ვუწოდო. პირველ სეზონში საკონტინენტთაშორისო თასი და ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიგო. სულ ეს იყო, მეტი აღარაფერი მოუგია. ეს აშკარად ცოტაა, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის.

- იყო კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ამ წლების განმავლობაში?

- ჰქონდა გამონათებები. ბრწყინვალედ ათამაშდებოდა ხოლმე, მაგრამ ცალკეულ პერიოდებში. როცა რონალდო ფორმისა და მონდომების პიკზეა, მაშინ მისი თამაში ყველაზე დიდი და წარმტაცი სანახაობაა, რომელიც ფეხბურთელს შეუძლია, საფეხბურთო მოედანზე დადგას. მაგრამ ასეთი ბედნიერი პერიოდები თანდათან სულ უფრო იშვიათი გახდა, აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ითამაშა კარგად.

- მიგაჩნიათ, რომ პერესის ეპოქის წარუმატებელი დასასრული – სამი სეზონი ტიტულების გარეშე – პირველ რიგში, რონალდოს ბრალი იყო?

- არა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. უსამართლობა იქნება მარტო მისი გამორჩევა, რადგან ის სეზონები მთლიანად გუნდმა ჩაადგო. მეორე მხრივ, ის რაც რონალდოს აკლია, დისციპლინაა. ვერ იტანს რეჟიმს და ამით აიხსნება ის, თუ რატომ გრძნობდა თავს მადრიდში ასე მშვენივრად მთელი ამ წლების განმავლობაში.

- ამით ხომ არ აიხსნება ისიც, რომ კაპელოსთან ურთიერთობა, პრაქტიკულად, დასაწყისშივე გაუფუჭდა?

- ვფიქრობ, რომ მიზეზი სწორედ ეს იყო. გულის სიღრმეში ყველამ ვიცოდით, რომ როცა „ინტერი“ „რეალზე“ გაცვალა, ამით გამოამჟღავნა თავისი სიძულვილი დისციპლინის მიმართ, რომელსაც ექტორ კუპერი ითხოვდა. კაპელოსთანაც იგივე დაემართა.

- თუმცა, ეს ტაქტიკური დისცილინის პრობლემა არ უნდა იყოს, არა?

- რონალდოს არ უყვარს ვარჯიში, არ უყვარს მუშაობა, ამ წლების განმავლობაში არასდროს იცავდა იმ ცხოვრების წესს, რომელთაც მაღალი დონის სპორტსმენი უნდა მისდევდეს. ვიმეორებ: კლუბის შიგნით იყო ხალხი, ვინც ამის უფლებას აძლევდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისნაირი ვარსკვლავი მართლა ასე უნდა მოქცეულიყო და თავი რეჟიმში არ ჩაეყენებინა. რონალდო ვალდებული იყო, რომ მეტი გაკეთებინა ისეთი კლუბისთვის, როგორიც მადრიდის „რეალია“.

- თუკი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება, იოლი მისახვედრია, რომ „მილანი“ ბრაზილიელს დისციპლინასთან დაკავშირებულ გარანტიებს მოსთხოვს. თქვენი აზრით, მიიღებს კლუბი ამ გარანტიებს?

- ამ კითხვაზე მე ვერ გიპასუხებთ, რადგან არ ვიცი. შემიძლია, ერთი მოსაზრება გამოვთქვა: 30 წლის ასაკში ძნელია, რომ ფეხბურთელმა ჩვევები შეიცვალოს, განსაკუთრებით ასეთმა მდიდარმა და ცნობილმა ფეხბურთელმა.

- „მილანის“ ტიფოზებისთვის დამაიმედებელი ერთი სიტყვა მაინც გვითხარით, სრულ პესიმიზმში რომ არ გადავარდნენ...

- თუ „მილანში“ გადავა, რონალდო „სან სიროზეც“ ჩაატარებს დიდ თამაშებს და ლამაზ გოლებსაც გაიტანს. იმის თქმა მინდა, რომ დამთავრებული ვარსკვლავი არ არის. თუმცა, ნურავინ ელის, რომ მთელ სეზონს მაღალ დონეზე ითამაშებს, რადგან კარგად თამაში ცალკეულ შეხვედრებში შეუძლია და არა თვეების განმავლობაში. რონალდო ხანმოკლე ტურნირის ფეხბურთელად იქცა – ისეთად, რომელსაც მხოლოდ ორი თვე შეუძლია, თავდაუზოგავად მოემზადოს, ივარჯიშოს და ადრე დაიძინოს და სათანადო ფორმაში შეხვდეს დროში შეზღუდულ ისეთ ტურნირს, როგორიცაა მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატი. ხანგრძლივი ჩემპიონატისთვის რონალდო უკვე ნაკლებად გამოსადეგია.

- თქვენი სიტყვების შემდეგ, კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ „მილანს“ უფლება არა აქვს, ის ჩემპიონთა ლიგაში გამოიყენოს...

- გეთანხმებით. სპეციფიკური და პრინციპული თამაშისთვის რონალდოს მშვიდ პირობებში მომზადებით, ანჩელოტი მისგან უდავოდ კარგ შედეგს მიიღებდა. ჩემპიონთა ლიგაში ისევ შეძლებდა თავისი ნიჭის გამომჟღავნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსე მარია გუტიერესმა პრეზიდენტის უტაქტობა გააპროტესტა

რეალი

გუჯი კალდერონს: გეყოფა პირიდან განავლის ამოშვება

დარცხვენილმა პრეზიდენტმა პატიება ითხოვა, ფეხბურთელებმა ბოსს შეუნდეს და იმედი დაიტოვეს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება

"რეალში" მოვლენები კვლავაც საინტერესოდ ვითარდება. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ **რამონ კალდერონმა** ფეხბურთელების, გულშემატკივრებისა და ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ გაილაშქრა. სამეფო კლუბის უმაღლესმა ხელისუფალმა განსაკუთრებით უდიერად მოთამაშეები მოიხსენია. კალდერონის გამოხდომით გაოგნებულმა ვარსკვლავებმა ერთ-ერთი რესტორანი დაიქირავეს და გემრიელ სუფრასთან კრება გამართეს. მათ მიიჩნიეს, რომ პრეზიდენტი უსამართლოდ მოიქცა და სენიორ კალდერონისგან ბოდიშის მოხდა და ახსნა-განმარტებები მოითხოვეს.

ბატონმა რამონმა ბოდიში იმ დღესვე მოიხადა, მაგრამ მხოლოდ ამით, რა თქმა უნდა, თავს ვერ დაიძვრენდა. გუშინ ის საწვრთნელ ბაზაზე მივიდა და საათნახევრის განმავლობაში ფეხბურთელების გარემოცვაში ამოჰყო თავი. პრესას, ცხადია, კარი მიუხურეს, მაგრამ ცნობისმოყვარე ჟურნალისტების ბაზიდან გაგდება მაინც ვერ შეძლეს. ისინი დერეფანში ყურყუტებდნენ.

ამასობაში დარბაზში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ჩვენს კოლეგებს ხმამაღალი საუბარი და ცალკეული ფრაზები შემოესმათ. სავარაუდოდ, **გუტი** ბოლო ხმაზე გაჰკიოდა: *"გეყოფა პირიდან განავლის ამოშვება."* ხოსე მარია ერთადერთი არ გახლდათ, რომელმაც პრეზიდენტს უხეშად მიმართა. *"გვითხარი, ჩვენთან ხარ თუ ჩვენს წინააღმდეგ. ასე არაფერი გამოვა. უნდა აღიარო, რომ ძალიან ცუდად მოგვექეცი."* ამ წინადადებების ავტორი, სავარაუდოდ, **რობერტო კარლოსია**. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი პირენეელი კოლეგები აცხადებენ, რომ ბრაზილიელის ხმას ძალიან ჰგავდა.

კალდერონს ტონალობისთვის არ აუწევია, პირიქით, პრეზიდენტი ძალიან დარცხვენილი და მორიდებული იყო. ბატონმა რამონმა ბიჭებს ბოდიში მოუხადა. მან გულწრფელად აღიარა, რომ ემოციებს ვერ გაუმკლავდა და გაფუჭებულ გუნებაზე უსამართლო განცხადება გააკეთა. ვარსკვლავებმა ბოდიში მიიღეს და იმედი დაიტოვეს, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდება.

ამასობაში, "რადიო მარკამ" საკუთარ მიკროფონებთან არიგო საკი დაპატიჟა. "რეალის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ამჟამინდელ სიტუაციაზე ისაუბრა. იტალიელს ბევრისთვის მოულოდნელი მოსაზრებები აღმოაჩნდა. აი, რა განაცხადა მან: *"ჩემი აზრით, ფაბიო კაპელოს დანიშვნა დიდი შეცდომა იყო. "რეალს" სულ სხვა ტრადიციები და სტილი აქვს. გულშემატკივრები კმაყოფილები იქამდე ვერ იქნებიან, მანამ გუნდი შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს არ ითამაშებს. კაპელოს ხელში ეს გამორიცხულია. არ ვამბობ, რომ ის ცუდი მწვრთნელია. პირიქით, ფაბიომ სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში, ფაქტობრივად, ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ უდავოა, რომ ამ კაცისა და სამეფო კლუბის გულშემატკივრების გემოვნება რადიკალურად განსხვავდება. აქცენტი დაცვაზეა გაკეთებული. საუკეთესო შემთხვევაში, "რეალი" უსახურ კონტრშეტევებს მიმართავს. "ინტერის" ან "იუვენტუსის" ტიფოზები ასეთი ფეხბურთით აღფრთოვანებულები იქნებოდნენ, მაგრამ "სანტიაგო ბერნაბეუზე" მსგავსი სტრატეგიით მოქმედება ძალიან სახიფათოა. მოკლედ, მე რომ რამონ კალდერონი ვყოფილიყავი, ფაბიო კაპელოს მოწვევა აზრადაც არ მომივიდოდა."*

ინტერვიუ გონსალო იგუაინთან

ჩემი თანაგუნდელები პრეზიდენტს თავად უპასუხებენ

ახალგაზრდა არგენტინელი რამონ კალდერონისა და ფეხბურთელების დაპირისპირებაში არ ერევა. დიპლომატია, ცივსისხლიანობა და თავმდაბლობა - ამ თვისებების წყალობით, უმცირეს დროში პიპიტა ბერნაბეუს კერპად იქცა...

ფერნანდო იგუაინი სამეფო კლუბს უმალ მოერგო

ის სულ რაღაც 19 წლის არის და სამეფო კლუბში სულ რაღაც ორი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ გულშემატკივრების ერთ-ერთ უსაყვარლეს ფეხბურთელად იქცა. თავმდაბლობა იგუაინის სავიზიტო ბარათია. ფსიქოლოგიური წნეხი მისთვის არანაირი საფრთხე არ აღმოჩნდა. გასაოცარი ცივსისხლიანობა და პრაგმატიზმი. ეს ის თვისებებია, რომელიც გონსალომ გამოამჟღავნა. მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ ყმანვილი არგენტინელი ახალი "რეალის" სახე გახდება.

- ამიხსენი, სულ რაღაც ორი თამაშით ინჩასების გულის მონადირება როგორ შეძელი, შენ ხომ მათი ნამდვილი კერპი ხარ.

- არა, არა, რას ამბობთ (იცინის).

- გინდა თუ არა, ეს ასეა. უცნაური ის არის, რომ გოლი ჯერ არ გაგიტანია, თუმცა გულშემატკივრები უკვე შენს მაისურებს ყიდულობენ.

- ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ კმაყოფილი ვარ. როცა გაზეთებს ვკითხულობ, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებ. გულშემატკივრები უდიდეს სითბოს გამოხატავენ. "სარაგოსასთან" საკმაოდ მძიმე მატჩი გვქონდა. თამაშის მსვლელობისას მრავალი პრობლემა შეგვექმნა, მაგრამ ყველაფერს გავუძელით და მოვიგეთ. ქომაგებმა მეთორმეტე ფეხბურთელის ფუნქცია შეასრულეს. ჩვენ დავრბოდით, ვიბრძოდით, ტექნიკის დემონსტრირებას ვახდენდით. ხალხმა ეს კარგად დაინახა და მადლიერების ნიშნად ოვაციებით გაგვისტუმრა.

- "სანტიაგო ბერნაბეუს" ატმოსფეროს შესახებ ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდი, როცა არგენტინაში იყავი. საინტერესოა, სწორედ ასეთ ინჩადას ელოდი?

- რა თქმა უნდა. უამრავი გადმოცემა და ისტორია მსმენია. "ბერნაბეუს" ყველა აღმერთებს. უცნაური შეგრძნებაა, როცა ამ ულამაზეს სტადიონზე შეაბიჯებ და თამაშს დაიწყებ. განსაკუთრებით, თუ ტრიბუნები ბოლომდე შევსებულია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემ გარდა ფეხბურთელი არავინაა. იმედია, გაცემულ ავანსებს გავამართლებ და ქომაგები კიდევ უფრო შემიყვარებენ.

- სადებიუტო შეხვედრაში ისეთი თავდაჯერებული იყავი, თითქოს 250-ე პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებას ატარებდი. არ მავიწყდება, რომ 19 წლის ხარ. გაგვიმხილე, როგორ ახერხებ ამას.

- სიმართლე გითხრათ, სიმშვიდე მწვრთნელის დახმარების წყალობით მოვიპოვე. ფაბიო კაპელომ პირველივე დღეს თავზე ხელი გადამისვა და მითხრა, პიპიტა, არაფერზე ინერვიულო, ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ შესაძლებლობები გამოამჟღავნო. უახლოეს მომავალში კი უმაღლეს მწვერვალებს დაიპყრობო.

- სამეფო კლუბის ძველმა გვარდიამ მართლაც გულღიად მიგიღო? ცოტა არ იყოს, დაუჯერებლად ჟღერს.

- რატომ არის დაუჯერებელი? ჩემი ჩამოსვლით არავინ განაწყენებულა. ბიჭები მხარში ამომიდგნენ და დახმარებას შემპირდნენ. ვაკეთებიმას, რაც ვიცი. ცხადია, მომავალში კიდევ უფრო მეტი ვარჯიში დამჭირდება. "რეალი" მუდმივ პროგრესსა და წინსვლას მოითხოვს.

- ზიდანის, რონალდოს, ბექჰემის, ფიგუს, რაულისა და კასილიასის "რეალი" წარსულში დარჩა. როგორ ფიქრობ, იგუაინი, გახო, მარსელო და დიარა ახალ "რეალს" ააშენებენ?

- დადებითი პასუხი რომ გაგცეთ, მეტისმეტად ამპარტავანი ადამიანის შთაბეჭდილებას დავტოვებ (იცინის). მეორე მხრივ კი, უდავოა, რომ აქ დიდი გამარჯვებების მოსაპოვებლად ჩამოგვიყვანეს. ვფიქრობ, გუნდი ძველ და ახალ გვარდიებად არ უნდა დაიყოს. უნდა გავერთიანდეთ და საერთო ძალისხმევით "რეალს" ძველი დიდება დავუბრუნოთ. ჩვენი გულშემატკივრები "სიბელესზე" გასვლას იმსახურებენ.

- როგორ, "სიბელესის" შესახებ უკვე იცი?

- "სიბელესის" ფიესტები "რეალის" ისტორიის ნაწილია. შეუძლებელია ეს არ იცოდე. სამეფო კლუბის წარსული შოკის მომგვრელად შთამბეჭდავია. როცა სატელევიზიო გადაცემას ნახავ ან წიგნს წაიკითხავ, "ბერნაბეუზე" თამაშის სურვილი გიჩნდება. აქ მოპოვებული ქულებითა და გამარჯვებებით კი "სიბელესისკენ" მიმავალი გზა გიფართოვდება. მართალია, დისტანცია არცთუ ისე დიდია, მაგრამ ამ მცირე მანძილის დაფარვას ჩემპიონთა ლიგაში ან პრიმარა დივიზიონში გამარჯვება სჭირდება.

- როგორ ფიქრობ, დღევანდელ შემადგენლობას შესწევს საამისო უნარი?

- უდავოდ. ბოლო დროს კრიტიკამ ერთი-ორად იმატა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემი თანაგუნდელები საჭურისები არიან. "სარაგოსასთან" საზოგადოებამ სულ სხვა გუნდი იხილა. რენესანსი ახლა იწყება. მჯერა, სეზონის ბოლოს რომელიმე ტიტულით მოვიწონებთ თავს.

- გულწრფელად მითხარი, პრესის კრიტიკული სტატიები ფსიქოლოგიურ წნეხში ხომ არ გაგდებს?

- პირადად მე, ჯერჯერობით, არავის გავუკრიტიკებივარ. ზოგადად კი პრესის აგრესია არ მიკვირს, რადგან არგენტინაში აბსოლუტურად იგივე სიტუაციაა. საკმარისი იყო ერთი ან ორი თამაში ჩაგვეგდო, ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე ჩვენი ლანძღვა-გინება იბეჭდებოდა. რა უნდა მოხდეს, სიმშვიდე და წონასწორობა რომ დავკარგო. ფეხბურთელი მასმედიის მიერ ატეხილ აჟიოტაჟს არ უნდა აჰყვეს. თუ შეატყობ, რომ მწვავე სტატიები შენზე ცუდად მოქმედებს, გაზეთი საერთოდ არ უნდა წაიკითხო. მოკლედ, ჯერჯერობით, არანაირი პრობლემა არ არსებობს.

- დევიდ ბექჰემის მოულოდნელი ტრანსფერის შესახებ რას გვეტყვი?

- ეს ესაა ჩამოვედი და სიტუაციაში კარგად არ ვარ გარკვეული.

- 19 წლის სუპერდიპლომატი. მართლაც საოცარია, როგორ მოხერხებულად აარიდე კითხვას თავი.

- არ მინდა იფიქროთ, რომ თავს გარიდებთ. უბრალოდ, ნიუანსებში მართლაც არ ვარ გარკვეული. როცა აქ ჩამოვედი, ბექჰემის ტრანსფერთან დაკავშირებით არანაკლებ დიდი აჟიოტაჟი იყო ამტყდარი. დევიდმა ამერიკაში წასვლა გადაწყვიტა. ვგონებ, ამაში არაფერია უჩვეულო. მეორე მხრივ, ხელმძღვანელობას საკუთარი არგუმენტები აქვს. როგორც ვიცი, ისინი უკმაყოფილები დარჩნენ. რამონ კალდერონმა უჩვეულოდ მკაცრი განცხადება გააკეთა.

- პრეზიდენტის პრესკონფერენციის შესახებ არაფერს გვეტყვი?

- ეს არ არის ჩემი საქმე.

- როგორ არა, მან ფეხბურთელებს შეუტია.

- არც ვიცი რა უნდა გითხრათ. კალდერონს ჩემთან პრეტენზიები არ აქვს. ვერც ექნება, რადგან ახალი ჩამოსული ვარ. ამიტომ, სხვების ნაცვლად ვერ ვისაუბრებ. ჩემი თანაგუნდელები პრეზიდენტს თავად გასცემენ პასუხს. თუ რაიმე აქვთ სათქმელი, აუცილებლად იტყვიან.

- "ბარსელონას" პრობლემები დაუგროვდა. როგორ ფიქრობ, კატალონიელთა მატარებელმა უკვე ჩაიარა?

- "ბარსას" მცირე კრიზისის პერიოდი უდგას. მათი ჩამოწერა ყველაზე დიდი უგუნურობა იქნება. კატალონიელებს გენიალური გუნდი ჰყავთ, თუმცა ჩვენ მათზე არ ვფიქრობთ. მთავარია, "რეალმა" საკუთარი ძალა გამოაჩინოს.

- არგენტინაში ყოფნისას "რეალში" თამაშზე ოცნებობდი. ახლა რა არის შენი ნატვრა?

- რა თქმა უნდა, ტიტულების მოპოვება. რაც შეიძლება მეტ ჯილდოს უნდა დავეუფლო.

- ყველაზე მეტად რომელი გაგახარებდა?

- ჩემთვის სამივე ტიტული მნიშვნელოვანია.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარგრივსი ბრუნდება

ოუენ ჰარგრივსმა ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა. 25 წლის ნახევარმცველი ისევ განუწყვეტელი სპეკულაციების ობიექტია. მას "მანჩესტერ იუნაიტედში" ტრანსფერს უწინასწარმეტყველებენ. გარიგება კი არა და არ ხერხდება. ჰარგრივსს 17 სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია (ფეხი მოიტეხა). ოუენს იმედი აქვს, რომ ბუნდესლიგის განახლებამდე ფორმაში ჩადგება: *"დატვირთვებს თანდათან მიზრდიან. ორი კვირის ინტენსიური მუშაობა, იმედია, მინდორზე გასვლის საშუალებას მომცემს. სასიამოვნოა, რომ ოთხთვიანი პაუზის შემდეგ თანაგუნდელებთან ერთად ვივარჯიშე."*

ერთი კვირის წინათ "ბაიერნის" პრეზიდენტმა, **ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა, რომ მზადაა ჰარგრივსი გაყიდოს, თუ 30 მილიონ ევროს გადაუხდიან. ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა, **სვენ გორან ერიქსონმა** "მანჩესტერს" ურჩია, ოუენი ამ თანხად ღირსო. ნახევარმცველმა კი საკუთარი ფასით გაკვირვება ვერ დამალა.

ბეტისი ძლიერდება

იანვრის სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე 12 დღე დარჩა. გუნდებმა, რომლებსაც შემადგენლობის გაძლიერება სურთ, უნდა იჩქარონ. გუშინ "ბეტისის" პრესსამსახურმა გულშემატკივრებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამცნო. სასწაული თუ არ მოხდება, ანდალუსიელები არგენტინული "არსენალიდან" **ხუან პაბლო კაფას** გადაიბირებენ. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ოკეანისგაღმელი ნახევარმცველი სულ რაღაც ორი მილიონი დოლარი დაჯდება. თანხით თუ ვიმსჯელებთ, კაფასგან სასწაულებს არ უნდა ველოდეთ. თუმცა **ლუის ფერნანდესი** მასზე კარგი შეხედულებისაა და იმედოვნებს, რომ ხუან პაბლო გასაჭირში ჩავარდნილ "ბეტისს" დიდ სამსახურს გაუწევს.

დორტმუნდი: სმოლიარეკი დაჯარიმეს

რამდენიმე დღის წინათ დორტმუნდის „ბორუსიის" პოლონელმა თავდამსხმელმა, **ები სმოლიარეკმა** გუნდის ხელმძღვანელობა მკაცრად გააკრიტიკა. ფორვარდი ფიქრობს, რომ მის გარჯას ვესტფალიურ კლუბში ჯეროვნად ვერ აფასებენ და მიიჩნევს, რომ გაცილებით მაღალ ხელფასს იმსახურებს, ვიდრე უხდიან. გარდა ამისა, „რურ ნახრიხთენისთვის" მიცემულ ინტერვიუში სმოლიარეკი კატეგორიულად ითხოვდა „ბაიერნთან" შეხვედრდაში (მომდევნო ტურში) ძირითად შემადგენლობაში თამაშს. ამ ყველაფრის გამო BVB-ს ბოსებმა პოლონელი 20 000 ევროთი დააჯარიმეს.

ემერსონმა ტურინში დაბრუნება მოისურვა

რეალი

კაპელო: ბექჰემმა, შეიძლება, ითამაშოს

მწვრთნელმა პოზიცია შეარბილა, მას არც რონალდოს ხსენება დავიწყნია

დევიდ ბექჰემი

ამერიკაში გამგზავრებამდე **დევიდ ბექჰემი** "რეალის" მაისურას კიდევ მოირგებს. **ფაბიო კაპელომ** მკვეთრი პოზიცია შეარბილა და თქვა, რომ ინგლისელი გალაქტიკო ნამდვილი პროფესიონალია და სხვა კლუბთან კონტრაქტის გაფორმების მიუხედავად, ძველებური მონდომებით ვარჯიშობს: *"აზრის შეცვლას წინ არაფერი უდგას. ვერაფერს გამოვრიცხავთ. ჩემი პოზიცია საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლება, სხვაგვარად ვიფიქრო."*

ეს განცხადება მკვეთრად განსხვავებული გახლდათ იმისგან, რაც კაპელომ ორიოდე დღის წინათ გააკეთა. როგორც კი შეიტყო, რომ ბექჰემმა "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" კონტრაქტზე მოაწერა ხელი, იტალიელმა მწვრთნელმა დასძინა, მას, შეუძლია, "რეალთან" ერთად ივარჯიშოს, მაგრამ აღარ ითამაშებსო. კაპელომ ეს სიტყვები წარმოთქვა იმის მიუხედავად, რომ დევიდის მადრიდული ხელშეკრულება მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ იწურება.

ბექჰემის წარმომადგენლებმა კაპელოს რადიკალიზმის გამო გაკვირვება ვერ დამალეს. გაკვირვებულნი იყვნენ ჟურნალისტებიც. "სარაგოსასთან" ნამატჩევს ერთმა მიმომხილველმა კაპელოს ათი წლის წინანადელი ამბები გაახსენა. 1997 წელს დონ ფაბიომ "მილანში" დაბრუნებაზე მაშინ თქვა თანხმობა, როცა მადრიდული კონტრაქტი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული.

გუშინ კაპელო არც **რონალდოს** მისამართით ყოფილა ძველებურად კატეგორიული: *"მას კოჭის მცირე ტრავმა აქვს. ამის მიუხედავად, სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ის "რეალის" ფეხბურთელია და ვფიქრობ, გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია."* მწვრთნელის განცხადებების პარალელურად, რონალდოს ტრანსფერზე "მილანთან" ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

დასასრულს, საინტერესო ინფორმაცია, რომელიც "მარკამ" გაავრცელა. ეკონომიკური მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ **დევიდ ბექჰემის** წასვლის შემდეგ "რეალი" წლიურად 30 მილიონ ევროს იზარალებს. ეს ის თანხაა, რომელიც სამეფო კლუბს ინგლისელის იმიჯის უფლების 50 პროცენტიდან შესდის. ბექჰემთან თანამშრომლობის პერიოდში ინგლისელ გალაქტიკოს "რეალისთვის" ყოველთვის იმაზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა, ვიდრე მას ხელფასის სახით უხდიდნენ.

იუვენტუსი. ტრანსფერები

დეშამი ემერსონსა და საპიოლას ელოდება

მეტცელდერი, ტურინელთა კიდევ ერთი სამიზნე?

"იუვენტუსის" თავდამსხმელმა, **ვალერი ბოჟინოვმა** "სპარტაკის" ყურადღება მიიპყრო. ახლა უკვე ცნობილია, თუ რატომ დაესწრო მოსკოველთა სპორტული დირექტორი **სტანისლავ ჩერჩესოვი** სამშაბათს "იუვე"-"ჩეზენის" კალენდარულ მატჩს. სახალხო გუნდის დირექტორმა **ლეონიდ ფედუნმა** 20 წლის ბულგარელი ლეგიონერის შესაძენად 10 მილიონი ევრო გამოყო. ადვილი შესაძლებელია, იანვრის ტრანსფერებისას "სპარტაკმა" ყველა სხვა ევროპულ კლუბზე მეტი დახარჯოს. ახალგაზრდა ფორვარდს "მილანი" და "ფიორენტინაც" აკვირდებოდა. განიხილებოდა ფლორენციელთა მცველ **ვენსან კომბანიში** ბოჟინოვის გაცვლის საკითხი, მაგრამ "ქალბატონისთვის" რუსების შეთავაზება ყველაზე სარფიანი აღმოჩნდა. ჩერჩესოვმა შემთხვევით ისარგებლა და "ლივორნოს" კარის დარაჯ **მარკო ამელიასთანაც** მოასწრო შეხვედრა. მეკარის ტრანსფერი დასასრულს უახლოვდება. ლივორნოელები კომპენსაციის სახით 8 მილიონ ევროს მიიღებენ.

დავუბრუნდეთ "იუვენტუსს". **დიდიე დეშამმა** დაადასტურა, რომ მადრიდელი **ემერსონის** დაბრუნება სურს. ბრაზილიელი ნახევარმცველი სამეფო კუბში გასულ ზაფხულს გაყიდეს. ფეხბურთელმა თვითონ არ მოისურვა "იუვესთან" ერთად სერია B-ში თამაში, მაგრამ არც ესპანური კარიერა აეწყო. **ფერნანდო გახოს** ტრანსფერის შემდეგ მან "რეალის" თადარიგში გადაინაცვლა და ისევ ახალი სამსახურის ძებნა დაიწყო. და აი, ტურინელებმა მისი გამოსყიდვის მიზნით, 3.5 მილიონი გირვანქა გაამზადეს. დეშამი: *"ემერსონმა მითხრა, რომ სიამოვნებით დაბრუნდება. სიმართლე გითხრათ, ამ ამბავმა ძალიან გამახარა. ის ჩვენს სქემაში ზუსტად ჯდება."*

"იუვეს" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ამბობს, რომ მისი სკაუტები **რობინიოსა** და **ანტონიო კასანოსაც** თვალს ადევნებენ: *"კასანო ნამდვილი ტალანტია და არა მგონია, მისი ხასიათი უფრო მნიშვნელოვანი იყოს. საგულისხმო ის არის, რომ ანტონიოს "რეალთან" კონტრაქტი აკავშირებს და მისი გამოსყიდვის საშუალება არ გვაქვს, მაგრამ თუ მადრიდელები იჯარაზე დაგვთანხმებიან... რობინიოც დიდებული მოთამაშეა, მაგრამ მოდით, ჩვენი სატრანსფერო გეგმები ნათლად ჩამოვაყალიბოთ და საგაზეთო სპეკულაციების ტყვეობაში ნუ აღმოვჩნდებით. აქვე გეტყვით, რომ ჩვენს ფორვარდებზე - ალექს დელ პიეროსა და რაფაელე პალადინოზეც დიდ იმედს ვამყარებთ."*

ტურინელთათვის თავდასხმის გაძლიერება პრიორიტეტია. სარაგოსელმა **ანდრეს დალესანდრომ** ესპანელ მიმომხილველებს აუწყა, რომ მისი მეგობარი **ხავიერ სავიოლა**, შეიძლება, "იუვეში" აღმოჩნდეს. სავიოლას "ბარსელონასთან" კონტრაქტი ივნისში ეწურება. დალესანდრო ამბობს, "ბაჭია" "ქალბატონს" უკვე მოურიგდა და ხელშეკრულებას ხელის მოწერაღა აკლიაო.

დეშამი მცველების შეძენასაც ითხოვს. გუშინ ფლორენციელ **გამბერინისა** და ვილიარეალელ **ტაკინარდიზე** ვწერდით. მოსიე დიდიე მიიჩნევს, რომ უკანა ხაზი მისი გუნდის უსუსტესი რგოლია. სპორტული დირექტორი სეკო კი ამბობს, რომ სიამოვნებით შეიძენდა "დორტმუნდისა" და გერმანიის ნაკრების დაცვის ბურჯ **კრისტოფ მეტცელდერს**: *"სატრანსფერო ბაზარს დეტალურად ვსწავლობთ, მათ შორის, უცხოურ ქვეყნებშიც. ვეძებთ საუკეთესო ახალგაზრდა ცენტრალურ მცველებს. არ დაგიმალავთ, ერთ-ერთი, ვისაც ვაკვირდებით, გერმანელი მეტცელდერია."*

ვერდერი

მილანმა კლოზე მოიკითხა

ლიონი კარუს ძალიან ძვირად აფასებს

ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ დიდი შანსია, ზაფხულში **miroslav კლოზემ** „ვერდერი" დატოვოს. მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ნომერ პირველ მსურველად, დღემდე „იუვენტუსი" სახელდებოდა. მაგრამ როგორც ჩანს, „ბებერი ქალბატონის" ინტერესი ჩაცხრა. აი, რას ამბობს კლოზეს მრჩეველი **ალექსანდერ შიუტი**: *„იუვენტუსის" დაინტერესება სერიოზული არ არის. ტურინული კლუბის ბოსებისგან დიდი ხანია, აღარაფერი მსმენია. იტალიურ გაზეთებში გავრცელებული ინფორმაციები, თითქოს ჩვენ ყოველდღე ვესაუბრებით „იუვეს" ხელმძღვანელებს, მტკნარი სიცრუეა. სამაგიეროდ, შემიძლია გითხრათ, რომ „მილანმა" პირველი ნაბიჯი გადმოდგა და მოლაპარაკებების დაწყება შემოგვთავაზა.* "შიუტი იმასაც ამბობს, რომ კლოზეთი დაინტერესება „რეალმა", „ლივერპულმა", „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ჩელსიმაც" გამოთქვეს.

როგორც იცით, „ვერდერს" სასწრაფოდ უნდა მინიმუმ ერთი მაღალკვალიფიციური თავდამსხმელის შეძენა და ცნობილია ისიც, რომ აგერ უკვე რამდენიმე დღეა, რაც ბრემენელები „ლიონის" ხელმძღვანელებს ნორვეგიელი **ჯონ კარუს** შესახებ ესაუბრებიან. *„ლიონის" ბოსებმა თვითონაც არ იციან, რა უნდათ!"* – გააფთრებულია „ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი**. საქმე ისაა, რომ ფრანგული გრანდის შეფი, ტრანსფერებისა და მოლაპარაკებების მეფედ შერაცხული **ჟან-მიშელ აულა** კარუს სანაცვლოდ 7 მილიონ ევროს ითხოვს. „მუსიკოსები" კი მხოლოდ 4.5 მილიონის გადახდაზე არიან ყაბულს.

ალოფსი არ მალავს, რომ კარუს გარდა კიდევ რამდენიმე თავდამსხმელი მოსწონს და მათთანაც აწარმოებს მოლაპარაკებებს, ოღონდ იქვე ამატებს, ნორვეგიელი ფავორიტია და პირველ რიგში, მისი შეძენა გვინდაო. სამაგიეროდ, ალოფსი არ ადასტურებს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც „მუსიკოსებს" ჩეხი **მილან ბაროშის** ყიდვაც სურთ. გერმანულ პრესაში „ვერდერთან" მიმართებაში „ბორდოს" ფორვარდის, **მარუან შამახის** გვარმაც გაიელვა, თუმცა ალოფსი ამასაც უარყოფს. სამაგიეროდ, ის ადასტურებს, რომ „გრონინგენის" 19 წლის ნიჭიერი გოლეადორით, ურუგვაელი **ლუის სუარესითაა** დაინტერესებული.

ზიდანი მაინცელი გახდა!

აქვე კიდევ ერთი, ამჯერად უკვე გადაწყვეტილი სატრანსფერო ამბავი ბრემენიდან: „მუსიკოსებმა" ეგვიპტელი ფორვარდი **მოჰამედ ზიდანი** „მაინცს" მიჰყიდეს. 25 წლის თავდამსხმელმა გასავარდნ ზონაში მყოფ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, „მაინცს" მისი შეძენა 2.5 მილიონი ევრო დაუჯდა. შეგახსენებთ, რომ ზიდანი „ვერდერში" 2004/05 წლების სეზონში, ზამთრის სატრანსფერო პერიოდის დროს გადავიდა. წინა სეზონში ის სწორედ „მაინცში" იყო განათხოვრებული, სადაც 26 თამაშში 9 გოლი გაიტანა. „ვერდერის" ძირითად შემადგენლობაში კი ადგილი ვერ დაიმკვიდრა: 15 თამაში, 3 გოლი.



miroslav კლოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

ბენიტესმა აიალა მოიკითხა

ნილმა ბლექბერნს მიაშურა, არგენტინელს ვილიარეალიც ელოდება

რობერტო აიალა

რაფა ბენიტესი რამდენიმე დღის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ავსტრალიელი ცენტრალური მცველის, **ლუკას ნილის** დაბეჭვებას. "ბლექბერნი" მზად იყო, მას საკმაოდ ხელსაყრელ ფასში შელეოდა. კლუბებს შეთანხმება მიღწეული ჰქონდათ, მაგრამ ტრანსფერს ხელს უშლიდა ნილის გაურკვეველი პოზიცია. გუშინ ყველაფერს ნათელი მოეფინა. ნილმა "ენფილდზე" გადასვლას და გაისად ჩემპიონთა ლიგაში თამაშს "ვესტ ჰემთან" ერთად გადარჩენისთვის ბრძოლა არჩია. 27 წლის ფეხბურთელმა "ჩაქუჩებთან" ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ უქმეებზე "ნიუკასლთან" სადებიუტო მატჩს ჩაატარებს. "ვესტ ჰემის" ბოს **ალან კერბიშლის** ისე უნდოდა დაცვის გაძლიერება, რომ ეტყობა, ნილს უპრეცედენტოდ მაღალი ანაზღაურება დაუნიშნა. ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია.

"ლივერპულმა" კი ალტერნატიულ ვარიანტებზე მუშაობა დაიწყო. ბენიტესმა თავისი ყოფილი შეგირდი **რობერტო აიალა** გაიხსენა. 33 წლის ვეტერანს "ვალენსიასთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. მისთვის თანამშრომლობის გაგრძელება არ შეუთავაზებიათ. ვალენსიელთა სპორტული დირექტორი **ამადეო კარბონი** აიალაზე დასმულ კითხვებს თავს არიდებს. სამაგიეროდ, სამომავლო გეგმებზე უკვე საჯაროდ საუბრობს რობერტო ფაბიანის აგენტი **გუსტავო მასკარდი**. ის ყველაზე რეალურად მიიჩნევს მისი კლიენტის "ვილიარეალში" ჩარიცხვას. აღსანიშნავია, რომ "ლივერპული" მზად არ არის, აიალას სანაცვლოდ სოლიდური თანხა გადაიხადოს და მას ვალენსიური კონტრაქტის ამოწურვამდე საიჯარო ხელშეკრულებას სთავაზობს. მასკარდმ "ლივერპულის" თაობაზე არაფერი იცის. ამიტომაც "ვილიარეალთან" მოლაპარაკებებისთვის ემზადება. ბენიტესმა უნდა იჩქაროს.

ინგლისის თასი. გადათამაშება

ნიუკასლი 93 წლის შემდეგ

მონტელამ ინგლისური ანგარიში გახსნა

"ნიუკასლმა" ასოციაციის თასზე ფიასკო ინვნია. 1/32 ფინალის გადათამაშებაში **გლენ როუდერის** გუნდმა პირველი დივიზიონის ლიდერ "ბირმინგემთან" 1:5 წააგო, თანაც საკუთარ მოედანზე. "სენტ ჯეიმს პარკს" თავისიანების ასეთი რბევა 1914 წლის შემდეგ არ ახსოვს. ჯორდებმა შინ ხუთი ბურთი უკანასკნელად 93 წლის წინ, "შეფილდ იუნაიტედთან" მატჩში გაუშვეს. სასოწარკვეთილმა ფანებმა გუნდს სტვენა აუტეხეს. როუდერმა კი ნამატჩევს მხოლოდ ეს ამოღერღა: "დღეს კატასტროფა შეგვემთხვა. შოკში ვარ. თავის მართლების უფლება არ გვაქვს. ფანებს ვთხოვთ, თუ შეუძლიათ, გვაპატიონ."

იმავე 1/32 ფინალის გადათამაშებაში "ფულჰემმა" "ლესტერს" 4:3 მოუგო, რომიდან იჯარით გადაყვანილმა თავდამსხმელმა **ვინჩენცო მონტელამ** კი პირველი ინგლისური გოლები გაიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში "ლესტერმა" ანგარიში 3:1 გახადა. **კრის კოულმენის** გუნდს გავარდნა დაემუქრა. მწვრთნელმა მოედანზე იტალიელი ახალნვეული შეუშვა და მან ცხრა წუთში დუბლი გამოაცხო. მონტელამ ორივე გოლი მისთვის ჩვეულ სტილში, გაშლილი ხელებით აღნიშნა (მონტელას ამის გამო მეტსახელად "აეროპლანინო" ჰქვია). ნამატჩევს კოულმენმა პრესკონფერენციის უმეტესი ნაწილი მონტელაზე საუბარს დაუთმო: *"მისი ტრანსფერი იმას ნიშნავს, რომ "ფულჰემი" უფრო მეტ გოლს გაიტანს. ის გოლების კაცია. ზუსტად ვიცი, რომ მონტელა შეაგდებს ყველა ბურთს, რომელსაც გააზრებული კომბინაციის შედეგად მეტოქის საჯარიმომდე მივიტანთ. ის ჯერ კიდევ არაა მზად, მინდორზე 90 წუთი გაატაროს, მაგრამ ამასაც მოევლება. ის ჩვენთან მხოლოდ სეზონის ბოლომდე დარჩება. ესე იგი, 15 მატჩს ჩაატარებს. თუ აქედან 10-ს ძირითადში დაიწყებს, მინიმუმ 5 გოლს გაიტანს. მისი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ორ მატჩში სულ ცოტა ერთი გოლი გააქვს."*

მანჩესტერგა ბეილი ვერ მიიღო

ვუნდერკინდად შერაცხული **გარეთ ბეილი** "მანჩესტერ იუნაიტედში" არ ითამაშებს. "ეშმაკებმა" "საუთჰემპტონთან" შეთანხმება ვერ მოახერხეს. მოლაპარაკებები შეწყდა - მალე გაირკვევა, საბოლოოდ თუ მხოლოდ დროებით, სეზონის ბოლომდე. "წმინდანებმა" ბეილის სანაცვლოდ შეთავაზებული 8 მილიონი გირვანქა იცოტავეს. მათ ასეთ პირობაზეც კი უარი თქვეს: "მანჩესტერი" გარეთს 8 მილიონად შეიძენდა და ერთი ნლით იმავე "საუთჰემპტონში" გაუშვებდა იჯარით. ქვედადივიზიონელებმა მოლაპარაკებების დასაწყისშივე აღნიშნეს, ბეილი **თეო უოლკოტის** კატეგორიის ვარსკვლავიაო. ერთი ნლის წინ "არსენალმა" უოლკოტში 8 მილიონი გირვანქა გადაიხადა. "იუნაიტედმა" სწორედ ამდენი გაამზადა, მაგრამ ამაოდ. ბეილი უელსის ნაკრების ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია. მას "ტოტენჰემი" და "არსენალიც" ეპატიჟებიან. "საუთჰემპტონი" ჯიუტად ითხოვს 10 მილიონს და სანამ მსურველი კლუბი გამოჩნდება, ბეილის გაუმჯობესებულ კონტრაქტს, კვირაში 4 ათას გირვანქას შესთავაზებს. გარეთი საჯარიმოების დიდოსტატია. "წმინდარების" შემდაგენლობაში ჩატარებულ 28 მატჩში მას 5 გოლი საჯარიმოთი აქვს გატანილი.

ვოლფსბურგი: მარსელინიოს შემდეგ კლებერსონი?

მარსელინიოს გადაბირების შემდეგ „ვოლფსბურგი" კიდევ ერთი ბრაზილიელის შეძენას გეგმავს. საუბარია 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონზე, ბეშიქთაშელ **კლებერსონზე**. თურქულ გრანდში ბრაზილიელი ნახევარმცველი 2005 წელს „მანჩესტერიდან" გადავიდა, „ბეშიქთაში" მის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს ითხოვს.

ტრანსფერი

ჰილდებრანდი ვალენსიას მოურიგდა

სევილიამ აქცენტი ლემანზე გადაიტანა

ესპანური პრესა იტყობინება, რომ „შტუტგარტის" კარის დარაჯი **ტიმო ჰილდებრანდი** „ვალენსიას" შეუთანხმდა და რომ მომდევნო სეზონიდან სწორედ ესპანურ გრანდში ითამაშებს. *„დიახ, შეთანხმება უკვე არსებობს და მიუხედავად იმისა, რომ კიდევ უმნიშვნელო დეტალებია მოსაგვარებელი, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჰილდებრანდი კარიერას ჩვენთან გააგრძელებს."* – განუცხადა „მარკას" ვალენსიელთა მენეჯერმა **ამადეო კარბონიმ**. ჩვენი ესპანელი კოლეგები გვამცნობენ, რომ ჰილდებრანდი „ღამურებთან" ოთხწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის გოლკიპერს, რომელსაც ბოლო დროს გერმანიაში ძალიან ემდურიან, „შტუტგარტთან" კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება. შვაბები არაერთხელ შეეცადნენ, ტიმოსთან მოლაპარაკებები წამოეწყოთ და მას ახალი ხელშეკრულების გაფორმებაც შესთავაზეს, მაგრამ ჰილდებრანდმა VFB-ში დარჩენა იუარა. „შტუტგარტში" ის 1996 წლიდან თამაშობს და დღემდე ამ გუნდის მაისურით ბუნდესლიგაში 205 თამაში ჩაატარა.

ტიმო ჰილდებრანდი

„ვალენსიაში" მას **სანტიაგო კანისარესის** სახით უსერიოზულესი კონკურენტი დახვდება. ეს უკანასკნელი „ღამურების" პირველი მეკარეა და გერმანელს ძირითადი შემადგენლობიდან მისი ამოგდება ძალიან გაუჭირდება. *„მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მეკარე გადმოვა. ყველას ჩემი დამარცხება მოუწევს. ეს კი, არც ისე იოლია, როგორც ბევრს ჰგონია."* – აცხადებს კანისარესი. ცოტა ხნის წინ მან „ვალენსიასთან" კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა.

აქვე გეტყვით, რომ ჰილდებრანდის გადაბირება „სევილიასაც" უნდოდა. ანდალუსიელები **ანდრეას პალოპის** შემცვლელს ეძებენ. რაკი ჰილდებრანდმა არჩევანი „ვალენსიის" სასარგებლოდ გააკეთა, ჩვენი ალემანი კოლეგების ცნობით, „სევილია" აქცენტს მეორე გერმანელზე, **იენს ლემანზე** გადაიტანს.

ხავიერ სავიოლა

ბარსელონა

სავიოლა უნდა დარჩეს

გულშემატკივრები ხელმძღვანელობას არგენტინელთან კონტრაქტის გახანგრძლივებას სთხოვენ

ესპანეთის სამეფო თასის შეხვედრებში **ხავიერ სავიოლამ** ფანტასტიკურად ითამაშა. ბაჭიამ ჰეთ თრიკი შეასრულა და გულშემატკივრები აღაფრთოვანა. "ბარსელონის" ინჩასებს არ ავიწყდებათ, რომ არგენტინელ ფორვარდს მიმდინარე სეზონში უკვე ათი გატანილი გოლი დაუგროვდა. ეს მაშინ, როცა პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებებში მას მხოლოდ შეცვლაზე უწევდა თამაში. უმცირესი დროის მიუხედავად, სავიოლამ ამ ტურნირში სამი ბურთი შეაგდო, დანარჩენი გოლები კი ესპანეთის სამეფო თასზე, ჩემპიონთა ლიგასა და სუპერთასზე მოდის. ყველაზე ოპტიმისტი ფანები ფიქრობენ, რომ ხავიერი პირად მაჩვენებელს გაუმჯობესებს. 2001-2002 წლების სეზონში მეტოქეთა კარი მან 21-ჯერ დალაშქრა. შესაძლოა, ოპტიმისტური პროგნოზი არც გამართლდეს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, სამხრეთამერიკელი შესანიშნავად ათამაშდა. რეაქციამაც არ დაახანა. გულშემატკივრები ფორვარდს ყოველმხრივ მხარს უჭერენ და ხელმძღვანელობას მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას სთხოვენ. თავად განსაჯეთ, "ალავესთან" სათასო შეხვედრაში ინჩასებმა სახელდახელო ტრანსპარანტები დაამზადეს და თავიანთი შემოქმედება "კამპ ნოუს" სხვადასხვა ტრიბუნაზე გადმოკიდეს.

ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონის დაწყების წინ სავიოლას შანსებზე არავინ საუბრობდა. **ჩიკი ბეგირისტაინი** და **ფრანკ რიიკაარდი** არგენტინელს სხვაგან წასვლას ურჩევდნენ. თუმცა რამდენიმე თვეში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. გენერალური დირექტორი, მთავარ მწვრთნელთან ერთად, ფორვარდის საკითხზე თითქმის ყოველდღე მსჯელობს. "ბარსას" დირექტორატთან დაახლოებული პირები გვარწმუნებენ, რომ ბეგირისტაინი და რიიკაარდი ახალი კონტრაქტის გაფორმებას უჭერენ მხარს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ვიოლამ კასანოს კარი გაუღო

ნაკლებ ხელფასზე დათანხმების შემთხვევაში, ფორვარდი შეიძლება ფლორენციაში გადავიდეს

„ვისურვებდი, რომ კასანოს დიდ ვარსკვლავად ჩამოყალიბებაში დავეხმარო" – თქვა ორი დღის წინ „ფიორენტინის" თავკაცმა ჩეზარე **პრანდელიმ**. მწვრთნელის სიტყვები გუშინ კლუბის სპორტულმა დირექტორმა **პანტალეო კორვინომ** აიტაცა: *„კასანო „ფიორენტინისთვის" ზედგამოჭრილი ფეხბურთელია, გუნდში ამდენი დიდი თავდამსხმელი რომ არ გვყავდეს, წამითაც არ ვიფიქრებდი, მაშინვე ავიყვანდი"*. „რეალში" დაწუნებული ფორვარდის სახელი ბოლო კვირაში ფლორენციაში ისევ ხშირად ისმის. კორვინო ყველა შესაძლო ტრანსფერზე არას ამბობს, არავის არ ვყიდულობთო, მაგრამ როცა საქმე კასანოზე მიდგება... *„არავის შეძენას არ ვაპირებთ, არც დაშავებული სანტანას შემცვლელი გვაინტერესებს, ამ იანვრის ბაზარზე ხელსაყრელი ვარიანტები არ ჩანს, ხმაურიანი ტრანსფერების შესაძლებობა არ არის... მაგრამ კასანოს შემთხვევა განსაკუთრებულია. ის ჩვენი გუნდისთვის შესაფერისი ფეხბურთელია, უბრალოდ, პრობლემა ხელფასი შეიძლება გახდეს. თუმცა, ვფიქრობ, რომ თამაშის გულისთვის მზად იქნება, გარკვეულ ფინანსურ დათმობებზე წავიდეს. „ფიორენტინაში" თამაშის სანაცვლოდ იგივე გააკეთეს ისეთმა ხალხმა, როგორებიც არიან ტონი, მუტუ და ფრეი. კასანო 11 წლის იყო, როცა მისი დირექტორი ვიყავი, ბავშვთა გუნდის შეტევაში ის და მიკოლი ერთად თამაშობდნენ. ანტონიოს კარგად ვიცნობ და ვუერთდები პრანდელის სიტყვებს: მეც სიამოვნებით დავეხმარებოდი მას დიდ ვარსკვლავად გახდომაში."*

კორვინო „იუვენტუსში" განათხოვრებული **ვალერი ბოჟინოვის** თემასაც შეეხო: *„ადრეც ვთქვი და დავადასტურებ, რომ სეზონის ბოლომდე „იუვეში" დარჩება. უკმაყოფილოა, ტურინში ძირითადად სკამზე ჯდომა რომ უწევს, მაგრამ უნდა ახსოვდეს, რომ ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და სერია A-ში უკვე 22 გოლი აქვს გატანილი."*

ანტონიო კასანო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ისტორია

რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ საღარაძე**

რაჭველი მოჭიდავეები

> არ გაგიგია რაჭაში,
> არც ძველი ციხე გინახავს?
> წადი, იხილე და მაშინ, მკითხე
> წინაპრად ვინა მყავს...
>
> **ოთარ ჭელიძე**

რაჭა, ჩემთვის ძვირფასი და უსაყვარლესი მშობლიური კუთხეა. ბავშვობა, ჭაბუკობა... მრავალი მოგონება მაკავშირებს ჩვენი ქვეყნის ძირძველ მინაწყალთან. სოფლის, მოდგმის, წინაპრების, გვარის, სახლობის (ოჯახის) სიყვარული მიბიძგებს, ცოტა მეტად მოვეფერო მის წარსულს, ტრადიციებს და ფალავნებს, რომლებსაც არაერთხელ უსახელებიათ საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე, მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში.

მცირე ექსკურსს შევთავაზებ მკითხველს, თუ საიდან წარმოდგება სახელწოდება "რაჭა". მოსაზრება ბევრია. ერთი უკავშირდება დიდი თამარის ამ კუთხეში მოგზაურობას. როცა მას სოფელ შქმერიდან (ონის რაიონი) გადმოუხედავს, თითქოს, ხელის გულზე ჩანდა მდინარე რიონი თავისი ულამაზესი შემოგარენით. მეფეს აღფრთოვანებულს წამოუძახია - "რა ჭაოო". ვახუშტი ბაგრატიონს კი მისი ხილვისას უთქვამს - "იხილე, რა ჭა ადგილია ესეო". რაჭველები, ისტორიულად, ყველა დროში, ომიანობა იყო, გაჭირვება თუ ლხინი, საქართველოს ერთგულნი რჩებოდნენ და ღალატი არასოდეს გაუვლიათ გულში. დინჯმა, დარბაისელმა ხალხმა, მრავალათასწლოვან ქარტეხილებსა და ომებში გამოვლილმა, უმწიკვლოდ შეინახა ტრადიციები, ადათ-წესები, კულტურისა და ზნეობის ის შესანიშნავი მემკვიდრეობა, რომელიც ნებისმიერ დიდ ერს და ქვეყანას დაამშვენებდა. ვინ ჩამოთვლის ქართველ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. რაჭა? დედასაქართველოს მრავალი ნიჭიერი და წარმატებული ადამიანი ალუზარდა და გზა დაულოცა ცხოვრების დიდი ასპარეზისკენ. რამდენი მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი, პოლიტიკოსი, სპორტსმენი, ექიმი, მასწავლებელი შვა ჩვენი ქვეყნის ამ ულამაზესმა კუთხემ. სპორტში კი განსაკუთრებით ასახელეს სამშობლო **კოსტა მაისურაძის, კონსტანტინე კობერიძის, გიორგი სხირტლაძის, გურამ გობეჯიშვილის, ალექსანდრე მაისურაძის, შოთა დაუშვილის,** ძმების **რევაზ** და **იორამ საღარაძეების** და სხვა გოლიათთა შთამომავლებმა. დავით გობეჯიშვილი ყველა წარმატების სიმბოლოა.

დავესესხები დიდი მურმან ლებანიძის გულში ჩამწვდომ სტრიქონებს: "ჩვენ ვართ მოსული ათასი წლების ლურჯი ნისლიდან". რაჭველი მოჭიდავეები განსაკუთრებული ფიზიკური ძალით გამოირჩევიან. ამ ძალის დემონსტრირების ეტალონი გახლდათ XX საუკუნის დასაწყისის უძლიერესი ფალავანი კოსტა მაისურაძე. გაგიგონიათ, ალბათ, მასზე ხალხის მიერ შეთხზული ექსპრომტი: "გოლიათო ცერაძე, რათ გამოდი ვერაზე, ხომ იცოდი წაგაქცევდა კოსტა მაისურაძე". კოსტა იყო სსრკ-ს მრავალგზის ჩემპიონ შოთა დაუშვილის ბაბუა. სოფელი ცხმორელი (ონის რაიონი). აქ დაიბადა გოლიათი კოსტა მაისურაძე 1881 წელს. საინტერესო ისტორიას ჰყვება მისი უახლოესი შთამომავალი, ყოფილი პარლამენტარი თამაზ დაუშვილი, რომელსაც გადმოცემით გაუგია მის შესახებ, კოსტას უფროსი ძმის ნესტორისაგან. ასე, 15-16 წლისა ყოფილა კოსტა, ნესტორს თბილისში რომ ჩამოუყვანია. ორთაჭალაში, პურის ნახევრადმიწურ საცხობში დამმარე ბიჭად აუყვანიათ და თან პურის ცხობას ასწავლიდნენ (ამ ხელობას რაჭველებს ვერავინ წაართმევს). ერთ მშვენიერ საღამოს ყველა შინ წასულა, მარტოხელა კოსტას მეორე დილისთვის ცომი მოუზელია და წასასვლელად გამზადებულა. შეუმჩნევია, რომ ადრე წასულებს ბოქლომი თან გაპყოლიათ. არ დაბნეულა კოსტა, იქვე ყოფილა დიდი ზომის ქვა, თურმე, დაახლოებით 200 კგ-მდე. ამ ჩვენს პატარა "გოლიათს" აუწევია ეს ქვა და საცხობის კარებზე მიუყუდებია. დილით, უთენიაზე გამოჩენილან მცხობელები, გულზე შემოყრიათ, ვერ წარმოიდგენდნენ, თუ ამას კოსტა იზამდა. დაუწყიათ ჯაჯგური, ძვრა ვერ უყვეს თურმე... ამასობაში, კოსტაც გამოჩენილა, გასცინებია და ერთი ამოსუნთქვით ქვა თავის ადგილას გადაუგორებია. ამის მომსწრე ყოფილა ვინმე თავადი წერეთელი, რომელიც გაოცებულა მისი ძალ-ღონით, არავისთვის არ უკითხავს და წაუყვანია ცირკში, სადაც ჭიდაობები იმართებოდა. დაუწყია კოსტას ვარჯიში, ეუფლებოდა ჭიდაობის ილეთებსა და ტექნიკას... ცოტა ხანში წარმატება მოუპოვებია და სახელიც გაუთქვამს. ასე დაიწყო მისი საჭიდაო კარიერა. სხვადასხვა დროს დაუმარცხებია მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები, მათ შორის, **გრიგორი კამიშჩევი, კლემენს ბული, პავლო ზაგარუიკო, ალიოშა გრამილოვი, კაზბეკ გარა** - ჩრდილოეთ ოსეთის ცნობილი გოლიათი; **იოსებ ცერაძე, თედო ლილოელი** და მრავალი სხვა. იწვევდნენ მსოფლიო ტურნეებზეც. მიღებული ჰქონდა ირანის, რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის და კიდევ მრავალი ქვეყნის სამახსოვრო ჯილდოები და ქამრები. ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან.1918 წელს ევროპაში მძინვარებდა ვირუსული გრიპი "ისპანკას" სახელწოდებით (ესპანეთიდან დაწყებულა). დაუკრძალავთ ბაქოში, იმხანად იქ მოღვაწეობდა. მისი დაკრძალვის ადგილი, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერავის უპოვნია და დღემდე უცნობია. ერთი საინტერესო დეტალი, ისევ თამაზის ნაამბობიდან, რაც გადმოცემით გაუგია. სიკვდილის წინ, კოსტა მაღალი სიცხისგან აგონიაში ყოფილა. გამწარებულს, სასთუმალთან მდგარი "ტაბურეტკა" ხელის ერთი დარტყმით ნაფოტებად უქცევია. საწოლი (რკინის), რომელზეც წოლილა, დაუგრეხავს, და მკერდზე დაუწყვია. ასე ამოხდომია სული ბედკრულს... ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ახლაც შემონახულია მაჯის სისქის რკინის გრძივი ზოდი, მის მიერ თავისივე მაჯაზე დახვეული. წარმოიდგენთ, ალბათ, რა ძალის პატრონიც იქნებოდა.



კოსტა მაისურაძე

მაისურაძეების გვარი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია საქართველოში, მიმობნეულია ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში. რაჭველ მაისურაძეებში სამაგალითო იყო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 1987 წელს სსრკ-ს საუკეთესო მწვრთნელად აღიარებული **ვლადიმერ (ვალოდია) მაისურაძე**. მის აღზრდილებს შორის არიან მსოფლიო ჩემპიონი **მიხეილ სალაძე,** ევროპის ჩემპიონი **შოთა მორჩილაძე,** სსრკ-ს აბსოლუტური ჩემპიონი **ავთანდილ მაისურაძე** - მაისურაძეების ტრადიციათა ღირსეული გამგრძელებელი; **იოსებ ბერიშვილი, რაიდი აბრამიშვილი, ჯემალ ბაკურიძე**. ესაა არასრული ჩამონათვალი სახელოვანი მოჭიდავეებისა, რომლებზეც დიდი ამაგი ჰქონდა შესანიშნავ პედაგოგსა და აღმზრდელ ვალოდია მაისურაძეს.

დასაფასებელია შესანიშნავი მწვრთნელის **ალექსანდრე (შურა) მაისურაძის** ღვაწლიც. ალექსანდრე მაისურაძე - დავით გობეჯიშვილის პირველი მწვრთნელი, სსრკ-ს მრავალგზის პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში. სანიმუშო პიროვნება და მოჭიდავე გახლავთ მთისკალთელი (ონის რაიონი) **გიორგი სხირტლაძე,** თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი (1959), მეორე პრიზიორი (1957), რომის ოლიმპიადის (1960) მეორე და მელბურნის (1956) ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, სსრკ-ს 3-გზის ჩემპიონი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხისა და ღირსების ორდენის კავალერი. პერსპექტიულ, კარგი მონაცემების მოჭიდავედ ითვლებოდა თავის დროზე მისი ვაჟიშვილი **კახა სხირტლაძე** - სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებში, სპორტს ნაადრევად დაანება თავი. სხირტლაძეებში გამოირჩეოდა აგრეთვე გიორგის აწგარდაცვლილი ბიძაშვილი **დავით სხირტლაძე** - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. რაჭველი იყო სსრკ-ს მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის პირველი ჩემპიონი (1947), ფილიგრანული ტექნიკის მქონე **კონსტანტინე კობერიძე,** რომელიც მოსკოვის სახელით ჭიდაობდა.

ყველა-ყველა და, მაინც, როგორც ზემოთ ითქვა, რაჭველ მოჭიდავეთა დიდ ოჯახს ოლიმპიური გვირგვინი დაადგა **დავით გობეჯიშვილმა**. გუშინდელი დღესავით მახსოვს ჩვენი პირველი გაცნობა ყვარელში, 1979 წელს, საქართველოს პირველობაზე. ქუთაისის სახელით გამოდიოდა, იქვე სწავლობდა სამშენებლო ტექნიკუმში. გამხდარი, ორ მეტრამდე სიმაღლის, კალათბურთელის აღნაგობის... ვინ წარმოიდგენდა, რომ იგი მსოფლიოს აღაფრთოვანებდა. ხურუთელმა (ონის რაიონი) ფენომენმა ორჯერ (1985, 1990) მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი (1988) და ბარსელონის ოლიმპიადის (1992) მესამე პრიზიორი, მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი (1986, 1987, 1988), ევროპის ჩემპიონი (1985), კეითლი ნების თამაშების ჩემპიონი (1990), სსრკ-ს სამგზის (1985, 1986, 1988), დსთ-ს ჩემპიონი (1992), სსრკ-ს ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), საქართველოს ორგზის ნლის საუკეთესო სპორტსმენი (1985, 1990), ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი. ამჟამად, ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორია.

ამ სახელოვანი გვარის წარმომადგენელი იყო სსრკ-ს ჩემპიონი, სსრკ-ს თასის მფლობელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი **გურამ გობეჯიშვილი**. ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი **ზურაბ გობეჯიშვილი,** რომელიც მკლავჭიდშიც ტოლს არავის უდებდა. შესანიშნავი მოჭიდავეები არიან დავითის ბიძაშვილები - **ჯეირან** (სსრკ-ს ჩემპიონი ახალგაზრდებში) და **გიორგი** (მსოფლიო პრიზიორი ახალგაზრდებში) **გობეჯიშვილები**. თავის დროზე, კარგად ჭიდაობდნენ მამაშვილები - **ზაურ, ზაზა** და **გიორგი გობეჯიშვილები**.

ვიდრე სხვა, სახელოვან რაჭველ მოჭიდავეებს წარმოგიდგენთ, მოკლედ ჩემს გვარზეც უნდა მოგახსენოთ. იმედია, კარგად გამიგებთ. ჭიდაობდა მამაჩემი **რემანოზ (რეზო) საღარაძე,** ჭიდაობდა ბიძაჩემი **იორამი,** სოფელი პატარა ონი (ამბროლაურის რაიონი), სადაც საღარაძეების მამაპაპური აკვანი დაირწა, ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია ქვემო რაჭაში. ოცზე ცოტა მეტი გვარის წარმომადგენელი ცხოვრობს ამ ისტორიულ სოფელში, რომელსაც ამშვენებს თამარის დროინდელი წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის სახელობის შესანიშნავად რესტავრირებული ეკლესიები.

ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონების, ძმების - **ბადრი** და **ბონდო სარდანაშვილების** ჭიდაობა. ნამდვილი ვეფხვი იყო საჭიდაო ხალიჩაზე **მამუკა რაზმაძე,** სსრ კავშირის მრავალგზის პრიზიორი და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული.

ახლა კი ძირძველ თბილისელ, წარმოშობით რაჭველ მოჭიდავეებზე მოგახსენებთ. **პეტა დაუშვილი,** რაინდი კაცი, შესანიშნავად ჭიდაობდა "ქართულს"; **ანზორ გვიმრაძე,** "ნახალოვკელთა" კოლორიტი, სსრკ-ს პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის არბიტრი; **ჯუმბერ დავლიანიძე,** საქართველოს 15-გზის ჩემპიონი, სსრ კავშირის პროფკავშირებისა და სტუდენტთა თამაშების მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის არბიტრი; **თენგიზ (შიო) კობახიძე,** საქართველოს ჩემპიონი, მოქანდაკე; **უჩა სულაძე,** ძმები **ელგუჯა** და **ვაჟა სულაძეები, ჯუმბერ ერაძე, ლერი ხომასურიძე, გელა ჭელიძე,** ჭიდაობის დიდი მოამაგე **კაკო ადეიშვილი...** ცხადია, სია არასრულია. თუ ვინმე გამოგვრჩა, ბოდიშს მოგიხდით.

მოჭიდავე საღარაძეები. მარცხნიდან: იორამი (ბიძა), გურამ საღარაძე და რეზო (მამა)

მარცხნიდან: გურამ საღარაძე, გიორგი საღარაძე, დავით გობეჯიშვილი

ხელბურთი

წინა თამაში რუმინეთთან. ბურთით მამია კობახიძე

საქართველოს ნაკრები

1.	ზურა თევზაძე ("ანკარასფორი", თურ.)
16.	გაგა სამყურაშვილი (სტუ-"ბავ.")
2.	ლევან ბერძენიშვილი (სტუ-"ბავ.")
3.	გიორგი ძოგელაშვილი (სტუ-"ბავ.", კაპ)
5.	ოგარ ყიფიანი (სტუ-"ბავ.)
6.	აკაკი ტალახაძე (სტუ-"ბავ.)
7.	რევაზ ძანტარია ("მეტალურგი", მაკ.)
8.	სერგეი კირილოვი ("ლად.-ბოგდ.", მაკ.)
10.	ვლადიმერ რუსია ("ბასტარ-აპ.", უკრ.)
11.	ლევან გელაშვილი ("თბილისი")
13.	ალექსანდრე ბოჭორიძე (სტუ-"ბავ.")
14.	გიორგი წიფლიანაძე ("თბილისი")
15.	დავით ნიკოლაიშვილი (სტუ-"ბავ.)
17.	მაგია კობახიძე ("ბასტარ-აპ.", უკრ.)
18.	დავით ფორაქიშვილი ("თბილისი")

19 იანვარი, თბილისი

საქართველო-ბულგარეთი

მსაჯები: ანატოლი მიშჩუკი, ვალერი როჟკოვი (უკრაინა)

დელეგატი: არსენ მხითარიანი (სომხეთი)

III ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
რუმინეთი	5	5	0	0	162-122	10
ლატვია	5	4	0	1	156:126	8
ბულგარეთი	4	0	0	4	95:128	0
საქართველო	4	0	0	4	97:134	0

21 იანვარი

რუმინეთი-ლატვია

ბულგარეთი-საქართველო

ევრო 2008. დღეს, 15:30. საქართველო-ბულგარეთი

ნათლისღება. ღირსების მატჩი

პირველი გვერდიდან

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ მოსამზადებელ პერიოდში უთამაშებლობის გამო საქართველოს ნაკრებს პირდაპირ ოფიციალურ მატჩებში უხდებოდა შეთამაშება, დალაგება თუ ტაქტიკური მონახაზების დახვწა. მართალია, გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებდა, მაგრამ ოთხივე მატჩი კი წაგო და ბოლო შეხვედრებს სტატისტის როლშიღა ხვდება. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ დღეს საქართველოს ნაკრები მოედანზე უმოტივაციოდ გამოვა. პირიქით, ჩვენმა ნაკრებმა სწორედ დღეს უნდა დააუმტკიცოს საკუთარ ქომაგს, რომ ნამდვილად გუნდია, აქვს პერსპექტივა და შემდეგ საკვალიფიკაციო ციკლში უფრო მეტი ამბიცია ექნება.

დანარჩენი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება. სხვათაშორის, თუ მეხსიერებს არ გვღალატობს, საქართველოს ნაკრებს ოფიციალურ შეხვედრებში, საკუთარ მოედანზე ზედიზედ ორი მატჩი აქამდე არ წაუგია და ვიმედოვნებთ, დღეს ეს უსიამოვნო სერია არ გასამდება.

გასამება ვახსენეთ და აღსანიშნავია, რომ ოთხიდან ორი მატჩი ჩვენმა ნაკრებმა სადღესასწაულო დღეებში გამართა - საშობაოდ ლატვიასთან წააგო თბილისში და "ძველით ახალ წელს" რუმინეთში დამარცხდა. დღეს ნათლისღებაა და ეგებ მესამე დრესასწაულზე მაინც გავტეხოთ ნავსი...

ახლა კი მოდით, საქართველოს ნაკრების მწვრთნელს მერაბ მეტრეველს მოვუსმინოთ, რომელიც გუშინ ოპტიმისტურად კი იყო განწყობილი, მაგრამ მეტოქის შესაძლებლობებსაც სერიოზულად აფასებდა.

- ბულგარელები უკვე თბილისში არიან და ჩვენი არ იყოს, მათაც ძალიან სწადიათ ამ საკვალიფიკაციო ციკლში პირველი გამარჯვების მოპოვება. თუმცა, საქართველოს ნაკრები ხვალ საკუთარ მოედანზე თამაშობს და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქართველი ქომაგი ამჯერად მაინც გავახაროთ. რუმინეთში გასვლითი მატჩის დროს მოვიპოვეთ რუმინეთი-ბულგარეთის მატჩის ვიდეოფირი და მეტოქეზე უკვე გვაქვს წარმოდგენა.

- რა შთაბეჭდილება დატოვა ბულგარეთის ნა

- თუკი ჩვენს საკადრო პრობლემებს გავითვალისწინებთ, ამჟამად, ბულგარეთსა და საქართველოს დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები ჰყავთ. თუმცა, საკუთარ მოედანზე მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

- დავით ფორაქიშვილის ამბავი როგორ გადაწყდა, ვის შეცვლის იგი 14-კაციან განაცხადში?

- ჯერჯერობით, ეს საკითხი არ გარკვეულა. ფორაქიშვილს 15-კაციან განაცხადში შევიყვანთ და მატჩამდე ერთი საათით ადრე გადავწყვეტთ, თუ ვის ადგილს დაიკავებს იგი ოფიციალურ, 14-კაცა განაცხადში.

საქართველო-ბულგარეთის მატჩი დღეს, სპორტის სასახლეში 15:30 საათზე დაიწყება და გულშემატკივართათვის დასწრება კვლავ უფასო იქნება. მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს გადასცემს ტელეკომპანია "იმედი".

რაგბი

ინტერვიუ მერაბ კვირიშვილთან

მიხარია, რომ დავბრუნდი. მზად ვარ!

3 თებერვალს, რუმინეთში, საქართველოს ნაკრებს შესაძლოა ახალი 10 ნომერი ჰყავდეს - მერაბ კვირიკაშვილი, რომელმაც ახლახანს საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონის "პოსთან" გააფორმა ხელშეკრულება. მეკო ახალბედა არ არის - მას ოთხი წლის წინ, ავსტრალიაში გამართულ მსოფლიოს თასზეც მოუხდა ამ პოზიციაზე თამაში - ურუგვაის ნაკრებთან მატჩის მეორე ტაიმში. მას შემდეგ კვირიკაშვილი ტრადიციულ ადგილს, 9 ნომერს დაუბრუნდა, თუმცა, ნაკრებში ადგილი აქამდე ვარ დაიჯავშნა.

გუშინ, როდესაც ნაკრების შემადგენლობა შევიტყვეთ, სწორედ მერაბ კვირიკაშვილთან გადავწყვიტეთ დაკავშირება.

- შაბათს ლიონში გვაქვს მატჩი და მწვრთნელებმა ძირითადში დამაყენეს - ვნახოთ, ახლა გამოჩნდება, რა შეგიძლიაო. წინა ტურშიც უნდა მეთამაშა, მაგრამ სიცხე მქონდა და ორი დღე არ მევარჯიშა, თუმცა სათადარიგოთა შორის მაინც ჩამწერეს მწვრთნელებმა.

- იცი, რომ 3 თებერვალს, რუმინელებთან სათამაშოდ ნაკრებში ხარ გამოძახებული?

- დიახ, უკვე დამირეკა მალხაზ ჭეიშვილმა. ცხადია, ჯერ არ ვიცი, ძირითადში ვიქნები თუ არა, ამაზე არ გვილაპარაკია. ძალიან მიხარია, რომ თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში დავბრუნდი. ახლა ძალიან კარგ კლუბში ვარ და იმედი მაქვს, ეროვნულ გუნდშიც ხშირად მომიწევს თამაში.

- მზად ხარ?

- კარგ ფორმაში ვარ, სათამაშო პრაქტიკა არ მაკლია, არც ბიჭებთან საერთო ენის გამონახვა გამიჭირდება.

- "პოში" რუმინელი მორაგბეებიც თამაშობენ.



მერაბ კვირიკაშვილი

- სამნი არიან, თუმცა ნაკრებში მხოლოდ ორს იწვევენ. იულიან დუმიტრაში და რაზვან მავროდინი 3 თებერვალსაც ითამაშებენ ჩვენს წინააღმდეგ. ამ მატჩს, გარდა იმისა, რომ ერთა თასის ეგიდით იმართება, სხვა რაიმე მნიშვნელოვანი დატვირთვა არ ექნება - შესაბამისად, ზედმეტი ფსიქოლოგიური ნნეხის გარეშე ვითამაშებთ. მგონი, ეს შეხვედრას სანახაობრივად გაალამაზებს.

ბესიკ ჯანგავაძე

სუმო

მებრძოლი სული

დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა **კოკაიმ**, ჩვენებურად **ლევან ცაგურიამ**, იანვრის ბაშოზე მებრძოლი სული გამოავლინა და თითქმის უიმედო სიტუაცია გამოასწორა. **კოკაიმ** ტურნირზე ზედიზედ ოთხი ორთაბრძოლა მოიგო და უარყოფითი ბალანსი გაათანაბრა. ჩვენი ფალავანი ახლა ტურნირის დასრულებამდე სამი დღით ადრე 6 მოგებით და ამდენივე წაგებით გზის გასაყარზეა - თუკი სამიდან ორ ბრძოლას მაინც მოიგებს, რანგში მოიმატებს, თუ არადა კიდევ დაქვეითდება.

გუშინ კოკაიმ ჰატაკიკომით დაამარცხა მეორე მაეგაშირა **ამინიშიკი**, რომელიც იანვრის ბაშოზე ცუდად ასპარეზობს. ეს ამინიშიკისთვის მეცხრე მარცხი გამოდგა. ბაშოს ლიდერი ასაშორიუ ახლა უკვე ოძეკებს დაერია. გუშინ მან **ჩიოტაიკაი** დასცა და ფაქტობრივად გაინაღდა იმპერატორის თასი - სერიოზული მეტოქეები მას, სულ მცირე, სამი მოგებით ჩამორჩებიან. მეცხრე მაეგაშირა **ტოიონოშიმას** და მე-14 მაეგაშირა **ტამანოშიმას** კი თასისთვის ბრძოლა ძალზე გაუჭირდებათ. დღეს კოკაის მეტოქე მეცხრე მაეგაშირა **კაკიძოეა**.

სამწუხაროდ, მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოასპარეზე ორივე ქართველმა წაგო. **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ძურიოს (მეორე დივიზიონი) ჭიდაობის გამოცდილების მქონე **დევაოტორისთან** წაგო უვატენაგეს ილეთით. გაგამარუს ბალანსი 3-3-ია - ტურნირის დადებითი ბალანსით დასასრულებლად მისთვის გადამწყვეტი უკანასკნელი ბრძოლაა. **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** დადებითი ბალანსი უკვე განაღდებული აქვს, მას გუშინ დასანანი მარცხი შეემთხვა: **ვაკაკენგოსთან** ბრძოლაში შემთხვევით ფეხი დოჰიოს გარეთ დაებიჯა და მსაჯებმა წაგება ჩაუთვალეს. ტოჩინოშინის ბალანსი 4-2 გახდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

იანვრის სუპერტურნირი (ჰაცუ ბაშო)

7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

XII დღე: კოკაი - ამინიშიკი 1:0 (ჰატაკიკომი), ასაშორიუ - ჩიოტაიკაი 1:0, ტოჩიაძუმა - კისენოსატო 1:0, ამა - კაიო 1:0, ჰაკუშო - კოტოოშუ 1:0, კოტოშოგიკუ - მიაბიამა 1:0, კოტომიცუკი - ჰომაშო 1:0, კიოკუტენპო - როპო 1:0, ტოკიტენკუ - დეჯიმა 1:0, ტოიონოშიმა - ტაკამისაკარი 1:0, ტამანოშიმა - ტაკეკაძე 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 11-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); 10-2: ტოიონოშიმა (მაეგაშირა 9); 9-3: ტამანოშიმა (მ 14); 8-4: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ჰაკუპო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ამა (მ 4), უშიომარუ (მ 15); .. 6-6 კოკაი (მ 5).

XIII დღე. მნიშვნელოვანი ნყვილები: კოკაი - კაკიძოე, ასაშორიუ - კაიო, ჩიოტაიკაი - ამა, ჰაკუპო - კოტომიცუკი, ტოჩიაძუმა - კოტოოშუ, მიაბიამა - ამინიშიკი, ტოკიტენკუ - კისენოსატო, როპო - კოტოშოგიკუ, დეჯიმა - ტოჩინონადა, ტაკამისაკარი - კიოკუტენპო, ჰომაშო - ტამანოშიმა, ტოიონოშიმა - უშიომარუ, ტაკეკაძე - ჰაკუროძანი.

ანტიკური ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი

აწონილია და წილიც ნაყარია!

პირველი გვერდიდან

შესაძლოა, აჭარის ნაკრებს ერთ-ერთი წამყვანი ფალავანი დააკლდეს. ვარჯიშის დროს, ბათუმელმა **ოთარ ფევაძემ** ხელი იტკინა და როგორც ამბობენ, შესაძლოა იგი ხალიჩაზეც ვერც ვიხილოთ. უკვე გადაწყდა, რომ ბათუმში არ იჭიდავებენ **დავით ბედინაძე** და **მანუჩარ კვირკველია**. სხვა ყველა უძლიერესი ხალიჩაზე იქნება.

ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **რამაზ ნოზაძე** (96) მართალია, გუშინ დარბაზში გამოჩნდა, მაგრამ დიდხანს არ დაყოვნებულა და უმალ სასტუმროს მიაშურა. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი კანდიდატი **ირაკლი ჭოჭუა** (55) ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს, რომ მიუხედავად დიდი კონკურენციისა, მხოლოდ და მხოლოდ პირველი ადგილისათვის იბრძოლებს. აწონვა-წილისყრის შემდეგ ფალავნებმა სასტუმროებს მიაშურეს.

მცირე კომენტარი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს **ომზარ შოშიტაიშვილს** ვთხოვეთ: - მადლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ასეთი შესანიშნავი დარბაზის მოწყობისთვის. დარწმუნებით ვიტყვი, რომ ასეთი კარგი ბაზა დღესდღეობით საქართველოში არ გვაქვს. „ნათლობისთვისაც" კარგი დრო შეირჩა. დარწმუნებული ვარ, დარბაზში მოსული გულშემატკივრები საინტერესო შერკინებებს იხილავენ. აქვე დავსძენ, რომ საქართველოს ანტიკოსთა ნაკრების 30-35 პროცენტი აჭარელი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აჭარას ჭიდაობის დიდი ტრადიციებიც აქვს და ძალიან კარგი ანმყოც...

ფალავნები აწონვაზე

გურამ ტურაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერეიდნელი ქართველები

იაკობ ბახშიანი (იაკობ ბათუაშვილი)



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ჰაიათოლა თავაზოი (სულიკო თავაძე)

ჩამოვედით, რომ ვალი მოვიხადოთ!

მეჩვიდმეტე საუკუნე. სამშობლოდან აყრილებს ფერეიდნისკენ ერეკებოდნენ. ტყვეობის სიმძიმე უფრო მწარედ ხვდებოდათ ამაყ გულებზე, ვიდრე ზედამხედველთა მათრახები მოუდრეკავ მხრებზე...

ხრიოკ უდაბნოში უსასრულოდ გაჭიმულმა მომქანცველმა გზამ ათასობით სამშობლოზე დარდით სავსე გული მიიბარა - შორეულ ფერეიდანში ცხოვრებას ბევრმა საქართველოს სიახლოვეს სიკვდილი არჩია. ვინც ჩააღწია, უკან დაბრუნების იმედიც თან ჩაიტანა.

მთელი ოთხი საუკუნე ბრუნდებოდნენ - ფიქრით, გონებით, გულით, აზრით, საქმით... პირველად ჩასვლიდან რამდენიმე წელიწადშივე სცადეს, როცა 165-კაციანი რაზმი ღამით საქართველოსკენ გამოიპარა. ყუმის უდაბნოსთან მიეწივნენ და ველური სისასტიკით გაუსწორდნენ, მათ შორის, 12 წლის ბავშვსაც...

მერეც არაერთხელ უშედეგოდ სცადეს გამოქცევა, თუმცა ამ ამაოებაში ერთი საინტერესო თამაში მაინც იშვა - მოშორებით დადებულ პურთან მისწრებაში ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა მოგებული საქართველოში „ჩამოსულიყო". მერე, იქიდან „დაბრუნებული", სხვებს საოცნებო სამშობლოზე უყვებოდა.

ასეთივე გახლდათ ცისარტყელაში გაძრომის მითიც - თუ ცისარტყელის ქვეშ გაივლით, საქართველოში მოხვდებითო, დაუბარეს წინაპრებმა. ფერეიდნელთა მთელი თაობები სიხარულით ეგებებოდნენ ცაზე გამოჩენილ ღრუბლებს თუ იქიდან წამოსულ წვიმას, ეგებ, ეგეც საქართველოდან მოდიოდესო.

დიდი ხნის უნახავი შვილივით ეფერებოდნენ თეირანში შემთხვევით მოხვედრილ საბჭოურ ავტომობილ „ლადას"- იქნებ ქართველის ხელშენავლები იყოსო. გასული საუკუნის 50-წლებში თეირანში ჩასულ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს 50-ათასიანი სტადიონის ყიჟინში „საქართველოს გაუმარჯოს" ძახილით შეხვდნენ.

საბედნიეროდ, დრო შეიცვალა, საქართველოში ჩამოსვლა უკვე არაა პრობლემა. მოდიან ფერეიდნელები, ვინც როგორ ახერხებს - თვითმფრინავით, ავტობუსით, მატარებლით, მანქანით. ორი კაცი ფეხითაც კი ჩამოვიდა - ალბათ ყველას ეხსომება...

სწორედ მამა-პაპათა მიწისკენ ლტოლვამ ჩამოიყვანა საქართველოში ორი კარატისტი - **იაკობ ბახშიანი (იაკობ ბათუაშვილი)** და **ჰაიათოლა თავაზოი (სულიკო თავაძე)**. იაკობი მოქმედი სპორტსმენია და რამდენიმე თვის წინ ჩამოვიდა, სულიკო მწვრთნელია და საახალწლოდ გვესტუმრა.

იაკობ ბათუაშვილი შიტორიუში გამოდის და მთელი ოთხი წელიწადი ირანში უძლიერესის ტიტულს ფლობდა. იგი კარატეს მსოფლიოს ფედერაციის (WKA) მეოთხე დანის მფლობელია. დანების მაქსიმალური რაოდენობა ათია, მაგრამ იაკობი ამაზე არ ჩერდება და მეხუთე დანის მისაღებადაც ემზადება. საამისოდ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებაა საჭირო.

ირანში სულიკო თავაძეც წარმატებული მწვრთნელის სახელით სარგებლობს შოტოკან-კარატეში. ისეც მეოთხე დანის მფლობელია, თუმცა უფრო დიდ წარმატებებს მაინც მწვრთნელობისას მიაღწია - ირანს მსოფლიოსა თუ აზიის არაერთი ჩემპიონი აღუზარდა. მრავალთაგან მხოლოდ ერთ სასიამოვნო ფაქტს გამოვარჩევთ - ხუთიოდე წლის წინ მოსკოვში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე მის მოსწავლეთაგან სამი ფერეიდნელი ძმა - მოჰამადრეზა, ალი-რეზა და მოჰამად ბათვანები (ბათუაშვილები) ჩემპიონები გახდნენ.

ამ ჩემი მოგვარის ოჯახი ინტერნეტით კარგა ხნის წინ გავიცანი, საკმაოდ ხშირი კონტაქტიც მაქვს და ვიცოდი, საქართველოში ჩამოსვლას ჯერ არ აპირებდა, ამიტომ ცოტა გამიკვირდა, როცა საახალწლოდ მოულოდნელად გამოგვეცხადა თბილისში: **- ძალიან მიხარია, რომ საქართველოში მოვახერხე ჩამოსვლა. ეს ჩემი მარადიული ოცნება იყო. საქართველოს ნახვის იმედი საზღვრების გახსნის შემდეგ უფრო გამიძლიერდა, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე ჩამოსვლა.** - ამბობს სულიკო თავაძე.

ორივეს ჩამოსვლის მიზანი საქართველოში დამკვიდრებაა, თუმცა ეს არაა გამოქცევა ირანიდან. ფერეიდნელები ირანის ღირსეული მოქალაქეები არიან და გამონაკლისი არც ესენი გახლავან, მაგრამ საქართველოს წინაშეც სურთ ვალის მოხდა. **- მინდა, ისე მოვახერხო, რომ საქართველოშიც ვიმუშაო და ირანშიც. მსურს, რითაც შემიძლია, საქართველოსაც გამოვადგე, და ჩემი შესაძლებლობები აქაური ახალგაზრდების დაოსტატებასაც მოვახმარო. ამბიციური არ ვარ და განსაკუთრებულ პირობებს არ ვითხოვ. მხოლოდ დარბაზი მინდა, სადაც ბავშვებს ვავარჯიშებ. მზად ვარ, ეს უფასოდაც გავაკეთო, თავი კი ძირითადი პროფესიით ვირჩინო.** - ამბობს მწვრთნელი.

- უკვე 27 წლის ვარ. აქტიურ სპორტში, მაქსიმუმ, 8 წელიწადი დამრჩენია და მინდა, საქართველოს სახელითაც ვიასპარეზო. - განაგრძობს იაკობ ბათუაშვილი.

სწორედ ამ განზრახვით ჩამოვიდნენ პრობლემებით დატვირთულ საქართველოში. არადა, მათ იქ სამსახურებიც აქვთ, ოჯახებიც ჰყავთ, მაგრამ მაინც მოდიან, რადგან სამშობლოს წინაშე თავს ვალდებულად მიიჩნევენ. სულიკო თავაძე მზადაა, საამისოდ დროებით მცირეწლოვანი შვილიც კი დატოვოს, მაგრამ საკითხავია, როგორ დაეხმარება მათ სამშობლო? ჯერჯერობით, კარატისტებს კარატისტები მასპინძლობენ და შესაძლებლობების ფარგლებში მხარში უდგანან, მაგრამ...

მთავარი პრობლემა კარატეს არაოლიმპიურობაა - კარატისტები სახელმწიფოსგან არ ფინანსდებიან და ტურნირებზე საკუთარი ხარჯებით დადიან. ცხადია, ეს იაკობ ბათუაშვილის მდგომარეობას ორმაგად ამძიმებს - მას ფული სჭირდება ვარჯიშებზე სასიარულოდ თუ თავის სარჩენად და უცხოეთში ტურნირებზე გამოსასვლელადაც.

იგი ამჟამად დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ვარჯიშობს **გელა ახალაძესთან**, მაგრამ აქ კიდევ ერთი პრობლემაა - ირანში იგი კატაში გამოდიოდა, საქართველოში კი უფრო კუმიტეა განვითარებული... ეს იმდენად არაფერი, მთავარი მაინც დაფინანსებაა, ეს კი ახალაძის შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატება. არადა, იაკობი რომ სერიოზული სპორტსმენია, მისი წარმატებებიც ადასტურებს და თავადაც პირობას იძლევა, ევროპა-მსოფლიო პირველობებიდან მედლებით დაბრუნდება.

სულიკო თავაძის პრობლემა შედარებით იოლი გადასაჭრელია, თუმცა აქაც ბევრი წინააღმდეგობაა - უნდა იშოვოს დარბაზი, შექმნას ჯგუფი და იქიდან აღებული გადასახადით იარსებოს. ცხადია, "უცხო" მწვრთნელთან სავარჯიშოდ ბავშვებიც ძნელად მივლენ, მაგრამ დამხმარე გამოუჩნდა - საქართველოს შოტოკან-კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი **გრიგოლ დარჩიაშვილი** მზადაა, დარბაზის შოვნაშიც დაეხმაროს და რამდენიმეკაციანი ჯგუფიც აუყვანოს, მაგრამ ჩამოსულთა პრობლემებს მხოლოდ ორნი, ახალაძე და დარჩიაშვილი ვერ მიხედავენ.

იქნებ სახელმწიფო სტრუქტურებმა თუ ბიზნესმენებმაც გამოიჩინონ კეთილი ნება და დაეხმარონ მათ? აქ მთავარი მომავალში მოპოვებული მედლები კი არა, მათი საქართველოში დამკვიდრებაა.

იმედია, საქართველო თავისი შვილებისადმი გულგრილი არ დარჩება და მათ გულწრფელ სწრაფვას ასეთივე გრძნობით უპასუხებს.

ირაკლი თავაძე

ჭიდრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

ხუთ-ხუთი მგონი გაირკვა

საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დღეს დასრულდება. რამდენიმე მოჭადრაკემ უკვე გაიანაღდა პირველი ლიგის საგზური.

მერვე ტური უკომპრომისო ბრძოლებით გამოირჩა. ვაჟთა შორის პირველ დაფაზე ყაიმი კი ვიწინასწარმეტყველეთ, მაგრამ გვეგონა, რომ უფრო "მშვიდ გარემოში" დაზავდებოდნენ **თამაზ მგელაძე** და **გაიოზ ნიგალიძე**. მათ კი ნამდვილი ბრძოლა გამართეს. გამარჯვებასთან უფრო ახლოს თეთრებით მოთამაშე მგელაძე იყო, ნიგალიძე მშვენივრად იცავდა თავს და პარტიის დასასრულს უკვე მოგებისთვის ბრძოლაც შეეძლო, თუმცა არც რესურსები ეყო და ცაიტნოტშიც ვერ ითამაშა ზუსტად. ნიგალიძე 7 ქულით პირველ ადგილზე დარჩა, საგზური კი წინა დღეს ჰქონდა განაღდებული.

კვლავ წარმატებული იყო **მიხეილ ჭიპაშვილი** - ვეტერანმა შავებით **ზვიად ფაცია** დაამარცხა და 6.5 ქულა დააგროვა; ამით მან პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, ისევე როგორც მგელაძემ - თამაზსაც 6.5 ქულა აქვს. ბოლო ტურში სწორედ ჭიპაშვილი და მგელაძე ხვდებიან ერთმანეთს და ახლა კი ადრიანი ყაიმია მოსალოდნელი...

6.5 ქულა ათეულში მოსახვედრად ნამდვილად საკმარისი იქნება, პრეტენდენტები საკმაოდ არიიან - 6 ქულა ოთხს მონაწილეს აქვს, 5.5 - ცხრას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორი ექვსქულიანი - **დავით ლომსაძე** და **პარმენ გელაზონია** ერთმანეთს ხვდება და ყაიმიც ჰყოფნით, გამოდის, რომ პირველ ლიგაში გამსვლელი 5 კაცის სახელი ცნობილია, დანარჩენი ხუთისთვის კი დიდი ბრძოლები იქნება.

ქალთა ლიდერმა **ქეთი წაწალაშვილმა** - გუშინ ისევ გაიმარჯვა, ამჯერად შავებით **მარიამ ბაიაძეს** მოუგო და 7.5 ქულა დააგროვა. ქეთი დღეს თეთრებით 73 წლის **ალა ჩაიკოვსკაიას** ხვდება. ქალბატონმა ალამ 5.5 ქულით, ფაქტობრივად, უკვე მოიპოვა პირველ ლიგაში თამაშის უფლება. ქალებში სწორედ 5.5 ქულაა გამსვლელი. ამდენი ჩაიკოვსკაიასთან ერთად **თეკლა მაჭარაშვილსა** და **ანა ბუცხრიკიძეს** აქვთ, მეორე ადგილზე კი 6.5 ქულით **ლალი ბიბილაშვილია**;

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ქალებშიც 5 საგზურის მფლობელია გარკვეული - წაწალაშვილი, ბიბილაშვილი, მაჭარაშვილი, ბუცხრიკიძე და ჩაიკოვსკაია. დანარჩენი ხუთისთვის 8-9 მოჭადრაკე იბრძვის.

ზვიად შათირიშვილი

პრესკონფერენცია

მოიგეთ და დაგიფასდებათ!

გუშინ ჭადრაკის ფედერაციაში, პრეზიდენტ **რომან სიჭინავას** კაბინეტში ჟურნალისტები მიგვიწვიეს. მიზეზი **მაკა ფურცელაძის** წარმატება და გახლდათ. სიჭინავამ მცირე შესავლის შემდეგ ფურცელაძეს ყვავილები და სუვენირი გადასცა და მომავალშიც დიდი წარმატებები უსურვა - შეგახსენებთ, ფურცელაძემ რამდენიმე დღის წინ ტალინში პაულ კერესის სახელობის მემორიალი მოიგო.

რომან სიჭინავა

ფედერაციისგან ასეთი ყურადღება მისასალმებელია - რატომლაც, ჩვენს მოჭადრაკეებს აქამდე ამით არ ანებივრებდნენ, რაც უდიდესი შეცდომა იყო. სპორტსმენისთვის მსგავს მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს - სტიმულს უჩენს. როგორც რომან სიჭინავა დაგვპირდა - გამარჯვებები იყოს და დაფასებაც არ დაახანებს.

იქვე ითქვა წმინდა საჭადრაკო პრობლემებზე, განსაკუთრებით ჭადრაკის ფედერაციის ვალზე სახელმწიფოს მიმართ - მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები ჯერჯერობით მოუგვარებელია, გადაჭრის გზები ნაპოვნია და მოგვარებას დიდი დრო არ სჭირდება. დრო მართლაც ცოტა აქვს რომან სიჭინავას და მის გუნდს - თუკი ვალი უახლოეს მომავალში არ დაიფარება, არის საშიშროება, რომ ქართველ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე და სხვადასხვა ტურნირებზე გამგზავრებას საფრთხე დაემუქროს...

პირველი წრე დაძლეულია

ჩოგბურთი. ავსტრიის ქალაქ ბერგაიმის ხალიჩაზე მიმდინარეობს მცირე საერთაშორისო ტურნირი, სადაც საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** ასპარეზობს. ლადოს უკვე მოეცარა ხელი წყვილთა თანრიგში, თუმცა ერთეულებში ასპარეზობა კარგად დაინყო. პირველ წრეში ჩიხლაძე მასპინძელთა იმედს, **ანდრეას ჰაიდერ-მაურერს** ხვდებოდა, რომელიც 19 წლისაა და მსოფლიოს 446-ე ჩოგანია, ანუ ჩვენებურს ასი ადგილით უსწრებს კლასიფიკაციაში. ამის მიუხედავად ჩიხლაძე ორ სეტში გაუმკლავდა მეტოქეს, თუმცა პირველ სეტში გაუჭირდა - 7:6 (3), 6:2. ტურნირის მერვედფინალში ლადო პირველ ნომრად განთესილ ჩეხ **იან ვაჩეკს** (299) შეხვდება. 30 წლის ჩეხი ერთ დროს მსოფლიოს მონინავე ასეულის ნევრი იყო, თუმცა ახლა კარიერაში დალმასვლა აქვს.



ანატოლი ხრიკულოვი

68 წლისა გარდაიცვალა სპორტის ოსტატი ფრენბურთში, სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობისა და საქართველოს ჩემპიონი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი ანატოლი ხრიკულოვი.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 5 წელი იმუშავა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრაზე მასწავლებლად. დიდხანს ნაყოფიერად მუშაობდა ფრენბურთის ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად.

გამორჩეული სპეციალისტის და შესანიშნავი პიროვნების ანატოლი ხრიკულოვის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება ჩვენი გულებიდან.

საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია,
ვაჟა კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების ცენტრი,
ვეტერანი ფრენბურთელები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი

ცხადია, აზოტი-თსუ!

A ჯგუფი

აზოტი-დინამო 89:68

29:9, 17:22, 20:11, 23:26

აზოტი: გამყრელიძე (15 ქ. 4 პ), ლიპარტელიანი (2 ქ), ბეჟანიშვილი (8 ქ), ბოისა (9 ქ. 6 მ), დიდია (4 ქ), ცეკავა (2 ქ), ტულუში (16 ქ. 6 მ. 4 პ), უგრეხელიძე (5 ქ. 11 მ), გოგობერიშვილი (9 ქ. 8 მ), ჭოჭუა (8 ქ), ბერძენიშვილი (7 ქ. 6 მ), მინაშვილი (4 ქ).

დინამო: გულისაბედაშვილი (19 ქ), ბადრიძე (10), ლაფანაშვილი (2 ქ. 6 მ), სიგუა (2 ქ), წერეთელი, ბოლქვაძე (2 ქ), მურჯიკნელი (2 ქ), კეშელავა (20 ქ), ნ. ნოზაძე (9 ქ), კოლუაშვილი (2 ქ), გაბაშვილი, ფაიქრიძე.

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა.

B ჯგუფი

ავიამშენი-თსუ 82:93

21:24, 31:21, 18:27, 12:21

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (5 ქ. 6 პ), ბაბიაშვილი (18 ქ. 5 მ), ხოშტარია (9 ქ. 7 მ. 6 პ), ნიკოლაძე (2 ქ), ი. ბერიშვილი (10 ქ), ნინიაშვილი (18 ქ. 11 მ), კეიდია (11 ქ), სუხიშვილი (4 ქ. 7 მ), ბარბაქაძე (5 ქ. 6 მ).

თსუ: არწივიძე (3 ქ), ბ. ბერიშვილი (12 ქ. 6 პ), ფანჩულიძე (7 ქ), ლეჟავა (11 ქ), ვეფხვაძე (17 ქ. 4 პ), შანიძე (9 ქ. 5 მ), მათიაშვილი (23 ქ. 13 მ), იმნაძე (11 ქ), მ. ბერიშვილი.

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

შაბათს: 13:00 - თბილავიამშენი-მაკაბი, 15:00 - სტუ-აზოტი; ფინალი კვირას, 15:00

გუშინ რუსთავში ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ჯგუფური ტურნირის მეორე ტურში ერთი ფინალისტის ვინაობა გაირკვა: თსუ-მ მეორე მატჩიც მოიგო - "მაქაბის" შემდეგ "ავიამშენიც" დაამარცხა და კვირას ფინალში "აზოტს" დაუპირისპირდება. "აზოტს" ჯგუფიდან გასვლა რომ არ გაუჭირდება, წინასწარაა ცნობილი. იგი ბოლო ტურში, შაბათს, "დინამოს" მიერ ძლეულ სტუ-ს დაუპირისპირდება და 99 პროცენტით დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ კვირას 15 საათზე ფინალის სანახავად მისულთ რუსთავის დარბაზში "აზოტი" და თსუ დაგხვდებათ.

წლევანდელ და შარშანდელ მემორიალების შორის პარალელის გავლება იოლი საქმეა - 2006 წელსაც ფავორიტებად "ავიამშენი" და "აზოტი" ითვლებოდნენ, მაგრამ "ავიატორები" ჯგუფში მაშინაც **ნუგზარ ჭეიშვილის** სტუდენტურმა გუნდმა ჩატოვა. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ წინა წელს იგი სტუ-ს წვრთნიდა, ახლა თსუ-ს უდგას სათავეში.

თსუ-"ავიას" მატჩი **ლევან მოსეშვილის** გუნდის უპირატესობით დაიწყო და მესამე პერიოდში ავიატორებმა 12-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს. ისინი კარგად კეტავდნენ ზონებს და სტუდენტებს მთავარი პლუსის, სწრაფი იერიშების განხორციელების უფლებას არ აძლევდნენ. მაგრამ მესამე მეოთხედის შუაში **ირაკლი ბერიშვილის** მოედნიდან გასვლასთან ერთად (5 ფოლის გამო) სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა - თსუ ათამაშდა და მისი შემჩერებელი აღარავინ ჩანდა. სტუდენტთა გამარჯვებაც დამსახურებული იყო - 93:82.

მეორე მატჩში "აზოტმა" "დინამოს" სძლია - 89:68. აქ საინტერესო ერთი ფაქტი იყო - რუსთაველთა შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა ბრაზილიიდან დაბრუნებულ **დავით ბერძენიშვილს**, რომელმაც 15 წუთში 7 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა.

ვაჟა სიმონიშვილი

პარტიზანი-ოლიმპია

ლეგიონერები

ელისმა ჰერბერტს მოუგო

წინა დღეს ჩვენი ლეგიონერების მიერ დამკვიდრებული ტრადიცია ევროლიგაზეც გაგრძელდა - **მანუჩარ მარკოიშვილმა** კარგად ითამაშა, მაგრამ წააგო, **ტაირონ ელისმა** კი თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა, მაგრამ მისმა "ნაპოლიმ" სტუმრად **გორდონ ჰერბერტის** "პო ორტეზს" აჯობა - 72:68.

ელისმა 24 წუთში 6-დან 1 სამქულიანი გამოიყენა, ერთი საჯარიმოც მიამატა და საბოლოოდ 4 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოუგროვდა. ტაირონმა მეექვსე ზუსტი სამქულიანი მატჩის 37-ე წუთზე შეასრულა - 70:68. დარჩენილ დროში ფრანგებს ერთი ქულაც არ ჩაუგდიათ. *"ამ თამაშშმა გვიჩვენა, რომ დღითი-დღე წინ მივიწევთ. პოში მოგებით მომდევნო ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით"*, - განაცხადა ტაირონ ელისმა.

მანუჩარ მარკოიშვილის "ოლიმპიამ" ბელგრადში "პარტიზანთან" 60:106 წააგო. ქართველმა ფორვარდმა 39 წუთი ითამაშა, 19 ქულა (8-დან 5 ორიანი, 5-დან 3 სამქულიანი ჩაადგო) და 4-4 მოხსნა-პასი-ჩაჭრა ჩაიწერა. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა ოცს უწია.

B ჯგუფი, XII ტური. 1. პანათინაიკოსი - 11 მოგება, 2. ხუვენტუდი - 7, 3. მაკაბი - 6, 4. ციბონა - 5, 5. პარტიზანი - 5 / 6. უნიკახა - 5 / 7. რომა - 4, 8. ოლიმპია - 3; **C ჯგუფი.** 1. ცსკა - 11, 2. ბარსელონა - 8, 3. ბენეტონი - 6, 4. პო ორტეზი - 6, 5. არისი - 5 / 6. ნაპოლი - 5 / 7. ფენერბაჰჩე - 4, 8. ჟალგირისი - 1

დღიური

46 ალარ გამახსენოთ!

"ლელოსთან" "კონტრაქტი" დღეს მენურება - ეს დღიურის ბოლო გვერდია. ეს სიახლე ჩემთვის საინტერესო გამოდგა, თუმცა, უფრო მეტად მაინტერესებს, მკითხველი როგორ აფასებს. დღიურმა დამაფიქრა ბევრ ისეთ საკითხზე, რასაც ადრე ყურადღებას არ ვაქცევდი. დავფიქრდი და აღმოვაჩინე, რომ თავისუფალი დრო ზოგჯერ უაზროდ მეხარჯება - ან ვჭამ, ან მძინავს...

ახლა ევროლიგის მატჩზე გადავიდეთ, "პარტიზანთან" დაპირისპირების შესახებ სასაუბრო ბევრი მაქვს, თუმცა ძველებური ხალისით ნამდვილად ვერ დავწერ - სერბებთან ხომ 60:106 წავაგეთ.

46 ქულის სხვაობით კარიერაში პირველად წავაგე და იმედი მაქვს, უკანასკნელად - ეს დღე მთელი ცხოვრების განმავლობაში არ დამავიწყდება. ევროლიგაზე ორი მატჩი დაგვრჩა, რამდენიმე - ადრიატიკის თასზე და ვეცდებით, "ოლიმპიას" ქომაგს ჩვენზე გული მოვუბრუნოთ.

"პარტიზანთან" მატჩის წინ "რეალში" გადასული მარკო მილიჩის გარდა, მეორე ლიდერი ტეემუ რანიკოც გამოგვაკლდა, რომელსაც მაღალი სიცხე ჰქონდა. ორი წამყვანი მოთამაშის არყოფნა დამატებით სტიმულად იქცა. გვინდოდა მათთვის, ვინც ამბობდა, "ოლიმპიას" საქმე წასულიაო, დაგვემტკიცებინა, რომ ცდებოდა. ეეჰ... თუმცაღა, გუნდისთვის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე გამოვდექი. წინასწარ იმისთვის განვეწყე, რომ საწყისი ორი ტყორცნაც რომ ამეცილებინა, მაინც თამამად უნდა მესროლა. საბოლოოდ 13-ჯერ ვისროლე და 19 ქულა მოვაგროვე. გამოვიდა, რომ ლიდერის ფუნქცია ვიკისრე, მაგრამ რად გინდა, როცა 46 ქულის სხვაობით აგებ, ოქმში ჩახედვის სურვილი არ გიჩნდება. სჯობდა 9 კაცს ("პარტიზანთან" ცხრამ ვითამაშეთ) 5-5 ფოლი მიგვეღო და მატჩი არ დაგვესრულებინა, ვიდრე ასე წაგვეგო. დაახლოებით ასე გამომდის - სჯობდა მინა გამსკდარიყო და იქ არ ვყოფილიყავი...

კრება ჯერ არ გვქონია და მწვრთნელის რისხვა თავს არ დაგვტყდომია. გასპერ ოკორნიც ბევრს ეცადა - ტაქტიკა ათასნაირად ცვალა, ხან ერთდროულად 4 დაბალი კალათბურთელით ვთამაშობდით, ხან პრესინგი ზონური დაცვით შეცვალა, მაგრამ პარტიზანელები იმ დღეს მარჯვენა ფეხზე იყვნენ ამდგარნი - რაც ისროლეს, ყველა ჩაადგეს.

ოკორნმა არა, მაგრამ "მეორე მწვრთნელმა" მატჩი დეტალურად გამირჩია: პირველივე წერილში დაგპირდით, რომ "უნიკახასთან" მატჩის მამაჩემისეულ გარჩევაზე ორი სიტყვით შევჩერდებოდი, მაგრამ მას, ჩემთვის მოულოდნელად, ოპერაცია გაუკეთებია და ის მატჩი ვერ იხილა. სამაგიეროდ "პარტიზანი"-"ოლიმპიას" თამაში ნახა და მერე ვრცლად ვისაუბრეთ. აღნიშნა, რომ ბელგრადში ჩვენთვის არადამახასიათებლად ბევრი შეცდომა დავუშვით. ისიც მითხრა - იმაზე მეტი აგრესიულობით ითამაშე, ვიდრე აქამდეო. შევპირდი, რომ ასე გავაგრძელებ... ვინც არ იცის, შევახსენებ, რომ მამაჩემი, ნუგზარ მარკოიშვილი თსუ-ს ახალგაზრდულ გუნდს წვრთნის.

მატჩის შემდეგ სასტუმროში დავბრუნდით. 12 საათზე ოთახში ვიყავი, მაგრამ თამაშის ემოციები თავს დამტრიალებდა და ვერ ვიძინებდი. იგივე სიტუაციაში იყო თურქი ენდერ არსლანი, რომელთანაც ღამის 3 საათამდე "პარტიზანი"-"ოლიმპიას" დაპირისპირებას დეტალურად ვარჩევდი. ბოლოს ისევ მე ვუთხარი - სხვა გზა არ არის, ძალით უნდა დავიძინოთ-მეთქი...

როგორც წესი, მატჩების შემდეგ სიზმრებიც საკალათბურთოა, ოღონდ ვერ ვიმახსოვრებ. დილით თუ კარგ ხასიათზე გავიღვიძე, ე.ი. სიზმარში მომიგია, თუ არა - პირიქით. ოღონდ, ახლა 2 საათი მომიწია ძილი (5 საათზე ავდექით, აეროპორტში გვაგვიანდებოდა) და, ცხადია კარგ ხასიათზე არცერთ შემთხვევაში არ გამეღვიძებოდა...

ლიუბლიანას აეროპორტში ჩასულმა მეგობარს ვეხუმრე: კიდევ კარგი, "ოლიმპიას" ქომაგებს აეროპორტში დახვედრის ტრადიცია არ აქვთ, თორემ ახლა ტანკებითა და ზარბაზნებით შეგვხვდებოდნენ-მეთქი.

შინ დილის 11 საათზე შევედი, მამაჩემს ვესაუბრე და ახლა დღიურის ბოლო გვერდს ვწერ. მალე ვარჯიშზე წავალ, კრებაც გვექნება და მერე კინოთეატრში მეგობართან ერთად მივდივარ (ვინაობის გამხელას ნუ მომთხოვთ). ბილეთს ასე ანერია: "დეჟა ვუ", მთავარ როლში დენზელ ვაშინგტონი...

გმადლობთ, ვეცდები სხვა დროს უფრო საინტერესოდ დავწერო.

მანუჩარ მარკოიშვილი

ქართველები NBA-ში

მოგება მგლის ბუნაგში

"ატლანტა ჰოქსის" წარმატებული სერია ვერც "მინესოტა ტიმბერვულვზმა" შეაჩერა. აღმოსავლელმა აუტსაიდერმა მადაზე მოსულ "მგლებს" მათსავე ბუნაგში 17 ქულით მოუგო, ტრავმის მერე გამოჯანმრთელებულმა **ჯო ჯონსონმა** კი უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა..

"ატლანტის" თავკაცი **მაიკ ვუდსონი** წამდაუწუმ იმას ჩივის, ეს რა სეზონი დაგვებედა, მატჩიდან მატჩამდე ვილაცა გვემტვრევა და ოპტიმალური 10-11 კაცი მხოლოდ რამდენიმე მატჩში თუ შევაკონიწეო. "ჰოქსს" არც ამჯერად ჰყავდა ყველა ჯანზე. გუნდმა ორივე გამთამაშებელი, **ტაირონ ლიუ** და **სპიდი კლექსტონი** მოისაკლისა, თუმცა "მინესოტას" მაინც აჯობა და ეს თამაშიდან ტყორცნების თითქმის იდეალური სიზუსტის ხარჯზე შესრულებით გააკეთა.

სტუმრებმა, რომელთა ქართველი ცენტრი **ზაზა ფაჩულია** ამჯერადაც სათადარიგოებში იყო, 81 სროლიდან 44 ზუსტად შეასრულეს, 13 სამქულიანიდან კი 7 გამოიყენეს. სასწაულად ითამაშა "ატლანტამ" კომბინაციური თვალსაზრისითაც - 44 "ცოცხალი" სროლისას სტუმრებმა 31 შედეგიანი გადაცემა დააგროვეს და მატჩი მხოლოდ 9 შეცდომით დაასრულეს.

"ატლანტამ" მინეაპოლისში ბოლო 9 წლის განმავლობაში პირველი გამარჯვება მოიპოვა და ვუდსონის თქმით, მიმდინარე სეზონში გასვლაზე თავისი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა.

ახლა კი ფაჩულიაზე გადავიდეთ. ზაზას რეზერვში დატოვება მთლად სასიამოვნო არ არის, მაგრამ ჩვენთვის ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი საბოლოო შედეგია. ამ მხრივ კი, საქართველოს ნაკრების ლიდერი ბოლო მატჩებში ნელ-ნელა სტაბილურობას იბრუნებს და გამონაკლისი არც **კევინ გარნეტის** გუნდის წინააღმდეგ გამართული მატჩი იყო.

ზაზამ ამჯერად ცენტრისთვის საინტერესო მაჩვენებელი დააფიქსირა - მატჩი მოხსნაზე მეტი ზუსტი პასით დაასრულა, ხოლო თამაშიდან ნასროლი 7 ბურთიდან 5 ჩააგდო. სწორედ ზაზამ, მისმა შემცვლელმა და ამჯერად სასტარტოს წევრმა **ლორენცენ რაიტმა** და **შელდენ უილიამსმა** გადაუკეტეს თითქმის ყველა დერეფანი მასპინძელთა სუპერვარსკვლავ კევინ გარნეტს.

ამ უკანასკნელმა თამაშიდან ბედი 15-ჯერ სცადა და მხოლოდ 6-ჯერ ივარგა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ გარნეტმა მხოლოდ 2 საჯარიმო სროლა შეასრულა. მოკლედ, მეგავარსკლავის განეიტრალებით სტუმრებმა "მინესოტაც" დაუაძლურეს და ვუდსონის თქმის არ იყოს, ამ სეზონში გასვლაზე მართლაც განსაკუთრებული და ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა გამართეს. იმავე გარნეტმა პირველ ნახევარში ზედიზედ 7 სროლა გააფუჭა, ორჯერ კი კევინს **ჯოშ სმიტმა** დაუფარა. თუმცა, გარნეტმა ერთი შთამბეჭდავი სერია მაინც განავრცო - მან ზედიზედ 359-ე შეხვედრაში მოახერხა 10 და მეტი ქულის დაგროვება, რაც ლიგის ისტორიაში მერვე ყველაზე ხანგრძლივი სერიაა.

ზურაბ თალაკვაძე

მინესოტა-ატლანტა 88:105

22:26, 23:30, 20:27, 23:22

მინესოტა: მ. ბლაუნტი (36 წთ. 16 ქ. 11 მ. 2 პ. 1 ჩ. 1 დ), გარნეტი (35 წთ. 13 ქ. 13 მ. 4 პ. 2 ჩ. 2 დ), რ. დევისი (32 წთ. 13 ქ. 3 მ. 2 პ), მ. ჯეიმსი (27 წთ. 13 ქ. 2 მ. 1 პ. 1 ჩ), ჰასელი (28 წთ. 4 ქ. 7 პ. 1 მ) - კ. სმიტი (16 წთ. 8 ქ. 3 მ), ჰადსონი (12 წთ. 7 ქ. 4 პ), ფოიე (29 წთ. 6 ქ. 4 მ. 4 პ), რიდი (9 წთ. 4 ქ. 3 მ), ბ. რაიტი (8 წთ. 2 ქ. 1 ჩ), მედსენი (3 წთ. 2 ქ. 2 მ. 1 ჩ).

ატლანტა: ჯო ჯონსონი (35 წთ. 29 ქ. 8 პ. 1 მ. 1 ჩ), ჯოშ სმიტი (38 წთ. 21 ქ. 5 მ. 3 დ. 1 პ. 1 ჩ), მერვინ უილიამსი (29 წთ. 7 ქ. 10 მ. 5 პ), ლ. რაიტი (26 წთ. 6 ქ. 6 მ. 2 პ), აივი (10 წთ. 5 ქ. 1 მ. 1 ჩ) - **ზაზა ფაჩულია (19 წუთი, 12 ქულა, 4 პასი, 2 მოხსნა, 2 შეცდომა, 5 ფოლი),** ჩილდრესი (31 წთ. 11 ქ. 8 მ. 5 პ. 1 დ), შელდენ უილიამსი (25 წთ. 6 ქ. 8 მ. 1 ჩ), ს. სტაუდმაიერი (16 წთ. 6 ქ. 5 პ. 2 მ. 1 ჩ), მედვედენკო (2 წთ. 2 ქ), ს. ჯოუნსი, ტომპსონი.

I მეოთხედი

05:50 ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
05:28 შეცდომა: 1 (გლაუნტმა ჩაუერა)
04:30 პასი: 1 (ჯონსონი, 2 ქ. 17:14)
01:34 ფოლი: 1 (გლაუნტზე დაჯარიმდა)
00:03 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი

II მეოთხედი

10:33 მოხსნა: 1 (შეტ. 1, დაკ: 0)
10:15 ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (32:26)
10:15 ფაჩულიაზე ფოული დაჯარიმდა
10:15 საჯარიმო: 3 ქ (33:26)
10:06 ფოლი: 2
09:33 პასი: 2 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 35:26)
09:26 ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა

III მეოთხედი

07:13 ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
06:30 ორქულიანი ტყორცნა: 5 ქ (72:52)
05:09 ორქულიანი ტყორცნა: 7 ქ (74:55)
03:38 პასი: 3 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 79:59)
03:27 ფოლი: 3 (კ. სმიტზე დაჯარიმდა)
03:04 ფოლი: 4
03:04 ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა

IV მეოთხედი

09:11 ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
08:47 პასი: 4 (შ. უილიამსი, 2 ქ. 94:69)
08:23 მოხსნა: 2 (შეტ. 2, დაკ: 0)
08:01 ორქულიანი ტყორცნა: 9 ქ (96:69)
07:19 ფაჩულიაზე კ. სმიტი დაჯარიმდა
07:19 საჯარიმოები: 2/1 (10 ქ. 97:71)
06:18 ორქულიანი: ბარნეტმა დაუფარა
05:31 ორქულიანი ტყორცნა: 12 ქ (101:73)
04:47 ფოლი: 5 (შეტევაში)
04:47 შეცდომა: 2 (ფოლი შეტევაში)
02:28 ფაჩულია მედვედენკომ შეცვალა

ზაზა ფაჩულია: 33 მატჩი, 29.2 წუთი, 12.7 ქულა, 6.7 მოხსნა, 1.7 პასი, 1.1 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.3 შეცდომა, 3.6 ფოლი. ატლანტა ჰოქსი: 36 მატჩი, 13 მოგება, 23 წაგება, მესამე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში. მომდევნო მატჩი: ატლანტა - შარლოტი (19 იანვარი).

ავსტრალიის ღია პირველობა

მეორე წრის სასარგებლო წრთობა

ავსტრალიის ღია პირველობაზე გუშინ ჩოგბურთის ფანებმა რამდენიმე მეტად საინტერესო და დაძაბული პაექრობა იხილეს. მათ შორის კი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო ბრიტანელ თინეიჯერ **ენდრიუ მიურეისა** და ესპანელი **ფერნანდო ვერდასკოს** შეხვედრა.

მიურეიმ სამ სეტში მოიგო, თუმცა სამივეში მეტოქისგან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. განსაკუთრებით ძნელი მოსაგები კი პირველი ორი სეტი გამოდგა. სულ ბრიტანელს მომდევნო წრეში გასასვლელად თითქმის სამი საათი დასჭირდა, ნამატჩევს კი ხაზი გაუსვა, რომ ყოველი ეტაპის გავლის შემდეგ, სულ უფრო უკეთ თამაშობს.

"ასეთ ჩოგბურთელებთან თამაში ძალიან ძნელია. მას არაერთი ძლიერი ჩოგბურთელი ჰყავს დამარცხებული და ახლა ვხვდები, როგორც ახერხებს ამას. მას შარშან რომ შევხვედროდი, ალბათ წავაგებდი. მაგრამ ამ ერთი სეზონის განმავლობაში საგრძნობლად წინ წავიწიე და ახლა ჩემი დამარცხება არც ისე იოლია. ახლა უფრო გამოცდილი და თავდაჯერებული ვარ", - განაცხადა მიურეიმ, ვინც თავის სერვისზე ხუთი გეიმი კი დათმო, მაგრამ მაინც სეტის წაუგებლად მოიგო შეხვედრა.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა პირველი სეტი, რომელშიც ჩოგბურთელებმა საერთო ჯამში 6 ბრეიკი მოიპოვეს. საბოლოოდ, საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც შოტლანდიელი უფრო სტაბილური იყო და სეტიც მის სასარგებლოდ დასრულდა.

მეორე სეტი ესპანელის აშკარა უპირატესობით დაიწყო და მალე ის 4:1 დაწინაურდა. თუმცა, აქედან მოყოლებული, მიურეიმ შეცდომებს უკლო და მალე ანგარიშიც გაათანაბრა. უფრო მეტიც, 5:5-ზე მან გადამწყვეტი ბრეიკიც მოიპოვა, რის შემდეგაც, იოლად მოიგო თავისი სერვის-გეიმი და თამაშის დაწყებიდან ორი საათის შემდეგ ორი სეტით დაწინაურდა.

მესამე სეტის დასაწყისი მეორეს გამეორება იყო, ოღონდ ამჯერად თავიდან მიურეი 4:1 დაწინაურდა, შემდეგ კი ვერდასკო გამოცოცხლდა, რომელმაც ორივე ბრეიკი გაქვითა (4:4) და თამაშის შემობრუნების შანსი გაუჩნდა. მაგრამ, მეორე სეტის სცენარი სწორედ აქ შეწყდა. მიურეიმ მომდევნო ორი გეიმი მოიგო და შემდეგ წრეშიც ის გავიდა.

სხვათა შორის, მისი მომდევნო მეტოქეა არგენტინელი **ხუან იგნასიო ჩელა**, ვინც შარშან მიურეის მელბურნ პარკზე დებიუტი ჩაუშხამა - პირველივე წრეში გამოთიშა ტურნირს. შოტლანდიელი მეჩოგნე ოპტიმიზმითაა განწყობილი, თუმცა ისიც შეგნებული აქვს, რომ ჩელას სახით ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავს - ეს ბიჭი ჰარდზე კარგად თამაშობს და სიცხეში გამოსვლებსაც უფრო იოლად იტანსო, ამბობს მიურეი და იმედოვნებს, რომ შარშანდელი წაგებისთვის რევანშის აღებას შეძლებს.

დაახლოებით ასეთივე გაჭირვება გაიარა მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, ვისაც მედგარი წინააღმდეგობა შეხვდა გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერისგან**. შეხვედრა სამსაათნახევარს გრძელდებოდა და არ ყოფილა მომენტი, როცა საფრანგეთის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი გამარჯვებაში დარწმუნებული იქნებოდა. ეს მაშინაც, როცა მეოთხე სეტში 4:0 დაწინაურდა.

მართლაც, კოლშრაიბერმა ზედიზედ ორი გეიმი მოიგო და თითქოს, თამაშშიც გარდატეხა შეიტანა, მაგრამ ნადალმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძლიერი ხელებისა და მარდი ფეხების გარდა, ნერვებიც მდგრადი აქვს.

ნადალის თამაში ხომ ყოველთვის საინტერესოა და ამჯერად კოლშრაიბერმაც გაახარა მაყურებელი თავისი მონდომებით. მან რამდენიმე ისეთი ქულა მოიპოვა, მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნეებსაც კი შეშურდებოდათ, მაგრამ ამავდროულად, უამრავ უნებლიე შეცდომასაც უშვებდა. ისე, უშეცდომო თამაშით არც ნადალი გამოირჩეოდა. ორივე ჩოგბურთელის თამაშში ხშირი წუნის მიუხედავად, თამაში მაინც კარგი სანახავი გამოდგა.

ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი მეორე სეტის მეოთხე გეიმში დაფიქსირდა. ბადესთან ახლოს მდგარი კოლშრაიბერის მიერ დარტყმული ბურთი, ნადალს ტანზე მოხვდა. ესპანელი დარტყმისთანავე მიხვდა, რომ ბურთი მას ხვდებოდა და ჩაწოლა სცადა, მაგრამ ვერ მოასწრო. თუმცა, ბურთი მაინც კორტის მეორე მხარეს გადავარდა, იქ კი მას გერმანელი ჩოგბურთელი დახვდა, რომელმაც "კუთვნილი" ქულა მოიპოვა.

საბოლოოდ, ნადალი ძალიან კმაყოფილი დარჩა იმით, რომ კოლშრაიბერმა ასეთი გამოცდა ჩაუტარა: *"ძალიან კარგია, რომ ასეთი ძნელი გამარჯვება მოვიპოვე. მთავარია, რომ მოვიგე, დაძაბულ პაექრობაში მიღებული გამოცდილება კი შემდგომში აუცილებლად გამომადგება"*.

მოსაგებად ოთხი სეტი დასჭირდა ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტსაც**, რომელსაც მეტოქედ კანადელი **ფრენკ დანცევიჩი** ჰყავდა. ესპანელისგან განსხვავებით, ჰიუიტმა პირველი ორი სეტი იოლად მოიგო, მაგრამ მესამეში კანადელმა ბევრი პრობლემა შეუქმნა და ერთი სეტი გაუქვითა კიდეც, თუმცა ამით შეხვედრის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო. მეოთხე სეტში დანცევიჩმა წელის ტრავმის გამო, კორტზე ექიმს უხმო. რა თქმა უნდა, მან ამის შემდეგ ოზ მეჩოგნეს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია.

"ტურნირის საწყის ეტაპზე ასეთი შეხვედრები კარგია, რადგან მათი მოგებით თავდაჯერება იზრდება. თავიდან პრობლემა არ მქონია. მართალია, მოწოდებით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ საჭირო მომენტებში კარგად ვთამაშობდი, რაც სამომავლოდ იმედს მისახავს", - განაცხადა ჰიუიტმა, ვისაც პირველ წრეში, ამერიკელ კვალიფიცირებულ **მაიკ რასელთან** მოსაგებად ხუთი სეტის თამაში დასჭირდა.

მეორე ეტაპი გაცილებით იოლად განვლეს ბელგიელმა **კიმ კლაისტერმა** და შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა**. ორივე სათამაშოდ თითქმის ერთდროულად გავიდა და თითქოს, ნაძლევი ჰქონდათ - ვინ უფრო სწრაფად მიბრუნდებოდა გასახდელშიო, სწრაფად მოითავეს საქმე. ამ "დუელში" ბელგიელმა 9 წუთით აჯობა შვეიცარიელს. ამასთან, მან მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო იაპონელ **აკიკო მორიგამის**, როცა ჰინგისმა რუს თინეიჯერ **ალა კუდრიავცევას** ოთხი გეიმი "მოაგებინა".

კლაისტერსზე ერთი წუთით ნაკლები დასჭირდა მოსაგებად რუს **მარია შარაპოვას**, ვინც 58 წუთში დაამარცხა თანამემამულე **ანასტასია როდიონოვა**. როგორც ყოველთვის, მოგებულმა ლამაზმანმა უხვად დაურიგა ტრიბუნებს ჰაეროვანი კოცნები, შემდეგ კი პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამჯერად სიცხეს აღარ შევუწუხებივარ და ჩემი ტვინის უჯრედებიც ჯეროვნად მუშაობდნენო.

მერაბ ლორთქიფანიძე



რაფაელ ნადალი

ქაცები. I I წრე

რაფაელ ნადალი (2) - **ფილიპ კოლშრაიბერი** 7:5, 6:3, 4:6, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (3)** - ჟილ მიულერი 6:4, 6:0, 6:3; **ჯეიმს ბლეიკი (5)** - ალექს კუზნეცოვი 6:4, 6:1, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი (9)** - ნიკოლას ლაპენტი 6:4, 6:4, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (10)** - ხუან მარტინ დელ პორტო 7:6(7), 4:6, 6:7(3), 6:4, 4:0 დელ პორტო გამოეთიშა; **ტომი პაასი (12)** - ილია ბოზოლიაცი 7:6(3), 6:1, 6:3; **ტომაშ ბერდიჩი (13)** - რობერტ სმიტსი 6:3, 6:2, 6:4; **ენდრიუ მიურეი (15)** - ფერნანდო ვერდასკო 7:6(4), 7:5, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** - იარკო ნიემინენი (17) 6:3, 2:6, 6:4, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (19)** - ფრანკ დანცევიჩი 6:4, 6:4, 3:6, 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი (21)** - მაქს მირნი 6:2, 6:3, 7:6(4); **სებასტიან გროჯანი (28)** - ოლივიე როხუსი 4:6, 6:1, 6:3, 4:6, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (31)** - პაულ კაპდევილი 6:4, 6:3, 6:2; **რობი გინეპრი** - მიშა ზვერევი 6:4, 7:5, 6:1; **ფლორიან მაიერი** - ანდრეას სეპი 5:7, 7:5, 6:2, 6:2; **ფაბრის სანტორო** - არნო კლემანი 6:2, 6:4, 6:4

ქალები. I I წრე

მარია შარაპოვა (1) - ანასტასია როდიონოვა 6:0, 6:3; **კიმ კლაისტერსი (4)** - აკიკო მორიგამი 6:3, 6:0; **მარტინა ჰინგისი (6)** - ალა კუდრიავცევა 6:2, 6:2; **პატი შნიდერი (8)** - შუაი პენი 7:5, 6:3; **დინარა საფინა (9)** - იულია ფედოსოვა 6:3, 6:2; **ანა ჩაკვეტაძე (12)** - ლაურა გრენვილი 6:2, 5:7, 6:1; **ანა ივანოვიჩი (13)** - აგნიეშკა რადვანსკა 6:2, 3:6, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (15)** - ემილი ლუა 4:6, 6:3, 6:4; **ეშლი ჰერკლროუდი** - ანა-ლენა გრონეფელდი (17) 6:2, 6:2; **ნა ლი (19)** - ლურდეს დომინგეს ლინო 6:0, 6:2; **ვერა ზვონარევა (22)** - ტამირა პაშეკი 6:1, 6:3; **ელენა კოსტანიჩი** - სამანტა სტოშური (24) 6:4, 2:6, 6:2; **ალონა ბონდარენკო (29)** - ვირჟინი რაზანო 6:3, 6:4; **ტატიანა გარბინი (30)** - რენატა ვორაცოვა 6:1, 7:5; **აიკო ნაკამურა** - სანია მირზა 6:3, 6:2; **ალისია მოლიკი** - კაია კანეპი 1:6, 6:3, 6:2

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

მემფისი და ტორონტო მწვრთნელისთვის იბრძვიან

"ფინიქს სანსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **მარკ იავარონი,** შესაძლოა "მემფის გრიზლისის" დამრიგებელი გახდეს. როგორც იცით, დღეს ეს პოსტი დროებით **ტონი ბარნეს** უკავია.

აღსანიშნავია, რომ ამავე სპეციალისტზე პრეტენზიას "ტორონტო რეპტორზიც" აცხადებს, რომელიც იავარონს, ასევე მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობს.

პეიტონი წასვლაზე ალაპარაკდა

"მაიამი ჰიტის" ვეტერანი მცველი **გერი პეიტონი** კარიერის დასრულებას აპირებს. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კალათბურთელი ამბობს, რომ ეს სეზონი შეიძლება უკანასკნელი იყოს მის კარიერაში.

"დადგა დრო, უფრო მეტი ყურადღება მივაქციო ოჯახსა და ჩემი ორი ვაჟის საკალათბურთო გაკვეთილებს, - ამბობს პეიტონი, რომელიც NBA-ში მე-18 სეზონს ატარებს. - *გარდა ამისა, ჩემი უფროსი ქალიშვილი, რეიჩელი წელს უნივერსიტეტში შევა, ასე რომ, ამიერიდან ოჯახი პირველ პლანზე გადმოდის"*.

კალათბურთელის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ზაფხულში მიიღებს.

დეტროიტი მაღლებს იშორებს

როგორც იცით, ორი დღის წინათ, "დეტროიტ პისტონზმა" თავისუფალ აგენტ **კრის უებერს** გაუფორმა კონტრაქტი. თუმცა, **ფლიპ სონდერსის** გუნდი მხოლოდ ამ ტრანსფერით დაკმაყოფილებას არ აპირებს და ერთი ისეთი ტანმაღალი კალათბურთელის გაცვლა სურს, რომელიც იშვიათად ხვდება სასტარტო შემადგენლობაში.

გამოცემა Detroit Free Press სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ "პისტონზი" პრეტენზიას აცხადებს "მინესოტას" შემტევ მცველ **მარკო იარიჩსა** ან "ჰიუსტონის" მოთამაშე **ბონზი უელსზე**. სანაცვლოდ, კლუბი მზადაა დათმოს **ნაზრ მუჰამედი, ანტონიო მაკდაესი, დეილ დევისი** ან **ჯეისონ მაქსიელი**.

ედი ჯორდანი დეგოშისთვის დაისაჯა

NBA-ის ხელმძღვანელობამ "ვაშინგტონ უიზარდსის" მთავარი მწვრთნელი **ედი ჯორდანი** 15 ათასი დოლარით დააჯარიმა. ამის მიზეზი "სან ანტონიოსთან" მატჩში ჯორდანის უღირსი საქციელი გახდა.

მესამე მეოთხედში, როცა **მანუ ჯინობილიმ გილბერტ არენასს** ბურთი აართვა, მწვრთნელი მოედანზე შეეარდა და მსაჯებს ყვირილი დაუწყო - ჯინობილიზე პერსონალური უნდა დაგეფიქსირებინათო.

"ვაშინგტონის" კალათბურთელებმა დამრიგებელი სკამზე დასვეს, მაგრამ ჯორდანი მაინც არ დაწყნარდა, რასაც ორი ტექნიკური ფოლი და მოედნიდან გაძევება მოჰყვა. "უიზარდსის" მწვრთნელი დიდხანს არ ტოვებდა პარკეტს და მსაჯებთან კამათს განაგრძობდა.

აღსანიშნავია, რომ ედი ჯორდანი მეოთხე სეზონია, რაც "ვაშინგტონს" წვრთნის და უკვე მესამედ გააძევეს მოედნიდან.

ენტონი საუკეთესოა

"დენვერ ნაგეტსის" დისკვალიფიცირებული ფორვარდი **კარმელო ენტონი,** ამერიკის 2006 წლის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ენტონის ეს აღიარება, მსოფლიო ჩემპიონატზე მისი კარგი თამაშით არის განპირობებული.

"ამ პრიზის მიღებით ძალიან ამაყი ვარ. მთელი ზაფხული ბევრს ვვარჯიშობდი, რათა ჩემი ქვეყნის ნაკრებისთვის მეტი სარგებელი მომეტანა. ამერიკისთვის მომავალშიც ვითამაშებ და გუნდს პეკინში ოქროს მედლის მოპოვებაში დავეხმარები", - განაცხადა ლაურეატმა.

საშუალოდ მატჩში 31.6 ქულით, კარმელო ენტონი წლევანდელი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირია, თუმცა, ის დღემდე იხდის 15-მატჩიან დისკვალიფიკაციას, "ნიუ იორკთან" მატჩში ატეხილი ჩხუბის გამო.

პოლკი

ჩხუბი ვარჯიშზე

"ფინიქს კოიოტზის" ჰოკეისტებმა - მცველმა **ედ ჟოვანოვსკიმ** და თავდამსხმელმა **ჯოშ გრეტონმა** კლუბის ვარჯიშის დროს იჩხუბეს და კარგა მაგრად ურტყეს ერთმანეთს მუშტები.

ამერიკელი ჟურნალისტები ვერ აზუსტებენ, თუ რა იყო ჩხუბის მიზეზი, რადგან მისმა მონაწილეებმა კომენტარისგან თავი შეიკავეს. თუმცა, გრეტონმა ვარჯიშის შემდეგ განაცხადა, რომ ინციდენტი ამუწურულია და არ ღირს მასზე ზედმეტი ყურადღების გამახვილება.

სტრაკა რეინჯერსში რჩება

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ჩეხი თავდამსხმელი **მარტინ სტრაკა**, რომელიც ამ სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი ხდება, კლუბთან კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებას დათანხმდა.

34 წლის ფორვარდი საკმაოდ სარფიან გარიგებას მოაწერს ხელს - მომავალ სეზონში მისი ხელფასი 3.3 მილიონი დოლარი იქნება. ეს 200 ათასით მეტია იმ თანხაზე, რომელსაც სტრაკა ამ სეზონში მიიღებს.

ბერტუციმ ვარჯიში დაიწყო

"ფლორიდა პანტერზის" თავდამსხმელმა **ტოდ ბერტუციმ,** დიდხნიანი შესვენების შემდეგ, პირველად შედგა ყინულზე ფეხი.

"როიტერის" ინფორმაციით, ბერტუციმ, რომელმაც 2 ნოემბერს ხერხემლის ოპერაცია გაიკეთა, 30-წუთიანი ვარჯიში ჩაატარა. ჰოკეისტის თქმით, ყინულზე სრიალისას დისკომფორტი ან ტკივილი არ უგრძვნია და უკვე ორი კვირის შემდეგ, მას სრულფასოვანი ვარჯიშების ჩატარებაც შეეძლება.

ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი პროლოგის გარეშე

ფრანგული პრესის ინფორმაციით, 2008 წლის "ტურ დე ფრანსის" პირველი ეტაპი 5 ივლისს გაიმართება. ველოსიპედისტები სტარტს ქალაქ ბრესტიდან (ფინისტერის დეპარტამენტი) აიღებენ. პირველი ეტაპის ფინიში ქალაქ პლიუმელეკშია დაგეგმილი.

2008 წელს გათვალისწინებული არ არის ტრადიციული პროლოგის ჩატარება. ოფიციალურად, 2008 წლის "ტურ დე ფრანსის" კალენდარს 25 იანვარს, ქალაქ რენში წარმოადგენენ.

ტრანსფერი

რვაკაციანი ტრეიდი

ინდიანამ და გოლდენ სტეიტმა 4-4 კალათბურთელი გაუცვალეს ერთმანეთს

გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი ხმაურიანი ტრეიდი განხორციელდა. "გოლდენ სტეიტმა" და "ინდიანამ" ერთბაშად ოთხ-ოთხი კალათბურთელი გაუცვალეს ერთმანეთს. "პეისერსი" სამ ფორვარდს - ელ ჰარინგტონს, სტივენ ჯექსონს, ჯოშ პაუელსსა და მცველ შარუნას იასიკიავიჩუსს შეელია, სანაცვლოდ კი, იგივე ამპლუის მოთამაშეები - **მაიკ დანლივი, ტროი მერფი, იკე დიოგუ** და **კეიტ მაკლეოდი** მიიღო.



ელ ჰარინგტონი

სანამ ამ კალათბურთელებს თავიანთ ახალ გუნდებში საქმეში არ ვიხილავთ, მანამდე ძნელი სათქმელია, თუ ვინ იხეირებს ამ ტრეიდით. ერთი კი ფაქტია - "გოლდენ სტეიტმა" შარშანდელი სურვილი აისრულა. გასულ წელს, ეს გუნდი სწორედ ელ ჰარინგტონზე ნადირობდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმ გუნდში (ანუ "ინდიანაში") დაბრუნება მოინდომა, სადაც იწყებდა კიდეც თავის კარიერას. ჰარინგტონი "პეისერსში", "ატლანტასთან" განხორციელებული ტრეიდის წყალობით ჩაირიცხა. წელს, ეს კალათბურთელი საშუალოდ 15.9 ქულასა და 6.3 მოხსნას აგროვებს და ამ მაჩვენებლებით, თავის ან უკვე ყოფილ გუნდში მხოლოდ **ჯერმეინ ო'ნილს** ჩამორჩებოდა.

ამ გარიგებამ ერთი კურიოზული შემთხვევა გამოიწვია - "კლიპერსთან" გუშინდელ მატჩში, "უორიორზის" მთავარმა მწვრთნელმა, **დონ ნელსონმა** ძლივს შეკრიბა ექვსი კაცი. NBA-ის წესების თანახმად კი, რეგულარულის მატჩში გუნდს, მინიმუმ რვა კაცი უნდა ჰყავდეს განაცხადში. სწორედ ამიტომაც, "გოლდენ სტეიტმა" სასწრაფოდ გააფორმა 10-დღიანი კონტრაქტი **რენალდო მეიორთან** და დაშავებულთა სიიდან გამოიყვანა ჯერ კიდევ ტრავმა-მოუშუშებელი **ადონალ ფოილი**.

კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს აუცილებლად. "ინდიანაში" გადასული ტროი მერფი და მაიკ დანლივი, თავიანთ კარიერაში ყველაზე უარეს სეზონს თამაშობენ. მერფის ანგარიშზე, ჯერ-ჯერობით, 8.9 ქულა და 6 მოხსნა მოდის, დანლივი კი, საშუალოდ 11.4 ქულას აგროვებს.

ასეა თუ ისე, ტრეიდის ავტორები კმაყოფილებას ვერ მალავენ. *"ამ გაცვლით აღფრთოვანებული დავრჩი,* - განაცხადა "გოლდენ სტეიტის" ვიცე-პრეზიდენტმა **კრის მულინმა**, რომელსაც, სხვათა შორის, თავის დროზე "უორიორზშიცა" და "ინდიანაშიც" აქვს ნათამაშები. - *ყოველთვის ვამბობ, რომ ჩვენ ყველა გ ზას ვეძებთ გუნდის გასაძლიერებლად და ამ გარიგებით, პრინციპში მიზანს მივაღწიეთ კიდეც. მივიღეთ ის მოთამაშეები, რომლებიც კარგად მოერგებიან დონ ნელსონის შემტევ სტილს".*

"საკმაოდ მნიშვნელოვანი ტრეიდი განხორციელდა, რომელიც ორივე გუნდისთვის სასარგებლო იქნება", - ეს "ინდიანას" საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტ **ლარი ბერდის** სიტყვებია. - *მსგავსი გარიგებები ყოველთვის მტკივნეულია ხოლმე, რადგან შენს საყვარელ მოთამაშეებთან გიწევს განშორება, მაგრამ ამჯერად სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ვფიქრობ, უკმაყოფილო არცერთი მხარე არ დარჩება".*

"გოლდენ სტეიტსაცა" და "ინდიანასაც" რთული ბრძოლა უწევთ ფლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად. "უორიორზი" დასავლეთ კონფერენციაში მერვე ადგილზე მყოფ "დენვერს" ერთი მოგებით ჩამორჩება, "ინდიანა" კი, აღმოსავლეთის მეშვიდე გუნდია. "გოლდენ სტეიტს" 1994 წლის შემდეგ ფლეი ოფში არ უთამაშია, "ინდიანას" კი პირიქით, 1997 წლიდან არ გამოუტოვებია ფლეი ოფის მატჩები.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

დეტროიტი-იუტა 99:100
24:26, 27:20, 19:26, 29:28
დეტროიტი: ბილაპსი (26 ქ. 7 პ), ირინსი (17 ქ), მაკდესი (16 ქ).
იუტა: დერ. უილიამსი (31 ქ. 10 პ), ოქური (22 ქ), ბუზერი (20 ქ).

შარლოტი-ნიუ ჯერსი 85:92
18:20, 16:33, 26:21, 25:18
შარლოტი: ფელტონი (18 ქ), ოკაფორი (14 ქ. 21 მ), კეროლი (14 ქ), მორისონი (10 ქ. 7 მ. 7 პ)
ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (26 ქ), კიდი (17 ქ).

ტორონტო-საკრამენტო 101:85
23:25, 25:18, 20:26, 33:16
ტორონტო: პეტერსონი (22 ქ), ბოში (20 ქ), გარბაბოსა (16 ქ).
საკრამენტო: ბიბი (21 ქ), კეგე. მარტინი (18 ქ), არტესტი (18 ქ).

ვაშინგტონი-ნიუ იორკი 99:98
25:24, 31:29, 25:17, 18:28
ვაშინგტონი: კ. ბატლერი (27 ქ. 10 პ), ჯეიმისონი (21 ქ), არენასი (16 ქ), ჰეივუდი (4 ქ. 13 მ).
ნიუ იორკი: კ. რიჩარდსონი (35 ქ. 10 მ), კარი (18 ქ), ლი (11 ქ. 10 პ).

მილუოკი-ჩიკაგო 90:99
31:26, 20:23, 22:18, 17:32
მილუოკი: ილიასოვა (22 ქ), ბოიკინსი (17 ქ), პატერსონი (15 ქ. 11 მ).
ჩიკაგო: ნიჩიონი (21 ქ), გორდონი (20 ქ), დენგი (19 ქ), ჰინრიხი (16 ქ. 9 პ).

მინესოტა-ატლანტა 88:105
22:26, 23:30, 20:27, 23:22
მინესოტა: ბრაუნტი (16 ქ), გარნეტი (13 ქ. 13 მ), რ. დევისი (13 ქ).
ატლანტა: ჯო ჯონსონი (29 ქ. 8 პ), ჯოშ სმიტი (21 ქ), მარვ. უილიამსი (7 ქ. 10 მ).

მემფისი-ფილადელფია 118:102
37:24, 33:25, 23:29, 25:24
მემფისი: მ. მილერი (30 ქ), გეი (23 ქ. 4 ჩ), გასოლი (12 ქ. 12 მ), დ. სტაუდმაიერი (2 ქ. 10 პ).
ფილადელფია: კორვერი (30 ქ), უ. გრინი (23 ქ), დალმბერი (17 ქ. 10 მ).

პიუსტონი-ფინიქსი 91:100
28:19, 23:29, 24:31, 16:21
ჰიუსტონი: ალსტონი (29 ქ. 8 პ), ჰედი (16 ქ), ბატე (16 ქ).
ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (22 ქ. 11 მ), ნეში (21 ქ. 14 პ), ბარბოზა (20 ქ).

სან ანტონიო-ლოს ანჯელესი 96:100
25:19, 28:30, 18:24, 25:27
ს. ანტონიო: დენკანი (26 ქ. 9 მ. 4 დ), ტ. პარკერი (25 ქ).
ლოს ანჯელესი: ბრაიანტი (34 ქ. 6 მ. 8 პ).

პორტლენდი-კლივლენდი 94:76
18:9, 23:28, 29:14, 24:25
პორტლენდი: ზ. რენდოლფი (26 ქ. 12 მ), როი (19 ქ. 10 მ).
კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (23 ქ. 6 მ), პიუზი (17 ქ).

კლიპერსი-გ. სტეიტი 115:109
35:27, 29:28, 32:28, 19:26
კლიპერსი: ბრენდი (27 ქ. 11 მ. 5 დ), როსი (24 ქ), კასელი (23 ქ. 13 პ).
გოლდენ სტეიტი: აზუბუიკი (28 ქ), მ. ელისი (28 ქ), ბარსნი (6 ქ. 13 მ).

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ანაჰაიმს წამოეწივნენ

დეტროიტი-ნეშვილი 5:3
1:2, 4:1, 0:0
გოლები: 0:1 ზენონი-1 (სალივანი-30), 1:1 ზეტერბერგი-18 (მარკოვი-7, ჟაციუკი-29), 1:2 ტუტუ-2 (პარტნელი-11, ფიდლერი-7), 2:2 ზეტერბერგი-19 (პოლმსტრიომი-14, დაციუკი-30), 2:3 ჰამპუსი-3, 3:3 ლიდსტრიომი-10 (დაციუკი-31, ზეტერბერგი-21), 4:3 ჰადლერი-8 (ფილპულა-3, ლილია-3), 5:3 ჰოლმსტრიომი-14 (დაციუკი-32, ლიდსტრიომი-29).

ეს იყო უპრინციპულესი შეხვედრა, რომელშიც ცენტრალური დივიზიონის ორი ლიდერი ხვდებოდა ერთმანეთს. თანაბარი ძალის გუნდების დაპირისპირება მეტად დაძაბული გამოვიდა. "ნეშვილმა" კონტრშეტევებზე ააწყო თამაში და იშვიათად უტევდა **დომინიკ ჰაშეკის** კარს - იმ დღეს, "დეტროიტის" კარის დარაჯს მხოლოდ 14 სეივი დაუგროვდა. მიუხედავად ამისა, სტუმრები ორჯერ იგებდნენ და რომ არა მეორე პერიოდში ჩავარდნა, მატჩის ბედი ბოლო წუთამდე გაურკვეველი იქნებოდა. 2:3-ზე, "დეტროიტმა" ზედიზედ სამი შაიბა გაიტანა და შემდეგ ახლოს აღარ მიიკარა მეტოქე.

"დეტროიტმა" ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო. ამ მატჩებში განსაკუთრებით სამი ჰოკეისტი აქტიურობდა. რუსმა **პაველ დაციუკმა** ბოლო ხუთ შეხვედრაში 2 გოლი და 12 პასი მიითვალა, შვედ **ჰენრიკ ზეტერბერგს** ზედიზედ ექვს მატჩში 3 გოლი და 9 საგოლე გადაცემა აქვს აქტივში, ხოლო მისმა თანამემამულე **ტომას ჰოლმსტრიომმა** ბოლო 10 მატჩში 9 შაიბა შეაგდო.

რაც შეეხება "ნეშვილს", მან ზედიზედ 6-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა. ახლა ამ გუნდებს შორის ქულათა სხვაობა ორამდე შემცირდა. ცენტრალურ დივიზიონს, ჯერჯერობით, "პრედატორზი" ლიდერობს. რაც მთავარია, ორივე გუნდი თითქმის დაეწია რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ "ანაჰაიმს".

დალასი-კალგარი 4:2
1:1, 2:0, 1:1
გოლები: 1:0 ი. ლეჰტინენი-13 (სტეფანი-6, ლ. ერიქსონი-7), 1:1 პუსულუსი-20 (ლენგკოუ-29, ფანფი-18), 2:1 ლუნდკვისტი-1 (ტიარნკვისტი-2), 3:1 ბარნსი-7 (ლინდროსი-19, ტურკო-4), 3:2 იელი-2 (ფერნსი-8, ამონტე-12), 4:2 ი. ლეჰტინენი-14 (რობიჯასი-13).

ეს მატჩი "დალასის" მეკარე **მარტი ტურკოს** ბენეფისად იქცა, რომელმაც 18 დარტყმა მოიგერია, ერთი საგოლე პასი გააკეთა და რაც მთავარია, კარიერაში 160-ე გამარჯვებას მიაღწია, რითაც "სტარზის" ისტორიაში ყველაზე წარმატებულ მეკარეს - **ედ ბელფურს** გაუთანაბრდა.

წელს, ტურკო ლეგენდარულ გოლკიპერს კიდევ ერთ კომპონენტში ეპაექრება. მან ამ სეზონში მეოთხე შედეგიანი გადაცემა გააკეთა და ერთი პასი აკლია, ბელფურის მიერ ხუთი წლის დამყარებული საკლუბო რეკორდის გასამეორებლად.

"დალასმა" კვლავ ხუთი წამყვანი ჰოკეისტის გარეშე ითამაშა, მაგრამ მაინც მოიგო ზედიზედ მეორე მატჩი.

ბაფალო-ბოსტონი 6:3
3:2, 0:0, 3:1
გოლები: 0:1 კესელი-6, 1:1 ვანეკი-24 (ბრიერი-37, ბ. კემბელი-23), 2:1 პეელი-1 (კოტალიკი-17, შპაჩეკი-14), 2:2 გ. მიურეი-21 (ხარა-21, სავარი-41), 3:2 დ. რუა-8 (აფინოგენოვი-28, შპაჩეკი-15), 3:3 კესელი-7 (სავარი-42, ხარა-22), 4:3 ბ. კემბელი-6 (ბრიერი-38, პომინვილი-15), 5:3 აფინოგენოვი-21 (ნოვოტნი-7, დ. რუა-24), 6:3 პეელი-2 (დრური-21).

კოლორადო-ფინიქსი 4:3
1:0, 2:1, 1:2
გოლები: 1:0 ბ. შრასტენ-12 (არნასონი-18, ჰეიდუკი-14), 1:1 ლარაკი-5 (საპრიკინი-15, ი. პერო-12), 2:1 ჰეიდუკი-15 (საკიკი-31, ბრუნეტი-25), 3:1 ბრუნეტი-16 (არნასონი-19, საკიკი-32), 4:1 ბ. შრასტენ-13 (არნასონი-20, ჰეიდუკი-15), 4:2 ზიგომანისი-8 (ლარაკი-14, საპრიკინი-16), 4:3 დოენი-15 (ნადი-29, ი. პერო-13).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

დიდების დარბაზის ახალი წევრები

გუშინ, ცნობილი გახდა, რომ ამა წლის 14 ივლისს, ჩოგბურთის დიდების დარბაზში ორ ლეგენდარულ მოთამაშეს შეიყვანენ. ერთი მათგანია "დიდი სლემის" ყველაზე მეტი ტიტულის (14) მფლობელი, ამერიკელი **პიტ სამპრასი**. იმ დღეს, მას მხარს ღაუმშვენებს "როლან გაროსის" სამგზის ჩემპიონი, ესპანელი **არანჩა სანჩეს-ვიკარიო**.

გარდა ამ დუეტისა, დიდების დარბაზში შეიყვანენ 78 წლის შვედ **სვენ დევიდსონს**, რომელმაც 1957 წელს პარიზის ტურნირი მოიგო.

დი პასკუალი დაგვემშვიდობა

1997 წელს, იუნიორთა შორის პირველ ჩოგნად აღიარებულმა **არნო დი პასკუალმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

27 წლის ფრანგი ჩოგბურთელის კარიერის ზენიტად 2000 წლის ოლიმპიური თამაშები ითვლება. სიდნეიში დი პასკუალმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილისთვის მატჩში მან შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** დაამარცხა.

ფორმულა 1

FedEx-მა მაკლარენი აირჩია

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ სატრანსპორტო კომპანია Federal Express-მა სპონსორული კონტრაქტი გააფორმა "მაკლარენთან". Grandprix.com-ის ინფორმაციით, FedEx-ის ლოგო ახალ ბოლიდზე უახლოეს დღეებში გამოჩნდება. შეგახსენებთ, რომ "მაკლარენის" ახალი სატიტულო სპონსორი ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორი "ვოდაფონი" გახლავთ.

კომპანია Federal Express "ფორმულა 1-ის გუნდებთან 1997 წლიდან თანამშრომლობს. ამ ხნის განმავლობაში, ის "ფერარის", "ბენეტონს", ბოლო ორი წლის განმავლობაში კი, "უილიამსს" ასპონსორებდა.

კონტრაქტის ვადა და ფინანსური პირობები ჯერ არ გახმაურებულა. ექსპერტთა აზრით, FedEx ერთი წელი იქნება "მაკლარენის" სპონსორი, შემდეგ კი, კვლავ გამოიცვლის გუნდს.

რაც შეეხება "უილიამსს", არაოფიციალური ინფორმაციით, FedEx-ის ნაცვლად ამ გუნდის ახალი სპონსორი კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი კომპანია Lenovo გახდება.

TV სპორტი

19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

07:30 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ოსასუნა-ატლეტიკო.
09:15 ფიტნესი.
09:42 კრივი. ნოკაუტების დრო.
10:32 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი-ბეტისი.
12:22 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
12:49 სპორტკლუბი.
12:58 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ფინიქსი.
14:43 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-რეჯინა.
16:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:33 სპორტკლუბი.
17:40 კრივი. 2006 წლის საუკეთესო ბრძოლები.
19:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-ტორონტო.
22:31 სპორტკლუბი.
22:35 სპორტინფორმი.
22:50 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2005-06. მილანი-ბაიერნი.
01:20 სპორტინფორმი.
01:30 კრივი. რინგ-საიდი.
02:30 სპორტკლუბი.
02:37 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2006-07. დინამო-ლიონი.
04:27 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
04:52 სპორტკლუბი.
04:57 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
05:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მინესოტა (LIVE).

EUROSPORT

11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერ-გიგანტი. კორტინა დ'ამპეცო. იტალია.
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. გამოდევნება. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
17:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
20:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
21:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. XII ეტაპი (LIVE).
00:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონაკო.
02:00 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
02:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. V დღე.
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K95. ტურინი. იტალია.
12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერ-გიგანტი. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
16:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. გერმანია-ესპანეთი. კილმესი. არგენტინა.
17:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ავსტრალია-პოლანდია. კილმესი. არგენტინა.
18:00 ლაკროსი.
19:15 ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K95. ტურინი. იტალია.
20:00 ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. გუნდური. K95. ტურინი. იტალია (LIVE).
22:00 კალათბურთი. ევროლიგა.
22:30 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ავსტრალია-პოლანდია. კილმესი. არგენტინა.
23:30 ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K95. ტურინი. იტალია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
01:45 კალათბურთი. ევროლიგა.
02:15 ახალი ამბები.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲭᲝᲜᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲐᲠᲔᲖᲝ-ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ	1:0

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

1/8 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. II ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲠᲔᲐᲚᲘ-ᲑᲔᲢᲘᲡᲘ	1:1 (0:0)

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘᲡ-ᲐᲒᲘᲠᲠᲔ	4:1

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲐ

ᲤᲔᲜᲔᲠᲑᲐᲡᲠᲔ-ᲑᲐᲠᲪᲔᲚᲝᲜᲐ	82:69
ᲐᲠᲘᲖᲝ-ᲑᲔᲜᲔᲑᲝᲜᲘ	65:60
ᲛᲐᲙᲐᲑᲘ-ᲪᲘᲒᲝᲜᲐ	91:83
ᲞᲠᲝᲛᲘᲗᲔᲐᲡ-ᲙᲘᲗᲝᲚᲘ	72:61
ᲚᲘ ᲛᲐᲜᲘ-ᲚᲘᲜᲐᲛᲝ	69:70
ᲮᲣᲐᲜᲒᲪᲘ-ᲩᲘᲜᲐ	72:83

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲡᲘᲑᲘᲠᲘ-ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ	1:4
ᲛᲔᲒᲐᲚᲣᲠᲒᲘ (მ)-ᲡᲙᲐ	5:1
Ს. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ-ᲡᲐᲕᲐᲠᲡᲙᲐᲚᲘ	4:2
ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘ-ᲚᲘᲜᲐᲛᲝ	3:2
ᲐᲕ ᲑᲐᲠᲘᲡᲘ-ᲕᲘᲢᲘᲐᲖᲘ	4:0
ᲙᲠᲘᲚᲘᲐ-ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ	2:2
ᲡᲘᲒᲘᲜᲘ-ᲚᲐᲓᲐ	3:0
ᲪᲡᲙᲐ-ᲰᲕᲔ	0:3

ᲤᲘᲜᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲚᲣᲙᲝ-ᲙᲔᲠᲐᲕᲔᲒᲘ	2:0
ᲒᲐᲞᲐᲠᲐ-ᲙᲐᲚᲐᲞᲐ	3:1
ᲒᲐᲢᲘ-ᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ	3:3 ᲝᲛ.Გ. 4:3
ᲐᲘᲜᲣᲙ-ᲘᲚᲕᲔᲡᲘ	4:1
ᲐᲠᲣᲙ-ᲘᲝᲙᲔᲠᲘᲜᲘ	4:3
ᲔᲡᲒᲘ-ᲙᲘᲠᲙᲝ	5:2
ᲘᲕᲘᲐᲡᲙᲘᲚᲐ-ᲡᲘ ᲐᲠ	4:2

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲪᲘᲣᲠᲘᲩᲘ-ᲐᲛᲑᲠᲘ ᲐᲘᲝᲠᲐ	3:0

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲚᲘᲜᲙᲝᲞᲘᲜᲒᲘ-ᲘᲝᲠᲒᲝᲠᲓᲔᲜᲘ	2:2 ᲝᲛ.Გ. 2:3
ᲚᲣᲚᲔᲐ-ᲤᲐᲠᲘᲡᲒᲐᲚᲘ	6:4
ᲛᲝᲠᲔ-ᲐᲘᲠ	5:0
ᲛᲝᲠᲐ-ᲑᲘᲒᲠᲐ	4:0
ᲤᲠᲘᲛᲝᲚᲝᲜᲓᲐ-ᲛᲐᲚᲛᲘᲝ	5:3
ᲰᲔᲗ 1-ᲑᲠᲘᲜᲘᲡᲘ	1:3

ჩემი მეგობარი კლაუსი

გოტფრიდ ლენცი

ტელეფონი რეკავს.

„სად ხარ?"

„სამსახურში..."

„რას აკეთებ?"

„რას უნდა ვაკეთებდე სამსახურში?"

„როდის მორჩები?" (სიცილით)

„დღეს გვიანობამდე ვერ მოვრჩები, ტოპმიოლერთან მაქვს დასარეკი..."

„კარგი რა, ყველანი ერთად ვართ. დაურეკე შენც და წამოდი!"

„დავურეკო რა, კი არ უნდა მოვიკითხო, ინტერვიუ მაქვს გასაკეთებელი. დღეს უჩემოდ მოილხინეთ!"

„კარგი, მაგრამ ისე, არ დაგავიწყდეს, რომ ჩვენც შენი მეგობრები ვართ, ბავშვობის მეგობრები... ტოპმიოლერი კი ერთი წლის წინათ გაიცანი..."

ტუუ, ტუუ...

ასეთი სატელეფონო საუბრები ხშირად გამართულა ჩემსა და ჩემს მეგობრებს შორის. იმდენად ხშირად, რომ ახლა ტოპმიოლერის გვარსაც კი აღარ ახსენებენ. პირდაპირ მეკითხებიან: „შენი ძმაკაცი როგორ არის? აქეთ არის თუ იქეთ?" ტელეფონზე ისევ ხშირია ასეთი საუბრები: „აუ, დღესაც ურეკავ? რა გჭირს, შე ჩემა, ყოველდღე ურეკავ?"

ისე, მე რა ტოპმიოლერის მეგობარი ვარ, მაგრამ მაქვს პატივი ვიცნობდე და ალბათ ბევრზე უკეთაც კი...

როცა ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების პოტენციურ მწვრთნელთა 15-კაციანი სია გამოაქვეყნა, გულახდილად ვამბობ, მაშინვე ტოპმიოლერს დავადგი თვალი. თუ გახსოვთ, სიაში იყვნენ ბასილე, მატურანა, ბლაჟევიჩი, ფოგთსი, აუგენტალერი, შეფერი, მეტსიუ, კატანეცი, მილუტინოვიჩი, ტოპმიოლერი... მეტი აღარ მახსოვს. ერთი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ტოპი „ჰამბურგიდან" გაუშვეს და მახსოვდა, რომ მის ხელში ამ გერმანულ კლუბს სულ რაღაც 4 თვეში უმძიმესი დროება დაუდგა, მაგრამ ისიც მახსოვდა, გერმანული პრესა რომ წერდა ძალიან ხშირად, ტოპმიოლერს ფეხბურთელებმა მოუწყვეს "დემონტაჟი", კერძოდ კი, გუნდის კაპიტანმა სერგეი ბარბარესმაო...

მერე იყო პირველი კონტაქტი კლაუსთან. მახსოვს, რა ბედნიერები ვიყავით რედაქციაში, როცა ტოპის სახლის ტელეფონის ნომერი შევიტყვეთ. საღამოს უნდა დამერეკა და მთელი დღის განმავლობაში ძალიან ვნერვიულობდი. ბევრს აღარ გავაგრძელებ, გაგახსენებთ მხოლოდ იმას, რაც ყველაზე მთავარი იყო: „საქართველო? რატომაც არა?" 2005 წლის 25 ნოემბერი იყო, ის დღე კიდევ დიდხანს მემახსოვრება. მეორე დღეს ვამაყობდი ამ ინტერვიუთი, რომელიც პირველი იყო, კლაუსის მიერ ქართველი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუებს შორის. ხომ ხედავთ, დღესაც ვამაყობ.

მეორე თუ მესამე დარეკვისას, ტოპიმ ძალიან მკაცრად მითხრა ინტერვიუზე უარი. გავოგნდი. მერე გაირკვა, რომ აგენტი, ვინმე ნიკოლა სკრელია მაგრად ხლაფორთობდა, ტოპის ახლო ძმაკაცობას იბრალებდა და ამბობდა, უჩემოდ კლაუსი ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს, ჩემს გარეშე არავის დაელაპარაკებაო. თქვენც არ მომიკვდეთ, ტოპმიოლერი თბილისში პირველადაც იმ სკრელიასა თუ ვიღაც ოხრის გარეშე ჩამოვიდა, კონტრაქტიც მის გარეშე გააფორმა და საერთოდ, მას მერე იმ კაცის სახელისა და გვარის ხსენებაც აღარ ყოფილა. ან ახლა რატომ მომაგონდა, ძალიან მიკვირს.

მერე ტოპი პირადად გავიცანი, პირველი ჩამოსვლის დროს. აბსოლუტურად ყველა ჟურნალისტი თვალებში შესციცინებდა. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ბლოკნოტი დავაძრე და კლაუსთან მივიჭერი, ავტოგრაფი-მეთქი. სიმართლე გითხრათ, მისი ავტოგრაფი არაფერში მჭირდებოდა, გერმანული ფეხბურთის ფანი არასდროს ვყოფილვარ. ამ მომენტს სხვა მიზანი ჰქონდა. მოაწერა თუ არა ხელი, მაშინვე ვუთხარი, ძალიან მინდა, რომ სულ მალე კონტრაქტზეც ეს დაწეროთ-მეთქი. აი, ეს კი მართლა ძალიან მინდოდა. ისევე, როგორც ყველა ნორმალურ ქართველს უნდა სდომებოდა – ვისაც ქართულ ფეხბურთსა და საქართველოს ნაკრებზე მართლა შესტკივა გული. ტოპის გაეცინა და მხარზე ხელი ზუსტად სამჯერ დამკრა. არაფერი უთქვამს, მაგრამ ცხადი იყო: თანახმა გახლდათ, საქართველოს ნაკრები გაეწვრთნა, თუკი ყველაფერზე შეთანხმდებოდნენ.





ნუგზარ სუარიძის ფოტოები

თებერვლის ბოლოს მონტროში გახლდით, წილისყრაზე. აი, იმ წილისყრაზე, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი რომ გვარგუნა ფორტუნამ. წილისყრის დასრულების შემდეგ ტოპი ჟურნალისტების ალყაში მოექცა, მათ შორის მეც ვიყავი. აქეთ-იქედან ტენიდნენ მიკროფონებსა და დიქტოფონებს. მეც ვწვალობდი რაღაცას და სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ჟურნალისტები ასეთი მეომრები იქნებოდნენ. ვიღაცამ ხელი მკრა, ვიღაცამ იდაყვი – ერთი ეგაა, რომ თავში არაფერი ჩაურტყამთ. მოკლედ, დამჩაგრეს. კლაუსმა კომენტარი გააკეთა და პირველი ნაკადი მოიგერია, მაგრამ ამ დროს მისკენ უკვე მეორე ნაკადი დაიძრა – ის ჟურნალისტები, რომლებიც მანამდე სვენ გორან ერიქსონს ართმევდნენ ინტერვიუს. ამჯერად ვივაჟკაცე, უფრო სწორად, ვიჭიდავე და შიგნით მოვხვდი. ამ დროს კლაუსმა მითხრა, მოდი, ამათ მოვიშორებ, ყველას ორ-სამ წინადადებას ვეტყვი და მერე შენ ვრცელ ინტერვიუს მოგცემ, ვილაპარაკოთ რამდენიც გინდაო.

არ ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ეს ეპიზოდი, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში კი მკვეთრად ჩაიბეჭდა. ყურადღება გამოიჩინა, არადა ხომ შეეძლო, ფეხებზე დავეკიდე და სულ არ ეზრუნა იმაზე, ერთ კომენტარს გავაგზავნიდი რედაქციაში თუ ვრცელ ინტერვიუს. ამ შემთხვევამ უკვე საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ტოპი ტიპური გერმანელი არ იყო.

გაზეთში უცხოურ, კერძოდ კი, გერმანულ ფეხბურთზე ვწერ. ტოპიზე ადრეც ხშირად დამინერია, მისი ინტერვიუები მითარგმნია „კიკერიდან" და „ბილდიდან". მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთხელაც საქართველოს ნაკრების დამრიგებელი გახდებოდა, მე კი მის ექსკლუზიურ ინტერვიუებზე ვიმუშავებდი. განსაკუთრებით ვერ წარმოვიდგენდი 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის ყურებისას, ერთმა კამერამ შესანიშნავი კადრი რომ დაიჭირა ბოლო წუთებზე: „რეალი" კლაუსის „ლევერკუზენს" 2:1-ს უგებდა და მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე იკერ კასილიასმა მადრიდელები რამდენჯერმე გადაარჩინა გაშვებულ გოლს – ე.წ. მკვდარი ბურთები აიღო. სწორედ იმ დროს გვიჩვენა რეჟისორმა ტოპის სახე, უფრო სწორად, მისი გაცხოველებული და ნირწამხდარი თვალები.

მომდევნო, მეტ-ნაკლებად დასამახსოვრებელი ეპიზოდი გასული წლის ოქტომბრიდანაა. როსტოკიდან (გერმანია-საქართველო 2:0) ნაკრებთან ერთად ვბრუნდებოდი და აეროპორტში, მოსანევ კუთხეში ვისხედით მე, კლაუსი და მინგე. „ჰამბურგზე" ჩამოვუგდე სიტყვა, როგორც ვიცი, ფეხბურთელებმა მოგიწყვეს დემონტაჟი-მეთქი. არაო, თავი გააქნია – ფეხბურთელებზე აუგი არ დასცდენია, არც ბარბარესზე, რომელსაც ლამის თავის კარში გაჰქონდა გოლები. მაგ გუნდს ძალიან ჭკუასუსტი ხელმძღვანელები ჰყავს და ყველაფერი ამის ბრალი იყოო, თქვა და ბევრი რამ მიამბო „ჰამბურგის" შეფებზე.

...ერთი წელი და რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელია. კრიტიკოსებიც გაჩნდნენ. ჩემი აზრით, უფრო ვაი-კრიტიკოსები. ისეთები, რომლებიც ან მხოლოდ იმიტომ აკრიტიკებენ, რომ უნდა აკრიტიკონ და კრიტიკის გარდა არაფერზე შეუძლიათ გემრიელად წერა, ანაც იმიტომ, რომ „სულ სხვა ინტერესები" აქვთ. რა სახსენებელია, მაგრამ ამას წინათ ერთ ვაი-გაზეთში წავიკითხე, კლაუს ტოპმიოლერი უმუშევარი იყო და ჩვენ შევიფარეთო. ვაჰ, დალოცვილო, მწვრთნელი უმუშევარი უნდა იყოს, საქართველოს ნაკრებში მუშაობას რომ დათანხმდეს, აბა ჩვენი გუნდი იტალიის ნაკრები არაა, „იუვენტუსს" რომ დააწეროს მარჩელო ლიპი.

და კიდევ, იმავე გაზეთში ეწერა: *„ეს ის კაცია, რომელმაც გერმანიიდან ჩამოიყვანა და სამმილიონიანი კონტრაქტი დაუდო ტოპმიოლერს, რათა ჩვენს ნაკრებს ერთმანეთის მიყოლებით წაეგო 20-ზე მეტი შეხვედრა..."*

დაიკვირდით, ოციც არ იკმარა! 20-ზე მეტიო! თანაც, ერთმანეთის მიყოლებითო! წყეულიმც იყავ! ნუ გვთარსავ! ტოპის ხელში ჩვენმა ნაკრებმა სულ 12 თამაში ჩაატარა და აწი მაინც იცოდე ეს. ერთმანეთის მიყოლებით კი ორზე მეტი თამაში არ წაუგია...

და ბოლოს: მე ისიც ვიცი, რომ საქართველოში მარტო მეგობრები არ მყავსო, ესეც ტოპის სიტყვებია. კიდევ კარგი, რომ იცის!

უხ, ნეტა თურქეთიც დავამყნოთ და შოტლანდიაც!..

ქართული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლევან გიგილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გაჩრდილების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი
(დილოი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა